

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

იურიდიული ფაკულტეტი



ვახტანგ მურადაშვილი

სახელმწიფოს როლი მსჯავრდებულის რესოციალიზაციის პროცესში

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მორის შალიკაშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, სამართლის
დოქტორი

ნაშრომი წარდგენილია სამართლის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი
2019

სარჩევი

გამოყენებული აბრევიატურა:.....	3
შესავალი.....	4
თავი პირველი	
რესოციალიზაციის არსი და ადგილი სასჯელის მიზნებს შორის.....	7
1. რესოციალიზაციის არსი და მისი სამართლებრივი მოწესრიგება.....	7
2. რესოციალიზაციის ურთიერთმიმართება სასჯელის სხვა მიზნებთან.....	12
2.1 რესოციალიზაცია და სამართლიანობის აღდგენა.....	13
2.2 რესოციალიზაცია და ახალი დანაშაულის თავიდან აცილება.....	17
3. რესოციალიზაციის გამოყოფა სხვა მომიჯნავე ცნებებისაგან.....	21
თავი მეორე	
სახელმწიფოს როლი რესოციალიზაციის პროცესში.....	27
1. კონსტიტუციური პრინციპები რესოციალიზაციის ჭრილში.....	27
1.1 სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი და რესოციალიზაცია.....	30
1.2 სოციალური სახელმწიფოს პრინციპი და რესოციალიზაცია.....	34
2. რესოციალიზაცია სახელმწიფოს სისხლისსამართლებრივი პოლტიკის ჭრილში.....	41
3. რესოციალიზაცია სამართლის ეკონომიკურ ჭრილში.....	43
4. კრიმინოლოგია და რესოციალიზაცია.....	46
დასკვნა.....	53
ბიბლიოგრაფია.....	58

გამოყენებული აბრევიატურა:

ა.შ. - ასე შემდეგ;

გვ. - გვერდი;

ჟურ. - ჟურნალი

ე.წ. - ეგრეთწოდებული;

მაგ.- მაგალითად;

თბ. - თბილისი;

იხ. - იხილეთ;

შეად. - შეადარეთ;

მუხ. - მუხლი;

წ.- წესი;

პ.- პუნქტი;

რედ. - გამოცემის რედაქტორი;

სსსკ. - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი;

სსსსკ. - საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი;

P. – Page;

ED. - Edittion;

შესავალი

„დიადი ძიება ადამიანისათვის იმ დროიდან დაიწყო, როცა დაიბადა, შესაძლოა მრავალმა წელმა ჩაიარა მანამ, სანამ ამას მიხვდებოდა, სანამ ნათელი გახდებოდა, რომ იგი გამუდმებით ეძიებს იმას, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია ცხოვრებაში და რასაც ერთი კონკრეტული სახელიც კი არა აქვს. ინდივიდუმი ამ ძიებაში მარტო არა არის. მთელი კაცობრიობა მასთან ერთად ადგას ამ გზას.“¹ სწორედ განვლილი გზისა და საერთო ცნობიერების საფუძველზე საზოგადოება განსაზღვრავს მისთვის მისაღებ ნორმებსა და ქცევის წესებს, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს პიროვნება. ამერიკელი სოციოლოგის, ჰივარდ ბეკერის, მოსაზრების თანახმად, „ქმედებები თავისთავად არც კარგია და არც ცუდი. ნორმალურობა და დევიანტობა² სხვა არაფერია, თუ არა სოციალურად განსაზღვრული თვისებები.“³ დანაშაული წარმოადგენს დელიქვენტურ ანუ ნორმიდან გადახრით ქცევას. დანაშაული, უპირველეს ყოვლისა, ადამიანის სოციალური ქცევის ფორმაა, რომელიც ხელს უშლის საზოგადოების ნორმალურ განვითარებას. დამნაშავეები არსებობდნენ კაცობრიობის განვითარების ყველა ეტაპზე, შესაბამისად, არსებობდა სასჯელებიც: თავისუფლების აღკვეთა, სხეულის ნაწილების მოკვეთა, ჩამოხრჩობა, ქონების ჩამორთმევა, მონად გაყიდვა და სხვა. შემდგომში სასჯელთა სახეებმა ჰუმანიზაცია განიცადა და ჩამოყალიბდა სასჯელთა თანამედროვე სისტემა. აღსანიშნავია, რომ საქართველოს თანამედროვე სისხლის სამართალში სასჯელის მიზნები განისაზღვრება სახელმწიფოს ფუნქციებითა და იმ ამოცანებით, რომლებიც დგას მის წინაშე დამნაშავეობასთან ბრძოლის საქმეში. სასჯელის მიზნის ცნება შეიძლება შემდეგნაირად განვმარტოთ: სასჯელის მიზანი არის ის საბოლოო შედეგი, რომლის მიღწევასაც მისი წარაფვის სახელმწიფო, თავის მიერ დადგენილი იძულებით ღონისძიებათა გამოყენების მეშვეობით.

რაც შეეხება სასჯელის მიზნებს, იგი საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით ლეგალურად არის დაკონკრეტებული, რასაც ვერ ვიტყვით ბევრ სხვა საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობაზე.⁴ როგორც აღვნიშნე, სისხლის სამართალში სასჯელის განსაზღვრული მიზნებია მოცემული, რომელთაგან უმთავრესი დამნაშავეს რესოციალიზაციას წარმოადგენს. აღნიშნული მიზნის განხორციელება საკმაოდ პრობლემურია, რადგან „რეალურად შეუძლებელია სასჯელის ყველა მიზნის დაკონკრეტება, ვინაიდან ისინი ურთიერთდაკავშირებულნი არიან და ზოგჯერ მათი გამოიჯვნა და ცალკე

¹ გ.გოგიაშვილი, კონსტიტუციის საიდუმლოებანი, ლექციები შედარებით-კონსტიტუციურ სამართალში, თბილისი 2014, გვ.7

² „დევიანტობა იმ ქცევის აღნიშვნაა, რომელიც ეწინააღმდეგება საზოგადოებაში აღიარებულ ნორმებს...[თუმცა] შესაძლოა, ინდივიდის ესა თუ ის ქმედებაფორმალურად განიხილებოდეს როგორც დევიანტური, მაგრამ მას მაინც არ „მიეკუროს დევიანტის იარლიყი, რამდენადაც, გარემოების სპეციფიკურობიდან გამომდინარე, საზოგადოებრივი აზრი არ აღიარებს ნორმის დარღვევას, ე.კოდუა და სხვა(სარედ.ჯგუფი), სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი-ცნობარი, თბილისი 2004, გვ.54

³ მ. შალიკაშვილი, კრიმინოლოგია, თბილისი, 2011, გვ.47.

⁴ მ.ლევკვიშვილი, სასჯელის მიზნები და სასჯელის შეფარდების სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები, შურ: მართლმსაჯულება და კანონი N4(43), 2014, გვ.18

ჩამოყალიბება თითქმის შეუძლებელია.”⁵ ამიტომაც უფრო მართებული იქნებოდა რამდენიმე კითხვაზე გაგვეცა პასუხი: როგორ ხდება პიროვნების ჩამოყალიბება? რა განაპირობებს დანაშაულებრივ ქცევას? რა ხელისშემშლელი ფაქტორები არსებობს დამნაშავის რესოციალიზაციისას და რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს სასჯელის ამ მიზნის შეუსრულებლობას? რა როლი აქვს სახელმწიფოს მსჯავრდებულის რესოციალიზაციის პროცესში? რამდენად მნიშვნელოვანია სახელმწიფოს ატიური ჩართულობა მსჯავრდებულთა სოციუმში სრული რეინტეგრაციის პროცესში? წინამდებარე ნაშრომის მთავარი მიზანია, რომ გავიაზროთ თანამედროვე ეპოქაში მსჯავრდებულის, როგორც ინდივიდის რაობა, მისი საჭიროებები, რათა მან საზოგადოების სრულყოფილ წევრად კვლავ იგრძნოს თავი და თავად საზოგადოებისა და სახელმწიფოს როლი ამ მეტად რთულ, საპასუხისმგებლო და, ამავე დროს, საჭირო საქმეში. ნაშრომში განხილული იქნება რესოციალიზაციის, როგორც სასჯელის, ერთ-ერთი და მთავარი მიზნის ისტორიული განვითარება, მისი კავშირი და განსხვავებები სასჯელის სხვა მიზნებთან. მიუხედავად იმისა, რომ ის სასჯელის უმთავრესი მიზანია, მხოლოდ ეს ვერ იქნება გარანტი სასჯელის მიზნების განხორციელებისა, ამიტომ საჭიროა, განვიხილოთ სასჯელის სხვა მიზნების დეფინიციები და საკანონმდებლო გარანტიები. გარდა ამისა, შევეცადე მაქსიმალურად გამომეკვეთა სახელმწიფოს როლი მსჯავრდებულის რესოციალიზაციის პროცესში. თუ რა როლი შეიძლება ჰქონდეს მსჯავრდებული პირისათვის სოციალურ, დემოკრატიულ, სამართლებრივ სახელმწიფოს, რადგან სახელმწიფო პოლიტიკის, სამოქმედო გეგმის შემუშავება და სრულქმნა, უმნიშვნელოვანესია აღნიშნული საკითხისათვის. „სახელმწიფომ უნდა შექმნას სამართლებრივად და სოციალურად უსაფრთხო გარემო და იზრუნოს მშვიდობაზე. მოქალაქეებისათვის სახელმწიფოს ქმედება და პოლიტიკა უნდა იყოს ერთხაზოვანი, დემოკრატიული ფასეულობებით გაჯერებული და მიმზამველობითი.”⁶ „მოქალაქეებმა უნდა იცოდნენ, თუ რას შეიძლება დაეყრდნონ და რისი ნდობა შეიძლება ჰქონდეთ.”⁷ გარდა ამისა, მნიშვნელოვანია სამართლის ეკონომიკურ ჭრილში გააზრება რესოციალიზაციის კუთხით, რათა მაქსიმალური, სასარგებლო და უმნიშვნელოვანეს შედეგს, მსჯავრდებულის სოციუმში რეინტეგრაციას, მივაღწიოთ მინიმალური ფულადი თუ ადამიანური რესურსის დანახარჯებით. აგრეთვე, განვიხილავ რესოციალიზაციის კავშირს სამართლის კიდევ ერთ უმნიშვნელოვანეს დარგ - კრიმინოლოგიასთან, რომელიც შესანიშნავი საშუალება და შესაძლებლობაა, მეცნიერულ დონეზე ავიყვანოთ და გავიაზროთ დანაშაული, დამნაშავის პიროვნება, შვეისწავლოთ ისინი და ყოველივე ამის გათვალისწინებით შეირჩეს ყველაზე ეფექტური და საჭირო გეგმა მსჯავრდებული პირის რესოციალიზაციისათვის.

მნიშვნელოვანია, რომ განვიხილოთ და გავიაზროთ ის მიდგომები თუ აქტივობები, რომლებიც აუცილებელია მსჯავრდებულის სრულფასოვანი და

⁵ მ.ლეკვიშვილი, სასჯელის მიზნები და სასჯელის შეფარდების სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები, ჟურ: მართლმსაჯულება და კანონი N4(43), 2014, გვ.19

⁶ მ.შალიკაშვილი, ძალადობის კრიმინოლოგია, თბილისი 2012, გვ. 193

⁷ კ.კუბლაშვილი, ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, თბილისი 2003, გვ.19

ეფექტური რესოციალიზაციისათვის, როგორებიცაა: განათლების ხელმისაწვდომობა, შრომა და დასაქმების ხელშეწყობა, ფსიქოლოგიური დახმარება და სხვა მნიშვნელოვანი სარეაბილიტაციო ღონისძიებების სწორად დაგეგმვა და განხორციელება. გარდა ამისა, მოყვანილი იქნება დანაშაულის ჩადენისა და მის გახსნის პროცენტული მაჩვენებლის ანალიზი, ოფიციალურ სტატისტიკაზე დაყრდნობით. აგრეთვე, მოყვანილი და განხილული იქნება რამდენიმე მნიშვნელოვანი და საინტერესო სასამართლო პრაქტიკა, როგორც საერთო სასამართლოების, აგრეთვე საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებიც, ასევე დამატებითი თვალსაჩინოებისათვის განხილული იქნება გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს რამდენიმე გადაწყვეტილებაც.

დასკვნის სახით, მე მინდა მოვიშველიო, პროფ. ბესარიონ ზოიძის სიტყვები: „ვინც არ ცნობს საზოგადოებრივს, ის არც სახელმწიფოს ცნობს. სახელმწიფო, რომელიც არ ცნობს კერძოს, ის არც სახელმწიფოა. კერძო პირმა უნდა ცნოს საზოგადოებრივი, სახელმწიფომ კი - კერძო. სახელმწიფო - ეს კერძო და საზოგადოებრივი ინტერესის ჰარმონიული შერწყმა.“⁸ სწორედ, თითოეული მსჯავრდებულის რესოციალიზაციაზე ზრუნვა წარმოადგენს სახელმწიფოს უმთავრეს მიზანს კერძო პირის (მსჯავრდებულის) ინტერესის დაცვით უზრუნველყოს საერთო საზოგადოებრივი სიკეთის შენარჩუნება და დაცვა.

⁸ ბ.ზოიძე, საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, თბილისი 2007, გვ. 133-134

თავი პირველი

რესოციალიზაციის არსი და ადგილი სასჯელის მიზნებს შორის

1. რესოციალიზაციის არსი და მისი სამართლებრივი მოწესრიგება

მას შემდეგ, რაც ღმერთმა ადამიანი გააჩინა, გაჩნდა დანაშაულიც, რომელიც ადამიანურ მოდგმას თან სდევს მოუშორებელი სენივით და ადამიანთა საერთო ცივილიზაციის განვითარებასთან ერთად იხვეწება და ვითარდება დანაშაულის ჩადენის ხერხები და აგრეთვე, ჩნდება მისი გამოვლინების ახალი, უფრო საშიში ფორმები. პირველი დანაშაული, რომელიც ადამიანმა ჩაიდინა, ეს იყო აკრძალული ხის, ცნობისა კეთილისა და ბოროტისა, ნაყოფის შეჭმა, აღნიშნული ქმედებისათვის უფლის სასჯელით განდევნილ იქნა ადამიანი სამოთხიდან, თუმცაღა ადამიანს ასევე უფლის განაჩენით შეუძლია სამოთხეში კვლავ დაბრუნება, თუკი იგი მის ცნებებს დაიცავს, წუთისოფელში ცხოვრების პერიოდში. თანამედროვე სამყაროში, ჩვენ ადამიანებმა, სწორედ ამ კუთხით უნდა შევხედოთ დანაშაულისა და სასჯელის ურთიერთმიმართებას, კერძოდ, უნდა გავაცნობიეროთ, რომ დანაშაულის ჩადენით არ სრულდება ყველაფერი და კანონმდებელი უტოვებს შანსს დამნაშავეს, რათა მოინანიოს ჩადენილი დანაშაული და გამოსწორებული სახით დაუბრუნდეს საზოგადოებას, ისევე როგორც ადამიანი - სამოთხეს.

დღეისათვის უდავოა სახელმწიფოში სისხლის სამართლისა და სასჯელადსრულების სისტემის არსებობის აუცილებლობა, რათა დაცული იყოს საზოგადოების უსაფრთხოება და წესრიგი. სისხლის სამართალში, სასჯელს გააჩნია თავისი მიზნები, რომელთაგან ერთ-ერთს წარმოადგენს დამნაშავეს რესოციალიზაცია. სიტყვა „რესოციალიზაცია“ ლათინური ენიდან მომდინარეობს, „re“ (განმეორებითი, აღდგენილი) + „socialis“ (საზოგადო, საზოგადოებრივი). იგი განმეორებით სოციალიზაციას გულისხმობს.⁹ თავის მხრივ სოციალიზაცია, როგორც ფილოსოფოსები განმარტავენ, არის „ინდივიდის მიერ კულტურულ-სოციალური გამოცდილების ათვისებისა და სამომავლო განვითარების პროცესი, რომელიც გამოიხატება: განათლებაში, ტრადიციებსა და ღირებულებებში, შრომით უნარ-ჩვევებში და სხვა. ეს არის, პიროვნებაში სოციალური თვისებების ჩამოყალიბება და მისი საზოგადოებრივ ურთიერთობებში ჩაბმის პროცესი.¹⁰ რომლის განხორციელებისათვის აუცილებელია, კომპლექსური ღონისძიებების გატარება.

აღსანიშნავია, რომ სასჯელის მიზნები მოცემულია სსსკ-ის 39-ე მუხლში. აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სასჯელის მიზანს წარმოადგენს: სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავეს რესოციალიზაცია. საინტერესო ფაქტია, რომ სისხლის სამართლის კოდექსი არ

⁹ Добрыдень О.А., Компромисс как действенный метод ресоциализации осужденных к лишению свободы и подготовки их к жизни на свободе, Вестник Саратовской государственной академии права, №3(73), 2010, გვ.141.

¹⁰ Философский словарь, Москва, 1997, გვ.136.

იძლევა ტერმინ „რესოციალიზაციის“ განმარტებას. იგი, ზოგადად, სასჯელის მიზნის განხორციელების საკითხს შეეხება, ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად კი „სასჯელის მიზანი ხორციელდება მსჯავრდებულსა და სხვა პირზე ზემოქმედებით, რათა ისინი განიმსჭვალონ მართლწესრიგის დაცვისა და კანონის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობით.“ თუმცაღა, ცოტა ბუნდოვანია კანონის აღნიშნული დანაწესი, თანაც გაურკვეველია ვის მოიაზრებს კანონმდებელი მითითებულ მუხლში მოხსენიებულ „სხვა პირში.“ ვინაიდან სისხლის სამართალი იცნობს მხოლოდ ბრალდებულისა და მსჯავრდებულის ცნებებს. კერძოდ, სსსკ-ის მე-3 მუხლის მე-8 ნაწილის მიხედვით: „მსჯავრდებული ესაა პირი, რომლის მიმართაც გამოტანილია სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი.“ ანუ მსჯავრდებულია ის პირი, რომლის მიმართაც კანონიერ ძალაშია შესული სასამართლოს განაჩენი, რომლითაც დასტურდება აღნიშნული პირის მიერ კონკრეტული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედების განხორციელება და განსაზღვრული აქვს კანონის შესაბამისი სასჯელი. ხოლო ამავე მუხლის მე-19 ნაწილის მიხედვით: „ბრალდებულია პირი, რომლის მიმართაც არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მან ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაული.“ ანუ ბრალდებულია ის პირი, რომლის მიმართაც არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მან ჩაიდინა დანაშაული და მას კანონმდებლობის შესაბამისად წარდგენილი აქვს ბრალდების შესახებ დადგენილება. შესაბამისად, იბადება ლოგიკური კითხვა თუ ვის მოიაზრებს კანონმდებელი სსსკ-ის 39-ე მუხლის მე-2 ნაწილის შემდეგ სიტყვებში „სხვა პირი“?!

აღსანიშნავია, რომ სსსკ-ის მოქმედება ვრცელდება საქართველოს ტერიტორიაზე და საქართველოს ამოსაცნობი ნიშნით მცურავ და მფრინავ ხომალდებზე, აგრეთვე საქართველოს მოქალაქეებზე, მათი ადგილსამყოფელის მიუხედავად.¹¹ პროფ. გურამ ნაჭყებია მიიჩნევს, რომ „სისხლის სამართლის კანონის ძალაში შესვლის მომენტიდან სახელმწიფოსა და პიროვნებას შორის ყალიბდება დანაშაულთა თავიდან აცილების გამო სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა.“¹² რასაკვირველია, აბსოლუტურად ჭეშმარიტებას ამბობს პროფ. გურამ ნაჭყებია, თუმცაღა, ცალკე აღებული მოქმედების გავრცელება არ გულისხმობს, რომ თითოეული მოქალაქე წარმოადგენს სსსკ-ით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრების სუბიექტს. ვინაიდან, როგორც უკვე აღვნიშნე, სისხლის სამართლის სუბიექტს წარმოადგენს მხოლოდ მსჯავრდებული და ბრალდებული, შესაბამისად, სხვა ნებისმიერი პირი, რომელსაც არ ჩაუდენია სსსკ-ით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება, ე.ი. იგი არაა, არც ბრალდებული და არც მსჯავრდებული, შესაბამისად, მის მიმართ ვერ გამოვიყენებთ ვერც სასჯელს და, აქედან გამომდინარე, მასზე ვერ გავრცელდება სასჯელის მიზნებიც. სწორედ აღნიშნულიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ კანონმდებლის აღნიშნული პოზიცია ბუნდოვანია და საჭიროებს შესაბამის

¹¹ იხ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-4 და მე-5 მუხლები

¹² იხ. გ.ნაჭყებია, სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა და დანაშაულის ცნება, თბილისი 2002, გვ.31

განმარტებას, რამეთუ „სხვა პირზე“ ვერ გავავრცელებთ სასჯელის მიზნებს, უკეთეს არაა ბრალდებული ან მსჯავრდებული.

გარდა ამისა, პროფ. გურამ ნაჭყებია საინტერესოდ მსჯელობს სისხლის სამართლის ნორმის ადრესატზე და აღნიშნავს: „ერთი მხრივ, ამტკიცებენ, რომ სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტია დანაშაულის ჩამდენი პირი, მაგრამ იქვე დასძენენ, რომ სისხლის სამართლის ნორმა მიმართულია ყველა დელიქტუნარიან მოქალაქეზე. საკითხავია, რომელია აქ სისხლის სამართლის ნორმის ადრესატი - დანაშაულის ჩამდენი პირი თუ საზოგადოების ყველა დელიქტუნარიანი წევრი? ცხადია, რომ სისხლის სამართლის ნორმის ადრესატი დანაშაულის ჩამდენია პირია და მაშინ ეს ადრესატი, ამავე დროს საზოგადოების ყველა დელიქტუნარიანი წევრი ვერ იქნება და პირიქით.“¹³ გასაზიარებელია ასევე შემდეგი მოსაზრებაც, რომ აღნიშნული გულისხმობს სასჯელის ზოგად გენერალურ პრევენციას. ი.ვარძელაშვილი აღნიშნავს, რომ „ზოგადი პრევენცია ხორციელდება არა მარტო იმ შემთხვევაში, როცა კონკრეტული პირის მიმართ სასამართლო გამოიყენებს სასჯელს, არამედ თვით სისხლის სამართლის კანონის ძალაში შესვლის მომენტიდან.“¹⁴ თუმცადა, აქაც გარკვეული ხარვეზები იკვეთება, იქიდან გამომდინარე, რომ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული კონკრეტული ქმედება, რომელიც აღიარებულია დანაშაულად თავისთავად წარმოადგენს პოზიტიურ გენერალურ პრევენციას იმ კუთხით, რომ პირს აფრთხილებს, თუ იგი ჩაიდენს კოდექსით გათვალისწინებულ მართლსაწინააღმდეგო და ბრალეულ ქმედებას, იგი პასუხს აგებს კანონის შესაბამისად და ყოველივე აღნიშნულის ფონზე, ბუნდოვანი და გაურკვეველია კანონმდებლის პოზიცია აღნიშნულ საკითხთან მიმართებით, კერძოდ, თუ რა კავშირშია სასჯელის მიზნის განხორციელება „სხვა პირზე ზემოქმედებასთან“, მაშინ როდესაც სახელმწიფო ორგანოები მოკლებულნი არიან შესაძლებლობას, გაავრცელონ რესოციალიზაციის ძირითადი საშუალებები¹⁵ პირზე, უკეთეს, ის არაა მსჯავრდებული ან ბრალდებული. თავის მხრივ, სისხლის სამართლის კოდექსის არსებობა, თავის თავში გულისხმობს პოზიტიური გენერალური პრევენციის განხორციელებას. პროფ. მ.ლეკვიშვილი აღნიშნავს, რომ „სასჯელის ზოგადი პრევენციული როლი იმაში გამოიხატება, რომ დანაშაულისათვის მისი შეფარდება თავისი არსებობის ფაქტითა და გამოყენების შესაძლებლობით დადებით ეფექტს ახდენს საზოგადოების მერყევ ელემენტებზე დანაშაულის ჩადენისაგან თავის არიდების ასპექტში.“¹⁶ აღნიშნულიდან გამომდინარე, გაურკვეველია სსსკ-ის 39-ე მუხლის მე-2 ნაწილში დეკლარირებული ბუნდოვანი ჩანაწერით რისი მიღწევა სურს კანონმდებელს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვფიქრობ, აღნიშნული ნორმა საჭიროებს დახვეწას და მასში არსებული ბუნდოვანების აღმოფხვრას. გარდა ამისა სასურველად მიმაჩნია, რომ სისხლის სამართლის კოდექსი იძლეოდეს ტერმინ „რესოციალიზაციის“ განმარტებას.

¹³ გ.ნაჭყებია, სისხლის სამართლის საგანი, თბილისი 1997, გვ.47

¹⁴ ი.ვარძელაშვილი, სასჯელის მიზნები, თბილისი 2016, გვ.63

¹⁵ იხ. პატიმრობის კოდექსის 116-ე მუხლის მე-2 პუნქტი

¹⁶ არასრულწლოვანთა სასჯელისა და აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიებების შეფარდების პრობლემები, თბილისი 2011, გვ.31

აღსანიშნავია, რომ სისხლის სამართლის კოდექსისაგან განსხვავებით, ტერმინ „რესოციალიზაციის“ განმარტებას იძლევა პატიმრობის კოდექსი. კერძოდ მის 116-ე მუხლის პირველ ნაწილში შემდეგნაირადაა განმარტებული რესოციალიზაცია, როგორც „მსჯავრდებულში საზოგადოების, სხვა ადამიანების, ზნეობის ნორმებისა და ადამიანთა თანაცხოვრების დამკვიდრებელი წესებისადმი პატივისცემისა და პასუხისმგებლობის გრძნობის ჩამოყალიბება.“ ხოლო, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, „მსჯავრდებულის რესოციალიზაციის საშუალებები გამოიყენება დანიშნული სასჯელის სახის, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის, მსჯავრდებულის პიროვნების, მისი ფსიქოლოგიური მდგომარეობისა და ქცევის გათვალისწინებით.“ „რესოციალიზაცია არის სოციალური სახელმწიფოს პრინციპით მოცული მსჯავრდებულის უფლება ხელახლა დაბრუნდეს საზოგადოებაში, მსჯავრდებულის შანსი განმეორებით მიიღოს მონაწილეობა სოციალიზაციის პროცესში და სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება, შექმნას საკმარისი პროგრამები და ინიციატივები დამნაშავის გამოსასწორებლად, რათა დაცული იქნას საზოგადოებრივი წესრიგი.“¹⁷

თუმცაღა უნდა დავამატო, რომ 39-ე მუხლის ხარვეზები ამით არ ამოიწურება. სსსკ-ის 39 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით „ასეთი ზემოქმედების ფორმები და საშუალებები გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთის აღსრულების შესახებ საქართველოს კანონმდებლობით,“ რაც რეალურად არსებულს არ შეესაბამება. გამომდინარე იქიდან, რომ პატიმრობის კოდექსის 116-ე და 117-ე მუხლებში საუბარია, მხოლოდ თავისუფლებააღკვეთილ მსჯავრდებულთა მიმართ გასატარებელ რესოციალიზაციის ძირითად საშუალებებსა და სარეაბილიტაციო პროგრამების ამოცანებზე. სწორედ, აღნიშნულში მდგომარეობს კანონის ხარვეზი. ვინაიდან, აქ არ ჩანს იმ მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის განხორციელებისა და ამ პროცესზე კონტროლის რა საშუალებებს იყენებს სახელმწიფო, რომელთაც სასამართლოს გადაწყვეტილებით არ შეეფარდათ სასჯელის უკიდურესი სახე თავისუფლების აღკვეთის სახით. მ.ლევკვიშვილიც მსგავს მოსაზრებას ავითარებს და დასძენს, რომ: „პატიმრობის კოდექსში საუბარია მხოლოდ თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულებზე და არაფერია ნათქვამი იმ პირებზე, რომელთაც არასაპატიმრო სასჯელი შეეფარდათ. მაგ: პირობითი მსჯავრი, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა, გამასწორებელი სამუშაო და სხვა. მსჯავრდებულთა ეს ჯგუფი რეალურად არ არიან თავისუფლებააღკვეთილები და ამიტომ როგორ უნდა მოხდეს მათ მიმართ რესოციალიზაციის მიზნის განხორციელება გაუგებარი რჩება.“¹⁸

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, ვფიქრობ, კანონმდებელმა აღნიშნული ნაკლი უნდა გამოსწოროს და ასევე, თვალსაჩინოდ ასახოს ის საშუალებები და გასატარებელი ღონისძიებები, რომელთა გამოყენებაც ხდება და უნდა მოხდეს იმ პირთა მიმართ, რომლებსაც სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა არ შეფარდებიათ.

¹⁷ მ.შალიკაშვილი, გ.მიქნაძე, მ.ხასია, სასჯელაღსრულების სამართალი, თბილისი 2014, გვ.81

¹⁸ მ.ლევკვიშვილი, სასჯელის ცნება და მიზნები, სისხლის სამართლის სახელმძღვანელო ზოგადი ნაწილი, მესამე გამოცემა ავტორთა კოლექტივი, თბილისი 2018, გვ.483-484

რესოციალიზაციასთან მიმართებაში ნამდვილად მისასალმებელია კანონმდებლის პოზიცია, რომელიც განმტკიცებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის მე-3 ნაწილში და კრძალავს სასჯელის მიზნის გამოყენებას ადამიანისათვის ტანჯვის მიყენებასა და მისთვის ღირსების დამცირებას.

სასჯელის სახისა და ზომის განსაზღვრა განსაკუთრებული მნიშვნელობის მატარებელია მსჯავრდებულის რესოციალიზაციის პროცესში, რასაც თავის მხრივ მივყავართ სასჯელის ეფექტურობამდე. „სასჯელის ეფექტურობა, პირველ რიგში, გულისხმობს მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდის შემდეგ მისი მორალური მრწამსიდან გამომდინარე, მომავალში დანაშაულის ჩადენაზე ხელის აღებას (...) დამნაშავის გამოსასწორებლად ხშირად საკმარისია მისი დადებითი მორალური თვისებების განმტკიცება და პატიოსანი ცხოვრებისადმი ინტერესის გაღვივება.“¹⁹ თუმცა, რესოციალიზაცია თავისი არსით კომპლექსური ცნებაა, რომელშიც თანაბრად უნდა იყოს ჩართული სახელმწიფო ინსტიტუტები, არასამთავრობო ორგანიზაციები, საზოგადოება და რასაკვირველია, თავად მსჯავრდებული.

„ყველა თანხმდება იმაზე, რომ „დამნაშავედ არ იბადებიან, არამედ ხდებიან“, მაგრამ საზოგადოებაში მაინც არსებობს არასწორი შეხედულება იმის შესახებ, რომ დამნაშავეთა გამოსწორება შეუძლებელია, რომ მათ დანაშაულის ჩადენა „სისხლში აქვთ გამჯდარი.“²⁰ სწორედ მსგავსი სტერეოტიპები და იარლიყის მიწებება არ აძლევენ მსჯავრდებულს იმ მინიმალურ ხელსაყრელ პირობებს, რათა სრულფასოვან მოქალაქეებად დაუბრუნდნენ საზოგადოებას და შეძლონ სოციუმის მინიმალური, მორალური თუ სამართლებრივი, წესების დაცვით მის სრულფასოვანად წევრად იგრძნონ თავი. „დამნაშავის რესოციალიზაცია, ანუ გამოსწორება, გულისხმობს დამნაშავის პიროვნების ისეთ გარდაქმნას, როცა იგი აღარ არღვევს სისხლის სამართლის კანონს და პატივს სცემს ადამიანური თანაცხოვრების წესებს.“²¹

მიუხედავად გავრცელებული მოსაზრებებისა, მნიშვნელოვანია, უპირველეს ყოვლისა საზოგადოებამ და სახელმწიფომ ირწმუნოს და მაქსიმალურად შეეცადოს მსჯავრდებულთა რესოციალიზაციას. ვინაიდან, „ამ მიზნის მიღწევის გარეშე სისხლის სამართლის სასჯელს აზრი ეკარგება და იგი სამაგიეროს მიზლის სახესხვაობად გადაიქცევა.“²² რესოციალიზაციისათვის, აგრეთვე მნიშვნელოვანია, არამხოლოდ შიდა კანონმდებლობა და მისი მოწესრიგება, არამედ გასათვალისწინებელია საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამოცემული რეკომენდაციები, რომლებიც უზრუნველყოფენ როგორც არასრულწლოვანთა, ისე სრულწლოვან მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის პროცესის ეფექტურ, სრულყოფილ და სწორად წარმართვას.

¹⁹მ.ლევკვიშვილი, სასჯელის ინდივიდუალიზაცია როგორც სასჯელი შეფარდების მნიშვნელოვანი პრინციპი, სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლობერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბილისი 2016, გვ.183

²⁰ ნ.აბაშიძე, დამნაშავის რესოციალიზაცია, როგორც სასჯელის ერთ-ერთი მიზანი, სტატია, სამოქალაქო ჩართულობის ცენტრი, თბილისი 2015, გვ.16

²¹ ზ.გოთუა, სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილი სასჯელი, ლექციების კურსი, თბილისი 2001, გვ.10

²² ავტორთა კოლექტივი, ნ.თოდუასა და გ.ნაჭყებიას რედ. სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილი(სახელმძღვანელო), თბილისი 2016, გვ.487

2. რესოციალიზაციის ურთიერთმიმართება სასჯელის სხვა მიზნებთან

სასჯელის დანიშვნა, მისი განხორციელება შეუძლებელი იქნება სასჯელის მიზნების არ არსებობის შემთხვევაში, როდესაც დაისჯება პიროვნება ისე, რომ ვერც სახელმწიფო, ვერც სოციუმი, ვერ მიხვდება თუ რატომ დაისაჯა ესა თუ ის პირი, წარმოიშვება უსამართლობისა და ტირანიის განცდა. ჩ.ბეკარია აღნიშნავდა: „ადამიანის ადამიანზე ძალაუფლების ყოველი გამოვლინება, რომელიც აბსოლუტური აუცილებლობიდან არ გამომდინარეობს, ტირანულს წარმოადგენს.“²³ „ნებისმიერი იძულება სამართლებრივად დასაბუთებული უნდა იყოს, სახელმწიფო, რომელსაც არ ძალუძს დამნაშავე დასაჯოს, ის, თავისთავსაც, ვერ დაიცავს (...) სამართლებრივად დასაბუთებული იძულება ისევე აუცილებელია სახელმწიფოსათვის, როგორც ადამიანისათვის ჰაერი.“²⁴ სწორედ სასჯელის მიზნებში აისახა ის ფუნდამენტალური პრინციპები, რაც დამნაშავესათვის შესაბამისი სასჯელის მისჯის არსებითი თვითმიზანი და საზოგადოების დაკვეთაა. სსსკ-ის 39-ე მუხლის პირველ ნაწილშია მოცემული სასჯელის მიზნები, რომელზე დაყრდნობითაც სასამართლო ბრალდებულს უფარდებს სასჯელს, კერძოდ: 1-სამართლიანობის აღდგენა, 2-ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და ბოლოს 3-დამნაშავეს რესოციალიზაცია.

კანონმდებლის მიერ სასჯელის მიზნების ასეთი თანმიმდევრობა ცხადყოფს, რომ დამნაშავეს რესოციალიზაცია სხვა მიზნებთან შედარებით „ბოლო“ ადგილასაა მოთავსებული, არადა სწორედ რესოციალიზაცია წარმოადგენს სასჯელის უმთავრეს მიზანს. რესოციალიზაცია, ახალი დანაშაულის თავიდან აცილებასთან კავშირში უმთავრესია დანაშაულებრიობასთან ეფექტური ბრძოლისათვის. ჯერ კიდევ ი.ჯავახიშვილი აღნიშნავდა: „სახელმწიფო და სასამართლოს ორგანოები გარკვეულ სასჯელებს დამნაშავეებს პირველად სწორედ გამოსწორების მიზნით უნიშნავდნენ“.²⁵ შესაბამისად, ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც არ არსებობდა საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ მიღებული ჰუმანური მიდგომები მსჯავრდებულთა მიმართ და შიდა კანონმდებლობაც, რა გასაკვირია, მოიკოჭლებდა მსგავს საკითხებში, მაშინაც კი პრიორიტეტი გამოსწორებაზე კეთდებოდა და არა ტანჯვისა თუ შურისძიების ნიადაგზე, მსჯავრდებულისათვის, სამაგიეროს მიზლვაში. აღსანიშნავია, რომ სწორედ მსჯავრდებულის გამოსწორება და საზოგადოების მორალურ და სამართლებრივ ჩარჩოებში დაბრუნებაა სასჯელის უმთავრესი თვითმიზანი, რათა შემცირდეს დანაშაულის ჩადენა. წინააღმდეგ შემთხვევაში გამოვა, რომ დამნაშავეს სამაგიეროს მიზლისა და შურისძიების გამო ვსჯით. აღნიშნულზე კი კაცობრიობამ დიდი ხანია უარი განაცხადა და სასჯელის ჰუმანურობის პრინციპს მინიჭა უპირატესობა. „ჰუმანიზმი ნიშნავს, „კაცთმოყვარეობას“²⁶ ადამიანის სიყვარულს,

²³ ი.ხუცურაული, ჩუხარე ბეკარია, დანაშაულისა და სასჯელისათვის, თბილისი 2003, გვ.32

²⁴ ბ.ზოიძე, საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, თბილისი 2007, გვ.132

²⁵ ი.ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი VII, თბილისი, 1984, გვ. 379

²⁶ ა.ჩიქობავა მთავარი რედ. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი თბილისი 1986. გვ.591

მისი პიროვნებისადმი პატივისცემას, მისივე ინტერესების, უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა-გათვალისწინებას.”²⁷

რესოციალიზაცია ზოგიერთის აზრით იწყება სასჯელის დანიშვნის მომენტიდან, თუმცა დავამატებ, რომ პირის რესოციალიზაცია იწყება, არა სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლიდან, არამედ ბრალდებულის სამართალდამცავ ორგანოებთან პირველივე კონტაქტიდან.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, სახელმწიფოს პოლიტიკა სწორედ მსჯავრდებულის გამოსწორებაზე ორიენტირებულ მიდგომებს ეფუძნებოდეს და არა გარკვეული ან გაურკვეველი ვადით მის ცხრაკლიტულში გამოკეტვით ინუგეშებდეს თავს, რომ თავისუფლებადკვეთილი პირები, თავისუფლების აღკვეთის პერიოდში, საზოგადოებას აღარ მიაყენებენ, თავისი დანაშაულებრივი ქმედებებით, ზიანს. როგორც ჩ.ბეკარია აღნიშნავდა: „უკეთესია დანაშაულის თავიდან აცილება, ვიდრე დასჯა. ამაში მდგომარეობს ყოველი კარგი კანონმდებლობის მთავარი მიზანი, რომელიც წარმოადგენს ადამიანის რაც შეიძლება მეტი ბედნიერებისაკენ ან შესაძლო ნაკლები უბედურებისაკენ წამდვარების ხელოვნებას, თუ ვილაპარაკებთ ცხოვრებაში სიკეთისა და ბოროტების საერთო შედეგზე.”²⁸

2.1 რესოციალიზაცია და სამართლიანობის აღდგენა

„სამართლიანობა იმიტომ უყვართ ღმერთებს, რომ ის სამართლიანობაა, თუ ღმერთებს რომ უყვართ იგი, იმიტომაც სამართლიანობა?!“ (პლატონი „ეუთიპრონი“)²⁹

კანონმდებელმა სწორედ სამართლიანობის აღდგენა დააყენა პირველ რიგში სასჯელის დანარჩენ მიზნებთან მიმართებით. კანონმდებლის აღნიშნული მიდგომა, შესაძლოა, ერთის მხრივ გამომდინარეობს ადამიანის ბუნებიდან, რათა დამნაშავისათვის სამაგიეროს მიზლით აღადგინოს დანაშაულებრივ ხელყოფამდე არსებული მდგომარეობა. როგორც გ.დავითაშვილი აღნიშნავს: „დაზარალებული მხარისათვის მთავარია შედეგი, იგი დანაშაულში ხედავს მხოლოდ ზიანს და მიისწრაფვის ამ ზიანის ანაზღაურების მიღწევისაკენ, ან შურისძიებისაკენ.”³⁰ მ.ქათამაძის აზრით: „სასჯელი, როგორც სამართლებრივი იძულების ერთ-ერთი სახე, მიზნად ისახავს სამართლიანობის აღდგენას, ანუ დარღვეულის აღდგენაში გამოიხატება. პირველ რიგში, უნდა ვიგულისხმოთ, რომ დანაშაულის ჩადენის მომენტამდე, იმ ადგილას, სადაც დანაშაულია ჩადენილი, არსებობდა სამართლიანობა. დანაშაული არღვევს ამ სამართლიანობას, ამიტომ სასამართლო

²⁷ სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, ავტორთა კოლექტივი (რედ. გ.ნაჭყებია, ი.დვალიძე), თბილისი 2007, გვ.33

²⁸ ი.ხუცურაული, ჩეზარე ბეკარია, დანაშაულისა და სასჯელისათვის, თბილისი 2003, გვ.197

²⁹ ი.თაბორიძე, ბუნებითი სამართლის როლი ადამიანის ღირსების გაგების ჩამოყალიბებაში, ჟურ: ქართული სამართლის მიმოხილვა სპეციალური გამოშვება 2004, გვ.102

³⁰ გ.დავითაშვილი, დანაშაულის ინსტიტუტთან დაკავშირებული ზოგიერთი ასპექტი ქართულ ჩვეულებით სამართალში, ჟურნალი: ქართული სამართლის მიმოხილვა, ტომი 10, N4, 2007, გვ.422

მისი აღდგენისათვის ბრალეულ პირს უნიშნავს სასჯელს.³¹ მეორეს მხრივ, არანაკლებ მნიშვნელოვანია ქართული ჩვეულებითი სამართლის გავლენაც. „თითქმის მეთვრამეტე საუკუნემდე გაბატონებული იყო მოსაზრება, რომ სასჯელი, ეს არის შურისძიება, ნაცვალები ჩადენილი დანაშაულისათვის, რომ ბოროტებას თანაბარი ბოროტებით უნდა გაეცეს პასუხი.“³² ანუ გაბატონებული იყო ე.წ. „ტალიონის პრინციპი“. ტალიონის პრინციპი, გულისხმობდა „თვალი თვალის წილ, კბილი კბილის წილ“ დამოკიდებულებას, „რომელიც სასჯელს განიხილავს, როგორც შურისძიებას და მოითხოვს ჩადენილი ქმედების თანაზომიერი სამაგიეროს გადახდას. ეს პრინციპი გამოხატულია უძველეს კანონებში.“³³ აღნიშნულ მოსაზრებას ავითარებს აგრეთვე მ.ლეკვიშვილი.³⁴

თ.დონჯაშვილის განმარტებით: „სამართლიანობა ფილოსოფიურ-ეთიკური კატეგორიაა. სამართლიანობა გამოიხატება ადამიანების პატივისცემით, კეთილმოსურნე დამოკიდებულებაში ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებისადმი, რომლებიც განმტკიცებულია კულტურის ნორმებში.“³⁵ თუმცაღა, რაც არ უნდა პატივს სცემდე და კეთილმოსურნედ უდგებოდე ზოგადსაკაცობრიო კულტურულ ნორმებს, ვფიქრობ, მხოლოდ აღნიშნული არ წარმოადგენს სამართლიანობის ძირითად არსს, ვინაიდან სამართლიანობა ცალკე აღებული სუბიექტური და შეფასებითი ცნებაა. ის, რაც სამართლიანია ერთისთვის, უსამართლოა მეორესთვის. სამართლიანობას თუ განვიხილავთ დანაშაულთან მიმართებით, „დანაშაულებრივი ქმედების ჩადენა ყოველთვის არის სამართლიანობის დარღვევა. იგი ზიანს აყენებს პიროვნებას, სახელმწიფოს, ხელყოფს დაზარალებულთა უფლებებს.“³⁶ სწორედ ხელყოფილი უფლებების მეტ-ნაკლები რესტიტუციის საშუალებას წარმოადგენს სამართლიანობა.

სამართლიანობის აღდგენასთან ერთად მნიშვნელოვანია, ასევე განვიხილოთ სოციალური სამართლიანობის აღდგენაც. რაც გულისხმობს, „დანაშაულებრივი ქმედების შედეგად შელახული ადამიანის, საზოგადოებისა თუ სახელმწიფოს ინტერესის აღდგენას.“³⁷ „სოციალური სამართლიანობა მიიღწევა სხვადასხვა ხერხებით, რომელიც დამოკიდებულია ცალკეული დანაშაულობების ხარისხობრივ და რაოდენობრივ დახასიათებაზე.“³⁸ აღსანიშნავია, რომ ქონებრივი ხასიათის სასჯელებს უფრო ახასიათებთ აშკარა აღდგენითი თვისება, თუმცაღა იქ სადაც

³¹ მ.ქათამაძე, სასჯელის მიზნები სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, აღმანახი №19 სისხლის სამართალი (III), საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბილისი 2004, გვ.52

³² იხ.ზ.გოთუა, სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილი სასჯელი, ლექციების კურსი, თბილისი 2001, გვ.7

³³ იხ. მ.ჩაქსელიანი, სასჯელის მიზნები სასჯელის ევოლუციის თეორიაში, აკადემიური მაცნე I, გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 2012, გვ. 127

³⁴ იხ. მ.ლეკვიშვილი, სასჯელის მიზნები და სასჯელის შეფარდების სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები, ჟურ: მართლმსაჯულება და კანონი N4(43), 2014, გვ.19

³⁵ თ.დონჯაშვილი, შ.ფაფიაშვილის რედ.საქართველოს სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბილისი 2007, გვ.367

³⁶ თ.დონჯაშვილი, შ.ფაფიაშვილის რედ.საქართველოს სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბილისი 2007, გვ.367

³⁷ მ.ლეკვიშვილი, სასჯელის ცნება და მიზნები, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, მესამე გამოცემა, ავტორთა კოლექტივი, თბილისი 2018, გვ.64

³⁸ ზ.მქავანაძე, ო.მინდაძე, სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილი ლექციები კომენტარები, ქუთაისი 2005, გვ.302

ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის გამო სასჯელის აღდგენითი ხასიათის გამოხატვა შეუძლებელია, მაშინ იგი სასჯელის სიმკაცრეში პოულობს ასახვას. რაც თავის მხრივ, დაზარალებულისა და საზოგადოების მორალურ მოთხოვნილებას აკმაყოფილებს.

პროფ. ი.დვალის მოსაზრებით: „სასჯელის უპირველესი მიზანი, სწორედ, სამართლიანობის აღდგენაა. თუნდაც სასჯელის ნებისმიერი სხვა მიზანი აღსრულდეს, განა შეიძლება ითქვას, რომ სასჯელი თავის ფუნქციურ დატვირთვას ასრულებს, თუ სამართლიანობა არ აღდგა? ბუნებრივია, არა, რადგან ეს სახელმწიფოს უფლებას სასჯელზე ძირს გამოუთხრის.“³⁹ უდავოა, რომ სამართლიანობის აღდგენა არის სასჯელის მიზანი და მისი უგულვებლყოფა შეუძლებელი და დაუშვებელია, თუმცაღა უნდა აღვნიშნო, რომ სამართლიანობის აღდგენა „უცილობლად გულისხმობს დანაშაულის ჩადენით გამოწვეული მრისხანების, ზიზდის, სიძულვილის, ანგარიშსწორების სურვილის დაკმაყოფილებას, რაც დამახასიათებელი გრძნობაა ადამიანისათვის და თავისთავად აღმოცენდება დანაშაულის ჩადენის ფაქტზე ინფორმაციის მიღებისთანავე.“⁴⁰ სწორედ აღნიშნული კერძო თუ საზოგადო ინტერესების ასახვის გამოძახილია სასჯელის აღნიშნული მიზანი და ნაკლებად წარმოადგენს სახელმწიფოს უპირველეს სასჯელის მიზანს. ვინაიდან, თავისი არსით, სახელმწიფოებრივ ინტერესს, ნაკლებად უნდა წარმოადგენდეს კერძო პირებს შორის არსებული უმართლობის აღდგენა. სახელმწიფოს უმთავრესი საზრუნავია, რომ მსგავსი უმართლობები აღარ ხდებოდეს. აღნიშნულისათვის კი სამაგიეროს მიზღვა ნაკლებ ეფექტური და ზედმეტად ადამიანური ბუნების მატარებელია. „როდესაც დაზარალებული და საზოგადოება აღმოაჩენს, რომ ბრალდებული დანაშაულისათვის სათანადოდ დაისაჯა, ისინი მიაღწევენ გარკვეულ კმაყოფილებას.“⁴¹ მსგავს მოსაზრებას ავითარებს გ.ნაჭყებია, რომ: „სასჯელის სამართლიანობა, ერთი მხრივ, აკმაყოფილებს საზოგადოებრივ გრძნობას, მართლშეგნებას, რომ დანაშაულის ჩადენით ხელყოფილი სამართლიანობა აღდგენილია, ხოლო, მეორე მხრივ, იგი ხელს უწყობს მსჯავრდებულის მხრივ სასჯელისათვის სწორი დამოკიდებულების შემუშავებას.“⁴² აღსანიშნავია, რომ პროფ. ი.დვალის ზემოაღნიშნულ მოსაზრებას ასევე არ ეთანხმება ი.ვარძელაშვილი და აღნიშნავს, რომ „რა თქმა უნდა სამართლიანობის აღდგენა სასჯელის ერთ-ერთი მიზანია და მისი უგულვებლყოფა დაუშვებელია, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ იგი სასჯელის უპირველესი მიზანია. (...) მიმაჩნია, რომ დამნაშავის რესოციალიზაცია არის სასჯელის უმთავრესი მიზანი.“⁴³

სამართლიანობის აღდგენის მიზანს უკავშირდება სასჯელის აბსოლუტური თეორია, რომლის სულისჩამდგმელებიც იყვნენ ჰეგელი და კანტი. მათთვის სასჯელი წარმოადგენდა სამაგიეროს მიზღვის საშუალებას. „კანტის შეხედულებით,

³⁹ ი.დვალის, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, თბილისი 2013, გვ.25

⁴⁰ ზ.გოთუა, სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილი სასჯელი, ლექციების კურსი, თბილისი 2001, გვ.8

⁴¹ Purposes of punishment, criminal law, University of Minnesota Libraries Publishing edition, 2015. <http://open.lib.umn.edu/criminallaw/front-matter/publisher-information/> (05.05.2019)

⁴² გ.ნაჭყებია, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი 2011, გვ.102

⁴³ ი.ვარძელაშვილი, სასჯელის მიზნები, თბილისი 2016, გვ. 85

სამაგიეროს გადახდა ცხოვრებაში ზედმიწევნით ვერ განხორციელდება, ამიტომ სასჯელმა დამნაშავეს უნდა განაცდევინოს ისეთივე ტანჯვა, როგორც მან მიაყენა დაზარალებულს დანაშაულით.“⁴⁴ ი.ვარძელაშვილი აღნიშნავს: „აბსოლუტური თეორიის მიმდევრები სასჯელის მიზანს სამაგიეროს მიზლვაში ხედავდნენ. მათი აზრით, ადამიანს ვსჯით იმიტომ, რომ მან ჩაიდინა დანაშაული.“⁴⁵ „მოცემულ თეორიის საპირწონედ, სამართლის კლასიკური სკოლის მიმდევრები ეწინააღმდეგებოდნენ და უარყოფდნენ სამაგიეროს მიზლვას, როგორც სასჯელის მიზანს. რომელთაგან გამოირჩეოდა ანსელმ ფოიერბახი.“⁴⁶

სასჯელის მიზნებთან მიმართებით საინტერესოა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის პალატის 2017 წლის 12 იანვრის განაჩენი, სადაც პირს ბრალად ედებოდა საქართველოს სსკ-ის 238¹ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული, ცივი იარაღის ტარებისათვის ნასამართლევი პირის მიერ, ცივი იარაღის ტარება. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 6 ოქტომბრის განაჩენით იგი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 238¹ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა ჯარიმა 1000 (ათასი) ლარის ოდენობით, რაც ბრალდების მხარემ გაასაჩივრა და მოითხოვა უფრო მკაცრი სასჯელის განსაზღვრა, რომ, მოცემულ შემთხვევაში, დანიშნული სასჯელი ვერ უზრუნველყოფს სასჯელის მიზნებს, სამართლიანობის აღდგენას, ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას და დამნაშავეს რესოციალიზაციას.

სააპელაციო სასამართლომ უცვლელად დატოვა საქალაქო სასამართლოს განაჩენი და არ დააკმაყოფილა ბრალდების მხარის საჩივარი და აღნიშნა, რომ სასჯელის გამაფრთხილებელი ზემოქმედება მძიმე სახის სასჯელის დანიშვნის სიმკაცრეში კი არაა, არამედ მის გარდაუვალობაში. დამნაშავეს დასჯა არ არის სასჯელის ძირითადი მიზანი და შესაბამისად, სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის გათვალისწინებით მიიჩნია, რომ მსჯავრდებულის მიმართ არ იყო აუცილებელი შედარებით მძიმე პასუხისმგებლობის დაკისრება, რასაც ბრალდების მხარე მოითხოვდა.⁴⁷

საინტერესოა ფაქტია, რომ სააპელაციო სასამართლომ მხედველობაში არ მიიღო პირის მსგავს დანაშაულში ნასამართლეობა, თუმცაღა ცალსახა და გასაზიარებელია მისი პოზიცია სასჯელის მიზნებთან მიმართებით. მ.ლევკვიშვილის აზრით, „სამართლიანი განაჩენი უნდა იყოს დამნაშავეს რაციონალური, მიზანშეწონილი დასჯა, რაც ხელს შეუწყობს დამნაშავეობასთან წარმატებულ ბრძოლას“,“⁴⁸ ხოლო, „თუ

⁴⁴ მ.ჩაქსელიანი, სასჯელის მიზნები სასჯელის ევოლუციის თეორიაში, აკადემიური მაცნე I, გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 2012, გვ.127

⁴⁵ ი.ვარძელაშვილი, სასჯელის მიზნები, თბილისი 2016, გვ.56

⁴⁶ იხ. მ.ლევკვიშვილი, სასჯელის ინდივიდუალიზაცია როგორც სასჯელი შეფარდების მნიშვნელოვანი პრინციპი, სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბილისი 2016, გვ.161

⁴⁷ იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის საქმეთა პალატის 2017 წლის 12 იანვრის განაჩენი, საქმე N1/ზ-1123-16

⁴⁸ მ.ლევკვიშვილი, სასჯელის მიზნები და სასჯელის შეფარდების სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“ №4, 2014, გვ.22

სასჯელის მიზანი დასჯა არ არის, რატომ არ ხდება პირის გათავისუფლება დაკისრებული სასჯელის მოხდისაგან, თუ მიჩნეულია, რომ მან უკვე შეძლო რესოციალიზაციის პროცესის წარმატებით დასრულება.”⁴⁹

2.2 რესოციალიზაცია და ახალი დანაშაულის თავიდან აცილება

სსსკ-ის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სასჯელის კიდეც ერთ მიზანს წარმოადგენს, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება. „სისხლის სამართლის თეორიაში ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას პრევენციას უწოდებენ. სიტყვა პრევენცია ლათინური წარმოშობის სიტყვაა - Praeventio და ნიშნავს რისიმე თავიდან ასაცილებლად წინასწარი ზომების მიღებას.”⁵⁰ პროფ. მ.შალიკაშვილის აზრით კი: „დანაშაულის პრევენცია, სავარაუდოდ ანგლო-ამერიკული crime prevention - ტერმინიდან მომდინარეობს.”⁵¹

„ახალი დანაშაულის თავიდან აცილების მიზნის რეალიზაცია გულისხმობს ახალი დანაშაულის ჩადენის დაუშვებლობას, როგორც მსჯავრდებულის, ასევე სხვა პირების მიერ. განხორციელება დაკავშირებულია სასჯელის ზემოქმედებაზე თვით იმ პიროვნებაზე, რომელიც მსჯავრდებულია, აგრეთვე სხვა მოქალაქეებზე, რომლებიც იძულებულნი არიან დაიცვან წესრიგი თუნდაც სისხლის სამართლის სასჯელის შიშით.”⁵²

პრევენციის კუთხით, სისხლის სამართალში გამოყოფენ ორი სახის პრევენციას, ესენია: გენერალური იგივე საერთო, ზოგადი პრევენცია და სპეციალურს, იგივე კერძოს. აღსანიშნავია, რომ სსსკ-ის 39-ე მუხლში არაა დაკონკრეტებული ზოგადი და კერძო პრევენცია, თუმცა უნდა ვივარაუდოთ, რომ აღნიშნული მუხლის პირველ ნაწილში, იგულისხმება ორივე სახის პრევენცია. ასევე, ზოგადი პრევენცია შეიძლება მოიაზრებოდეს, 39-ე მუხლის მეორე ნაწილშიც, სადაც საუბარია მსჯავრდებულსა და სხვა პირზე ზემოქმედებაში. როგორც მ.ტურავა აღნიშნავს: „სსსკ-ის 39-ე მუხლის მეორე ნაწილში მოცემულია სასჯელის პოზიტიური გენერალური პრევენციის დებულება.”⁵³ თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნე, სსსკ-ის არსებობა, თავისთავად გულისხმობს ზოგადი პოზიტიური პრევენციის განხორციელებას და აღნიშნულის ცალკე მუხლში მოაზრება ცოტა გაურკვეველია.

როგორც, ი.ვარძელაშვილი აღნიშნავს: „თანამედროვე სასჯელის თეორიები ორიენტირებულია პრევენციაზე. გერმანულ სამართლებრივ ლიტერატურაში მითითებულია, რომ სისხლის სამართალი გენერალური და სპეციალური პრევენციული ზემოქმედების გარეშე იქნებოდა არა მხოლოდ უსარგებლო, არამედ

⁴⁹მ.ლევკვიშვილი, სასჯელის ცნება და მიზნები, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, მესამე გამოცემა, ავტორთა კოლექტივი, თბილისი 2018, გვ.481

⁵⁰ ი.ვარძელაშვილი, სასჯელის მიზნები, თბილისი 2016, გვ.61

⁵¹ მ.შალიკაშვილი, კრიმინოლოგია, თბილისი 2010, გვ.282

⁵² იხ.თ.დონჯაშვილი, საქართველოს სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილი, რედ. შ.ფაფიაშვილი, თბილისი 2007, გვ.369

⁵³ მ.ტურავა, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეცხრე გამოცემა, თბილისი 2013, გვ.354

უზნეოც.”⁵⁴ რასაკვირველია, დანაშაულის მთლიანად აღკვეთა წარმოუდგენელია, თუმცადა სახელმწიფომ და საზოგადოებამ ყოველი ღონე უნდა იხმაროს, მის აშკარა შესამცირებლად. ჩ.ბეკარია აღნიშნავდა: „შუძლებელია თავიდან ავიცილოთ ადამიანთა საყოველთაო ვნებათა ბრძოლით წარმოშობილი მთელი ბოროტება. ის მოსახლეობის ზრდისა და აქედან მზარდი კერძო ინტერესების შჯახებების შესაბამისად იმატებს.”⁵⁵ სწორედ მზარდმა სოციალურ-ეკონომიკურმა პირობებმა და შესაბამისად მზარდმა დანაშაულის ჩადენამ, საჭირო გახადა მართვის სადავეების სახელმწიფოსათვის სრულად გადაცემა. „სახელმწიფო მოგვევლინა დამგეგმავ, ორგანიზატორ და პრობლემის გადაძქრელ ორგანოდ. სწორედ ამიტომ მიანდო სისხლისსამართლებრივმა აზროვნებამ სახელმწიფოს, სისხლის სამართლებრივი იძულებითი სახის ინსტრუმენტების გამოყენება.”⁵⁶

სასჯელის ორივე სახის პრევენცია, როგორც გენერალური, ისე სპეციალური იყოფა პოზიტიურ და ნეგატიურ პრევენციებად. შესაბამისად, საჭიროა მათი გამიჯვნა და თითოეული მათგანის განხილვა. გენერალური ანუ ზოგადი პრევენცია გულისხმობს, „დანაშაულის თავიდან აცილებას საზოგადოებაში სამართლებრივი ცნობიერების ამაღლებისა და პოტენციური დამნაშავეების დაშინებას.”⁵⁷

პროფ. მ.შალიკაშვილის განმარტებით, „პოზიტიური გენერალური პრევენცია მიზნად ისახავს ქვეყნის მოსახლეობაში კონფორმული საქციელის გაძლიერებას. აღნიშნული გულისხმობს, რომ ნორმის დარღვევის შემთხვევაში სასჯელი გამოიყენება აბსტრაქტულად, ხოლო კონკრეტულად კი იგულისხმება დამნაშავე პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება ჩადენილი დანაშაულის ადეკვატური სასჯელით მისი გასამართლება და სასჯელის მოხდა, რათა მოსახლეობაში კანონის მორჩილებას ჰქონდეს ადგილი.”⁵⁸

„სასჯელი ემსახურება საზოგადოებრივი ცხოვრების პრაქტიკულ მოთხოვნილებებს და ამიტომ მიზანშეწონილ ხასიათს უნდა ატარებდეს.”⁵⁹ აღსანიშნავია, რომ სახელმწიფომ და სამართალდამცავმა ორგანოებმა ყოველი ღონე უნდა იხმარონ, რათა სათანადოდ გამოძიებული და აღკვეთილი იყოს თითოეული დანაშაულებრივი ქმედება, მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს ყოველი დანაშაულის გახსნის შესაძლებლობის ილუზია, თუმცადა მათი აქტიური ჩართულობა, კიდევ ერთ დადებით გავლენას მოახდენს საზოგადოებაზე და გაცილებით დიდი პრევენციული ძალა ექნება სასჯელს. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ პოზიტიური გენერალური პრევენცია მოქმედებს განუსაზღვრელი პირთა წრის მიმართ, განსხვავებით ნეგატიური სპეციალური პრევენციისაგან სადაც „ცალკეულ პირთა დასჯა აშინებს აგრეთვე საზოგადოების წევრებს და მათ დანაშაულის ჩადენას

⁵⁴ ი.ვარძელაშვილი, სასჯელის მიზნები, თბილისი 2016, გვ.61

⁵⁵ ი.ხუცურაული, ჩ.ბეკარია დანაშაულისა და სასჯელისათვის, თბილისი 2003, გვ.47

⁵⁶ იხ.მ.შალიკაშვილი, კრიმინოლოგია, მეორე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა, თბილისი 2011, გვ.223

⁵⁷ იხ.მ.შალიკაშვილი, კრიმინოლოგია, მესამე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა, თბილისი 2017, გვ.186

⁵⁸მ.შალიკაშვილი, კრიმინოლოგია, მესამე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა, თბილისი 2017, გვ.186

⁵⁹ ალ.ვაჩეიშვილი, სასჯელი და სოციალური დაცვის ღონისძიებანი, თბილისი 1960, გვ.42

გადააფიქრებინებს.”⁶⁰ ნეგატიური გენერალური პრევენცია, პოზიტიურისაგან განსხვავებით, არის დაშინება, მოსახლეობაში სასჯელის მიმართ შიშის დანერგვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული დანაშაული. „ნეგატიური გენერალური პრევენციის დღეს მოქმედი „შემინების კონცეფცია” მომდინარეობს უტილიტარიზმის სოციალ-ფილოსოფიური ტრადიციიდან, რომელიც ეკონომიური მეცნიერების მიერ იქნა დამუშავებული. ამ მოსაზრების მიხედვით, სასჯელი, როგორც ფასის სისტემა ისე ფუნქციონირებს. ფასი, რომელიც ამა თუ იმ პირმა უნდა გადაიხადოს, მოტივაციას აძლევს მას ჩაიდინოს თუ არა მომავალში ეს ქმედება.”⁶¹ „ადამიანთა გარკვეული ჯგუფი თავს იკავებს დანაშაულის ჩადენისაგან იმის გამო, რომ ეშინია დასჯისა, წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლოა, ჩაედინა დანაშაული.”⁶² თუმცა, შეუძლებელია აღნიშნული თეორია გავავრცელოთ ყველა ტიპის საზოგადოებასა და შესაბამისად, ყველა ტიპის ადამიანზე, ვინაიდან ზოგიერთისათვის დანაშაულის ჩადენა მის სულში ზის და არას დაგიდევთ სასჯელის შიშსა თუ მის სიმკაცრეს. მ.ჩაქსელიანი აღნიშნავს, რომ, „შესაძლოა ყველაზე სასტიკი სასჯელის მუქარამაც კი ვერ შეაჩეროს კანონდამრღვევი. ცნობილია ქურდის სიკვდილით დასჯის მაცქერალ ბრბოში ქურდობის ჩადენის ფაქტებიც. ყველაზე სასტიკი დაშინების დროსაც კი დამნაშავეს რჩება სასჯელისაგან თავის დაღწევის იმედი.”⁶³ ჩ.ბეკარიაც სასჯელის ზოგადპრევენციულ თეორიას ემხრობა და აღნიშნავს, რომ: „შიში კანონის წინაშე კეთილისმქმნელია, მაგრამ შიში ადამიანისა ადამიანის მიმართ დამღუპველია და წარმოშობს დანაშაულს.”⁶⁴ შესაბამისად, სასჯელის ნეგატიური გენერალური პრევენციის თეორიის ეფექტურობა ეჭვქვეშ დგება. ახალი დანაშაულის თავიდან აცილება უნდა გამოიხატოს, არა სასჯელის სიმკაცრეში და სისასტიკეში, არამედ მის გარდუვალობაში. „დანაშაულის აღმოფხვრის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერმოქმედი საშუალების არსი მდგომარეობს არა სასჯელის სისასტიკეში, არამედ მის გარდაუვალობაში.”⁶⁵

რაც შეეხება, სასჯელის სპეციალურ პრევენციას, თავის მხრივ, იგი იყოფა პოზიტიურ და ნეგატიურ პრევენციებად. „სასჯელის სპეციალური ანუ ინდივიდუალური პრევენციის მიზანია დამნაშავე პირისადმი ინდივიდუალური მიდგომა და მასზე დაშინებისა და გამოსწორების ზემოქმედების ფორმით ახალი დანაშაულის თავიდან აცილება.”⁶⁶ ი.ვარძელაშვილის აზრით, „სასჯელის სპეციალური, ანუ კერძო პრევენცია გულისხმობს, დანაშაულის თავიდან აცილებას მსჯავრდებულის მხრიდან. სასჯელის დანიშვნის და მისი მოხდის შემდეგ

⁶⁰ ქ.მჭედლიშვილი-ჰედრისი, სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილი პირველი დანაშაული, ძირითადი საკითხები კითხვა-პასუხებით, თბილისი 2014, გვ.15

⁶¹ მ.შალიკაშვილი, კრიმინოლოგია, მესამე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა, თბილისი 2017, გვ.186

⁶² მ.ლევკვიშვილი, სასჯელის ცნება და მიზნები, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, ავტორთა კოლექტივი, თბილისი 2016, გვ.481

⁶³ მ.ჩაქსელიანი, სასჯელის მიზნები სასჯელის ევოლუციის თეორიაში, აკადემიური მაცნე I, გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 2012, გვ.129

⁶⁴ ი.ხუცურაული, ჩეხარე ბეკარია დანაშაულისა და სასჯელისათვის, თბილისი 2003, გვ.199

⁶⁵ ი.ხუცურაული, ჩეხარე ბეკარია დანაშაულისა და სასჯელისათვის, თბილისი 2003, გვ.124

⁶⁶ მ.შალიკაშვილი, კრიმინოლოგია, მესამე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა, თბილისი 2017, გვ.187

მსჯავრდებულს აღარ უნდა ჰქონდეს სურვილი, რომ ხელმეორედ ჩაიდინოს დანაშაული.(...) სპეციალური პრევენციის თეორია გვიჩვენებს სასჯელის პრევენციულ ზემოქმედებას. იგი გავლენას ახდენს თვით დამნაშავეზე, რათა შემდგომში გამოირიცხოს მისი მხრიდან დანაშაულის ჩადენა.”⁶⁷

„სასჯელის პოზიტიური სპეციალური პრევენცია გულისხმობს მსჯავრდებულის მხრიდან ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას მისი რესოციალიზაციის გზით.“⁶⁸ „პოზიტიური სპეციალური პრევენცია მიზნად ისახავს რესოციალიზაციის გზით ისეთი დამნაშავის ისეთ საზოგადოებაში დაბრუნებას, რომლის გამოსწორებაც ჯერ კიდევ შესაძლებელია.“⁶⁹ ფაქტობრივად აღნიშნული თეორია აფასებს მსჯავრდებულს აქვს თუ არა მას გამოსწორების შანსი, რომლის მიხედვითაც სასამართლო შესაბამის ადეკვატურ სასჯელს განუსაზღვრავს. „კერძო პრევენციის მიზანი მიიღწევა მსჯავრდებულზე სასჯელის ისეთი ზემოქმედებით, რომ მომავალში აღარ ჩაიდინოს ახალი დანაშაული. ეს უკანასკნელი კი მიიღწევა მსჯავრდებულის გამოსწორების გზით, რომელიც სასჯელის მოხდის პროცესში უნდა განხორციელდეს.”⁷⁰ პროფ. მ.შალიკაშვილის აზრით, „პოზიტიური სპეციალური პრევენცია გულისხმობს დამნაშავის რესოციალიზაციას, რათა მან აღარ ჩაიდინოს დანაშაული და საზოგადოებას სრულფასოვან წევრად დაუბრუნდეს. აგრეთვე, მისი რესოციალიზაცია უნდა მოხდეს ისეთი ღონისძიებების გამოყენებით, რომელთა მიზანია დამნაშავის პიროვნულ განვითარებაში არსებული სოციალიზაციის ნაკლებობის გამოსწორება.”⁷¹ მარტივად, რომ ვთქვათ, „რესოციალიზაცია, ესაა, პროცესი, რომლის დროსაც დამნაშავე გარდაიქმნება კანონმორჩილ მოქალაქედ.”⁷²

სასჯელის ნეგატიური სპეციალური პრევენცია, განსხვავებით პოზიტიური სპეციალური პრევენციისაგან, ორიენტირებულია მსჯავრდებულის დაშინებაზე. „ნეგატიური სპეციალური პრევენციის თეორიის მიხედვით, საზოგადოება დაცული უნდა იქნეს გამოუსწორებელი დამნაშავისაგან მისი ხანგრძლივი დროით საზოგადოებისაგან იზოლაციით, რათა აღიკვეთოს მის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენა.”⁷³ „ნეგატიური სპეციალური პრევენციისათვის სასჯელის მიზანია დამნაშავის შეშინება, რათა მან მომავალში აღარ ჩაიდინოს დანაშაული. გარდა ამისა, მისი მიზანია საზოგადოების დაცვა ახალი დანაშაულის ჩადენისაგან, ამიტომ დამნაშავის მიმართ გამოყენებული სასჯელი უნდა იყოს მის მიერ ჩადენილი დანაშაულის და დამნაშავის პიროვნებიდან გამომდინარე საზოგადოებრივი საშიშროების ადეკვატური.”⁷⁴ პროფ. მ.შალიკაშვილი დანაშაულის თავიდან

⁶⁷ ი.ვარძელაშვილი, სასჯელის მიზნები, თბილისი 2016, გვ.75

⁶⁸ ი.ვარძელაშვილი, სასჯელის მიზნები, თბილისი 2016, გვ.78

⁶⁹ მ.ტურავა, სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, თბილისი 2011, გვ.44

⁷⁰ ი.ვარძელაშვილი, სასჯელის მიზნები, თბილისი 2016, გვ.80

⁷¹ ი.მ.შალიკაშვილი, კრიმინოლოგია, მესამე შეესებული და გადამუშავებული გამოცემა, თბილისი 2017, გვ.187

⁷² Stephen Stanko, Wayne Gillespie, Gordon A. Crews, Living in prison: A History of the Correctional Systems with an insider's view, Greenwood Press, Westport, Connecticut, London, 2004, P.64

⁷³ ი.ვარძელაშვილი, სასჯელის მიზნები, თბილისი 2016, გვ.81

⁷⁴ მ.შალიკაშვილი, კრიმინოლოგია, მესამე შეესებული და გადამუშავებული გამოცემა, თბილისი 2017, გვ.187

ასაცილებლად პედაგოგიურ პრევენციას მიიჩნევს და აღნიშნავს: „დანაშაულის თავიდან ასაცილებლად მნიშვნელოვანია პედაგოგიური პროფილაქტიკა - პედაგოგიური პრევენცია, რაც გულისხმობს აღზრდის დეფექტების გამოსწორებას, განსაკუთრებით სამართლებრივი და ზნეობრივი შეგნების შეცვლას ან ჩამოყალიბებას.“⁷⁵

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ დანაშაულის თავიდან აცილება განვიხილოთ, სასჯელის სხვა მიზნებთან კავშირში და არა ცალკე განყენებულად. აღსანიშნავია, რომ დამნაშავის რესოციალიზაცია და დანაშაულის თავიდან აცილება მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან და სახელმწიფოს სწორი პრევენციული პოლიტიკის მეშვეობით სავსებით შესაძლებელია ისეთი სოციალური მოვლენის კონტროლი, როგორცაა დანაშაული. თუმცაღა, აღსანიშნავია, რომ ნებისმიერი აქტივობა, თუ ღონისძიება, რომელიც მიმართულია დანაშაულის თავიდან აცილებისკენ, დაკავშირებულია, როგორც ადამიანურ, ასევე ფულად რესურსებთან. შესაბამისად, მათ ოპტიმალურ გამოყენებაზე და სახელმწიფოს პოლიტიკაზეა დამოკიდებული დანაშაულის თავიდან აცილება. როგორც ლ.ლაზარუსი აღნიშნავს, „რესოციალიზაციის მიზანია, კანონდამრღვევი პირის (დამნაშავის) საზოგადოებაში რეინტეგრაცია, თუმცაღა ამ მიზნის მისაღწევი გზების დასახვა და განხორციელება დამოკიდებულია კანონშემოქმედებაზე, რითაც წყვეტენ საკითხს, თუ როგორ უნდა მოხდეს ამ მიზნის მიღწევა.“⁷⁶

3. რესოციალიზაციის გამოყოფა სხვა მომიჯნავე ცნებებისაგან

მსჯავრდებულის რესოციალიზაცია, საკმაოდ კომპლექსური და მრავალსაპექტიანი პროცესია. რომელიც თავის მხრივ მჭიდროდაა დაკავშირებული ისეთ ცნებებთან, როგორებიცაა: სოციალიზაცია, რეაბილიტაცია, ინტეგრაცია, აღზრდა, მკურნალობა და გამოსწორება. შევეცდები განვიხილო თითოეული მათგანი რესოციალიზაციასთან კავშირში.

მსჯავრდებულის რესოციალიზაციის არსის სწორად გასაგებად, მნიშვნელოვანია, თავად სოციალიზაციის რაობის გარკვევა. „სოციოლოგიაში გამოყენებული სოციალიზაციის ცნება ფართოდაა გავრცელებული პედაგოგიკაში, ფსიქოლოგიაში, კრიმინოლოგიაში და გულისხმობს პროცესს, რომლის დროსაც უმწეო ბავშვი თანდათან გადაიქცევა თვითცნობიერ, მცოდნე და იმ კულტურის შემთავისებელ პიროვნებად, რომელშიც იგი დაიბადა.“⁷⁷

ოჯახი უმნიშვნელოვანეს გავლენას ახდენს პიროვნების სოციალიზაციის პროცესში. სწორედ „ოჯახი, წარმოადგენს ადამიანის სოციალიზაციის პირველად

⁷⁵ იხ.მ.შალიკაშვილი, კრიმინოლოგია, მესამე შეესებული და გადამუშავებული გამოცემა, თბილისი 2017, გვ.187

⁷⁶ Liora Lazarus, *Contrasting Prisoner's Rights: A Comparative Examination of Germany and England*, Oxford University Press, New York, 2004, P.45

⁷⁷ მ.შალიკაშვილი, გ.მიქანაძე, მ.ხასია, სასჯელადსრულების სამართალი, თბილისი 2014, გვ.74
სოციალიზაციაზე დამატებით იხ. ქ.კალჭუნი, დ.ლაითი, ს.კელერი, სოციოლოგია, თბილისი 2008, გვ.251

წყაროს.”⁷⁸ „მოზარდისათვის ოჯახი არის არა მხოლოდ საკუთარი იდენტიფიკაციის ობიექტი, არამედ მოზარდის საზოგადოებრივი და სოციალური იდენტიფიკაციის ერთგვარი ხიდი.”⁷⁹ სწორედ ამ ხიდის საშუალებით იწყებს პიროვნება, სოციუმის სრულფასოვან წევრად ჩამოყალიბებას და თუკი, ეს ხიდი არ არის მყარი, მაშინ პიროვნება ვერ აღწევს სრულყოფილ სოციალიზაციას, რაც თავის მხრივ, პიროვნების დამნაშავედ ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. პროფ. მ.შალიკაშვილი აღნიშნავს, რომ „არასრული ოჯახიდან - Broken home, ანუ ისეთი ოჯახიდან, რომელიც სტრუქტურულად არასრულია და არაორგანიზებული ან „დანგრეულია,” ზოგადად უფრო მეტია დანაშაულის ჩადენა და შესაბამისად, ასეთი ოჯახებიდან გამოსული მოზარდები უფრო ხშირად ხდებიან დამნაშავეები.”⁸⁰ იგი, „წარმატებულ სოციალიზაციას უკავშირებს კონფორმიზმისკენ სწრაფვის ფაქტორს და აღნიშნავს, რომ სოციალიზაციის არმქონე ადამიანი ურჩხულია, რდაგან შესაძლებლობა არ აქვს სხვა ადამიანის ქცევა სუბიექტურად შეაფასოს და რეაგირება მოახდინოს.”⁸¹

ხშირად, „სოციალიზაციის ნაკლებობა გამოწვეულია ბავშვისათვის პიროვნების ჩამოყალიბების წლებში მშობლების მხრიდან არასაკმარისი ემოციური კავშირით და სოციალური კონტროლის ნაკლებობით.”⁸² პროფ. მ.შალიკაშვილის აზრით: „დამნაშავის დაზარალებულთან შერიგების მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს დამნაშავის სოციალიზაცია. (...) საზოგადოებისათვის მოზარდის ჩამოყალიბების პროცესში მეტად მნიშვნელოვანია მისი სოციალიზაცია, რაც საჭიროა მისთვის საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობის ჩამოსაყალიბებლად. სწორედ დამნაშავისა და დაზარალებულის შერიგებას აქვს დიდი მნიშვნელობა დამნაშავის პიროვნების განვითარებისათვის.”⁸³

რაც შეეხება სახელმწიფოს როლს, მნიშვნელოვანია, რომ ისეთ საჯარო დაწესებულებებში, როგორებიცაა: საბავშვო ბაღი და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებები, იზრუნოს მოზარდების ნორმალურ პიროვნებად ჩამოყალიბებისათვის და არ შემოიფარგლოს, მხოლოდ გარკვეული ცოდნის მიცემით. თუკი, რომელიმე მოზარდის ოჯახი, ვერ უზრუნველყოფს პირის ჯანსაღ სოციალიზაციას, მაშინ სადავეები სახელმწიფომ უნდა აიღოს ხელში და იკისროს პასუხისმგებლობა, თითოეული ასეთი პირის მიმართ, ვინაიდან სხვა შემთხვევაში მას მოუწევს მათ მიერ სამომავლოდ ჩადენილი დანაშაულებების, გამოძიება და გაცილებით მეტი ორგანიზაციული, ეკონომიკური და ადამიანური რესურსის დახარჯვა.

⁷⁸ იხ.მ.შალიკაშვილი, გ.მიქანაძე, მ.ხასია, სასჯელადსრულების სამართალი, თბილისი 2014,გვ.74

⁷⁹ მ.შალიკაშვილი, კრიმინოლოგია, მესამე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა, თბილისი 2017, გვ.146

⁸⁰ მ.შალიკაშვილი, კრიმინოლოგია, მესამე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა, თბილისი 2017, გვ.146

⁸¹ იხ.მ.შალიკაშვილი, გ.მიქანაძე, მ.ხასია, სასჯელადსრულების სამართალი, თბილისი 2014,გვ.74-75

⁸² მ.შალიკაშვილი, ძალადობის კრიმინოლოგია, თბილისი 2012, გვ.63

⁸³ მ.შალიკაშვილი, ვიქტიმოლოგია-მეცნიერება დანაშაულის მსხვერპლის შესახებ, თბილისი 2011, გვ.190-191

რეაბილიტაციის შესახებ, მოცემულია საქართველოს პატიმრობის კოდექსში.⁸⁴ სადაც იგულისხმება ის აუცილებლად გასატარებელი ღონისძიებები, რომლებიც გულისხმობენ, მსჯავრდებულის რეაბილიტაციას. „რეაბილიტაცია უმეტეს შემთხვევაში ჯანმრთელობის სფეროში გამოიყენება და ატარებს სხვა ღირებულებებს, განსხვავებით რესოციალიზაციისაგან, ის აღწერს ღონისძიებებს, რომლებიც ხორციელდება განკურნების, გამთლიანების, ძალის აღდგენისა და ინტეგრაციის პროცესში.“⁸⁵ საინტერესოა, რომ დ.წულაია „რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის პროცესის განხორციელებას უკავშირებს მონანიებასა და მართლმადიდებლური მოძღვრების დაცვას.“⁸⁶ პროფ. მ.შალიკაშვილის აზრით: „რეაბილიტაციის ცნება გულისხმობს შეზღუდული შესაძლებლობების ან პირობების მქონე ადამიანის (პატიმრების) საზოგადოებაში ინტეგრაციას.“⁸⁷ სწორედ ამიტომ, რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის ცნებები მჭიდროდაა დაკავშირებული. მათი განმასხვავებელი ნიშანი მათივე მიზნებია. პროფ. ნ.თოდუა საინტერესოდ აყალიბებს რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის მიზნებს. მისი აზრით, „რესოციალიზაცია-რეაბილიტაციაში იგულისხმება არასრულწლოვნის⁸⁸ პასუხისმგებლობის გრძნობის, სხვა ადამიანთა უფლებების პატივისცემის გრძნობის ჩამოყალიბება და განვითარება, არასრულწლოვნის ფიზიკური, გონებრივი, სულიერი, ზნეობრივი და სოციალური განვითარების ხელშეწყობა და მისი მომზადება საზოგადოებაში ადგილის დასამკვიდრებლად.“⁸⁹ აღნიშნული მოსაზრება შეგვიძლია, არა მარტო არასრულწლოვან მსჯავრდებულებზე გავავრცელოთ, არამედ სრულწლოვანებზეც. პროფ. მ.შალიკაშვილის აზრით: „რეაბილიტაცია გულისხმობს კონკრეტული პროგრამის მეშვეობით კონკრეტული შედეგის მიღწევას(ნარკოტიკული ნივთიერების მიღებაზე უარის თქმა, პროფესიული რეაბილიტაცია), როცა რესოციალიზაცია უფრო ზოგადი შეიძლება იყოს (საზოგადოებაში ხელახალი ინტეგრაცია).“⁹⁰ ი.ვარძელაშვილის აზრით კი - „რეაბილიტაციის ცნების ქვეშ იგულისხმება ყველა ის ღონისძიება, რომელთა მიზანია ფიზიკური, ინტელექტუალური და ფსიქიკური ნაკლის მქონე ადამიანების ან საშიში, უნარშეზღუდული ადამიანების დახმარება, ასევე მათი უნარისა და ძალის განვითარება და საზოგადოებაში კვლავ შესაბამისი ადგილის პოვნა. არსებობს სამედიცინო, პროფესიული და სოციალური რეაბილიტაცია.“⁹¹ „რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესში, მნიშვნელოვანია, პატიმრის გათავისუფლებისათვის მომზადება. რა დროსაც პატიმარი უნდა

⁸⁴ იხ. საქართველოს პატიმრობის კოდექსის 117-ე და 118-ე მუხლები

⁸⁵ იხ. ი.ვარძელაშვილი, სასჯელის მიზნები, თბილისი 2016, გვ.130

⁸⁶ იხ. დ.წულაია, მონანიება, როგორც დამნაშავეს რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის უმთავრესი ფაქტორი, მართლმსაჯულება და კანონი №3, თბილისი 2013, გვ.61-89

⁸⁷ მ.შალიკაშვილი, გ.მიქანაძე, მ.ხასია, სასჯელაღსრულების სამართალი, თბილისი 2014, გვ.79

⁸⁸ იხ. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-3 მუხლის მე-18 ნაწილი

⁸⁹ იხ. ნ.თოდუა, არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, მეორე გამოცემა, თბილისი 2016, გვ.652

⁹⁰ მ.შალიკაშვილი, გ.მიქანაძე, მ.ხასია, სასჯელაღსრულების სამართალი, თბილისი 2014, გვ.79

⁹¹ ი.ვარძელაშვილი, სასჯელის მიზნები, თბილისი 2016, გვ.130

მოთავსდეს ღია ტიპის სასჯელადსრულების დაწესებულებაში და ხელი შეეწყოს გარესამყაროსთან აქტიური კავშირის დამყარებაში.”⁹²

„ინტეგრაცია არის სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესი, რომლის მიზანია ცალკეულ ჯგუფთა თვითიდენტიფიკაციის ერთიან საზოგადოებრივ და კულტურულ ჩარჩოებში მოქცევა. (...) სოციალური ინტეგრაციის ცნება გვიჩვენებს, რომ დამნაშავეს უმეტესი პრობლემები ექმნება საზოგადოებაში ინტეგრაციის ნაკლებობის გამო, განსაკუთრებით თავისუფლების აღკვეთის მოხდის შემდეგ. აღნიშნულიდან გამომდინარე, სოციალური ინტეგრაცია გულისხმობს დამნაშავესა და საზოგადოების წევრებს შორის ურთიერთობას.”⁹³ „სწორედ ამიტომ, პრობაციის ბიურო ეხმარება მსჯავრდებულებს საზოგადოებაში ინტეგრაციასა და რესოციალიზაციაში სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელებით. ასეთი ღონისძიება შეიძლება იყოს, დასაქმებაში ხელის შეწყობა, სხვადასხვა სახის პროფესიულ და საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართვა და სხვა სარეაბილიტაციო ღონისძიებები.”⁹⁴ „ინტეგრაციის ცნება სისხლის სამართლის დოგმატიკაში ხშირად რესოციალიზაციის ალტერნატივად არის შემოთავაზებული. სოციალური ინტეგრაცია აჩვენებს, რომ პირველ ადგილზეა საზოგადოებასა და დამნაშავეს შორის ურთიერთობა.”⁹⁵ აღსანიშნავია, რომ რესოციალიზაციისა და ინტეგრაციის ცნებებს შორის მჭიდრო კავშირია და შესაბამისად, მათ მსგავსი მიზნებიც გააჩნიათ.

„აღზრდა, ესაა პიროვნების ჩამოყალიბების სოციალური, მიზანმიმართული, ორგანიზებული პროცესი, ყოფაქცევის ჩვევათა გადაცემა.”⁹⁶ „რესოციალიზაციის წარმატებით განხორციელებისათვის და მორალური ღირებულებების ჩამოყალიბებისათვის მნიშვნელოვანია პირმა თავიდან შეისწავლოს, განათლდეს (Re-education), თუ რა არის საზოგადოება და როგორი უნდა იყოს ის.”⁹⁷ პროფ. მ.შალიკაშვილის განმარტებით: „ხშირად აღზრდა და რესოციალიზაცია სინონიმებადაც კი გამოიყენება. რესოციალიზაცია სწორედ ხელახალ აღზრდას გულისხმობს.”⁹⁸ ჩ.ბეკარიაც, სწორედ აღზრდას მიიჩნევს, დანაშაულის თავიდან აცილების საუკეთესო საშუალებად და აღნიშნავს: „დანაშაულის თავიდან აცილების ყველაზე ჭეშმარიტი და ამასთან რთული საშუალება, აღზრდის გაუმჯობესებაა.”⁹⁹ ზ.გოთუა საკვებით სწორად მიუთითებს, რომ: „კანონმდებელმა სწორად თქვა უარი 1960 წლის კოდექსში ნახსენებ სასჯელის ისეთ მიზანზე, როგორიცაა „მსჯავრდებულის ხელახალი აღზრდა”, რადგან იგი, ერთის მხრივ, ნაწილობრივ

⁹² Kirstin Drenkhahn, Manuela Dudeck, Frieder Dunkel, Long-Term imprisonment and Human Rights, London and New York, 2014, P.363

⁹³ ი.ვარძელაშვილი, სასჯელის მიზნები, თბილისი 2016, გვ.127-128

⁹⁴ იხ.გ.არსოშვილი, გ.მიქანაძე, მ.შალიკაშვილი, პრობაციის სამართალი, თბილისი 2015, გვ.181

⁹⁵ ი.ვარძელაშვილი, სასჯელის მიზნები, თბილისი 2016, გვ.128

⁹⁶ იხ.ა.ელერდაშვილი, უნივერსალური ენციკლოპედიური ლექსიკონი, სამ ტომად, თბილისი 2006

⁹⁷ Orlan Lee, T.A. Robertson, “Moral Order” and The Criminal Law: Reform Efforts in the USA and Germany, The Hague 1973, P.194

⁹⁸ მ.შალიკაშვილი, გ.მიქანაძე, მ.ხასია, სასჯელადსრულების სამართალი, თბილისი 2014, გვ.78

⁹⁹ ი.ხუცურაული, ჩ.ბეკარია დანაშაულისა და სასჯელისათვის, თბილისი 2003, გვ.208

მოაიაზრება კიდევ მსჯავრდებულის გამოსწორებაში, ხოლო მეორეს მხრივ, აშკარად არარეალურია სისხლის სამართლისათვის.”¹⁰⁰

მკურნალობა, მოცემულია საქართველოს პატიმრობის კოდექსში.¹⁰¹ რომლის თანახმად, „მკურნალობის ცნებაში იგულისხმება ჯანმრთელობის მკურნალობა. მკურნალობას რესოციალიზაციასთან იმდენად აქვს კავშირი, რამდენადაც მკურნალობის ცნებაში, ასევე იგულისხმება ფსიქიკური აშლილობის მქონე მსჯავრდებულის მკურნალობა,¹⁰² ფსიქიატრიული დახმარების გაწევა.”¹⁰³ „მკურნალობას უმეტესწილად იყენებენ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, ვიდრე რესოციალიზაციას. სასჯელის აღსრულებისას მკურნალობაში იგულისხმება თერაპიული ღონისძიებები. (...) სისხლის სამართლის ლიტერატურაში მითითებულია, რომ დამნაშავეს მკურნალობა არის მხოლოდ რესოციალიზაციისა და მომავალში დასჯადი ქცევის პრევენციის ნაწილი.”¹⁰⁴ მკურნალობის შესახებ საუბრობს „სპეციალური გაფრთხილების თეორია,” რომელიც ადამიანს მიიჩნევს ავადმყოფად და მისი გამოსწორების შემდეგ, თვლის მიზანს მიღწეულად. თუმცა, ნ.კრისტი ეწინააღმდეგება აღნიშნულ მოსაზრებას და მიუთითებს, რომ „სისხლის სამართლის პოლიტიკა არსებობს, არა ადამიანთა განსაკურნებლად, არამედ ტკივილის მისაყენებლად, რათა დააშინოს სხვა ადამიანები.”¹⁰⁵

რაც შეეხება, გამოსწორებას, როგორც პროფ. მ.შალიკაშვილი აღნიშნავს: „გამოსწორება, როგორც მსჯავრდებულის რესოციალიზაციის ქვეშ მოქცეული ცნება ბოლო 40 წლის განმავლობაში კრიმინოლოგიაში აღარ გამოიყენება. გერმანულ ლიტერატურაში გამოსწორება გულისხმობდა დამნაშავეს, როგორც სულიერად ავადმყოფი ადამიანის, ნების საწინააღმდეგოდ, მის გამოსწორებას.”¹⁰⁶ „გამოსწორების ცნება უმეტესწილად ლისტის, ასევე სხვა ადრინდელი ავტორების მიერ იქნა გამოყენებული. ვინაიდან რესოციალიზაციასა და გამოსწორებას შორის არ არსებობს განსხვავება, ამიტომ გამოსწორების ცნებას აღარ იყენებენ.”¹⁰⁷ დამნაშავეს გამოსწორებაზე ლაპარაკი შეიძლება მაშინ, როცა მის შეგნებაში, სასჯელის ზეგავლენით ხდება ცვლილებები, რომელთა არსებობის შემთხვევაში, მართალია დამნაშავე არ იქცევა საზოგადოების აქტიურ და შეგნებულ წევრად, მაგრამ იგი უკვე უსაფრთხოა საზოგადოებისათვის.”¹⁰⁸ „ი.ნოსის აზრით, „გამოსწორება“- ეს მსჯავრდებულის მიერ ახალი დანაშაულის არ ჩადენაა, არა სასჯელის შიშიდან

¹⁰⁰ ზ.გოთუა, სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილი, სასჯელი, ლექციების კურსი, თბილისი 2001, გვ.10

¹⁰¹ იხ. პატიმრობის კოდექსის 29-ე, 120-ე და 121-ე მუხლები

¹⁰² იხ. ფსიქიატრიული დახმარების შესახებ საქართველოს კანონის მე-10 მუხლი

¹⁰³ მ.შალიკაშვილი, გ.მიქანაძე, მ.ხასია, სასჯელაღსრულების სამართალი, თბილისი 2014, გვ.79

¹⁰⁴ ი.ვარძელაშვილი, სასჯელის მიზნები, თბილისი 2016, გვ.126-127

¹⁰⁵ შეად. ნ.კრისტი, ტკივილის საზღვრები, სასჯელის როლი სასჯელაღსრულების პოლიტიკაში, თბილისი 2017, გვ.40-44

¹⁰⁶ მ.შალიკაშვილი, გ.მიქანაძე, მ.ხასია, სასჯელაღსრულების სამართალი, თბილისი 2014, გვ.77

¹⁰⁷ ი.ვარძელაშვილი, სასჯელის მიზნები, თბილისი 2016, გვ.122-123

¹⁰⁸ იხ. მ.ქათამაძე, სასჯელის მიზნები სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, ჟურ: აღმანახი N3, 2004, გვ.55

გამომდინარე, არამედ იმის გამო, რომ ეს ეწინააღმდეგება მის ახალ შეხედულებებსა და მრწამსს.”¹⁰⁹

„არანებაყოფლობითი რესოციალიზაცია გვხვდება ისეთ ინსტიტუტებში, როგორებიცაა სასჯელაღსრულების დაწესებულება და სხვა ტოტალური ინსტიტუტები, სადაც პიროვნების რესოციალიზაცია, მისი სურვილის საწინააღმდეგოდ ხორციელდება.”¹¹⁰ აღნიშნულთან მიმართებით, პროფ. მ.ლეკვიშვილი წერს, „ნიშანდობლივია, რომ ტერმინების სხვადასხვაობის მიუხედავად, რესოციალიზაციაც თავის თავში დამნაშავეს გამოსწორებას გულისხმობს. მასში უნდა ვიგულისხმოთ, პირველ რიგში, დამნაშავეს ფსიქიკაში დანაშაულის ჩადენისადმი მიდრეკილების აღმოფხვრა, მისთვის ისეთი ჩვევისა და შეხედულების შთაგონება, რომელიც გამორიცხავს მის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენის სურვილს. აღზრდის შემდეგ ეტაპზე კი უნდა ჩავთვალოთ უკვე გამოსწორებული პირის სოციალურ გარემოში, საზოგადოებრივ ცხოვრებაში თანასწორუფლებიან წევრად დაბრუნება.”¹¹¹ თუმცადა აღსანიშნავია, რომ ინდივიდები განსხვავებულად პასუხობენ რესოციალიზაციის პროცესს, ზოგიერთი ახერხებს გამოსწორებას, ზოგი კი პირიქით, აგრესიას გამოხატავს იმ სისტემის მიმართ, რომელმაც მათ თავისუფლება წაართვა. აღსანიშნავია, რომ ციხის პირობებში პატიმრები შესაძლოა მიეჩვიონ ციხეში არსებული წესების დაცვასა და პატივისცემას, რომლებსაც, როგორც სახელმწიფო, აგრეთვე ციხის საზოგადოებაც აწესებს, თუმცადა, ნაკლებად სცემდნენ პატივს, იცავდნენ კანონებსა და ზოგად წესებს, რომლებიც საზოგადოებაშია მიღებული და გაბატონებული.¹¹²

¹⁰⁹ მ.ქათამაძე, სასჯელის მიზნები სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, ჟურ: აღმანახი N3, 2004, გვ.56

¹¹⁰ Diana Kendall, *Sociology in our times, The Essentials*, 7th Ed. Wadsworth Cengagelearning 2010, P.106

¹¹¹ მ.ლეკვიშვილი, სასჯელის მიზნები და არასრულწლოვანთა სასჯელის დანიშვნის სპეციფიკა, არასრულწლოვანთა სასჯელისა და აღზრდის მიზნებითი ხასიათის იძულებითი ღონისძიებების შეფარდების პრობლემები, რედ. მ.შალიკაშვილი და მ.ლეკვიშვილი, თბილისი 2011, გვ.55

¹¹² იხ. Diana Kendall, *Sociology in our times, The Essentials*, 7th Ed. Wadsworth Cengagelearning 2010, P.106

თავი მეორე

სახელმწიფოს როლი რესოციალიზაციის პროცესში

1. კონსტიტუციური პრინციპები რესოციალიზაციის ჭრილში

კონსტიტუცია, (ლათინურად constitution – დადგენა, დაწესება) განსაკუთრებული წესით მიღებული უმაღლესი იურიდიული ძალის მქონე სახელმწიფოს ძირითადი კანონია. კონსტიტუცია არეგულირებს საზოგადოებაში პიროვნების სამართლებრივ მდგომარეობას, საჯარო ხელისუფლების ორგანიზაციასა და ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს. კონსტიტუცია, რთული, მრავალფუნქციური საზოგადოებრივი ინსტიტუტია. ხშირად განმარტავენ, როგორც სახელმწიფოს უზენაეს კანონს, წესების კატალოგს, ინდივიდის გარანტს სახელმწიფოსთან ურთიერთობაში და სხვა. „Res publica - რესპუბლიკა (საერთო საქმე), მთელი სახელმწიფო ხელისუფლების პოლიტიკური წყაროა მოქალაქეთა ერთიანობა და იგი ვალდებულია ემსახუროს საერთო კეთილდღეობას (Salus publica).”¹¹³ სწორედ კონსტიტუცია წარმოადგენს სახელმწიფოსა და მოქალაქეს შორის გაფორმებულ სოციალურ-სამართლებრივ ხელშეკრულებას, რომელიც ემსახურება საერთო კეთილდღეობის შექმნასა და დაცვას. „რუსო ამბობს, რომ ადამიანი დაბადებითვე თავისუფალია და თანასწორი, სახელმწიფო - კი არის „სოციალური ხელშეკრულება.” ჩვენ კი უნდა ვთქვათ, რომ ადამიანი უნდა იყოს თავისუფალი და თანასწორი, სახელმწიფო - კი უნდა იყოს სოციალური ხელშეკრულება.”¹¹⁴ აღნიშნული ხელშეკრულებით, სახელმწიფოც და მოქალაქეებიც სარგებლობენ გარკვეული უფლება-მოვალეობებით, „ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდულნი არიან ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით.”¹¹⁵

„კლასიკური გაგებით, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა პირველადი ფუნქციაა, რომ მათ დაცულ სფეროში უზრუნველყოს სახელმწიფოს ჩაურევლობა. თუმცა, ძირითად უფლებათა განვითარებასთან ერთად, სახელმწიფო აღიქმება არა მარტო ამ უფლებების პოტენციურ დამრღვევად, არამედ ამ უფლებათა დამცველადაც.”¹¹⁶ „პოზიტიურ-მფარველობითი ძირითადი უფლებები განამტკიცებენ ინდივიდის პოზიტიურ მდგომარეობას (status positivus), სახელმწიფოს მიმართ. აღნიშნული უფლებები ადგენენ სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას,

¹¹³ გ.გოგიაშვილი, შედარებითი კონსტიტუციური სამართალი, თბილისი 2014, გვ.61

¹¹⁴ გ.გვაზავა, ძირითადი პრინციპები საკონსტიტუციო უფლებისა, მეორე გამოცემა რედ. დ.გეგენავა, თბილისი 2014, გვ.19

¹¹⁵ ა.დემეტრაშვილი, გ.გოგიაშვილი, კონსტიტუციური სამართალი, თბილისი 2016, გვ.97

¹¹⁶ ა.ფირცხალაშვილი, სახელმწიფოს დაცვის ვალდებულება, ჟურ: მართლმსაჯულება და კანონი N1, 2012, გვ.46

შექმნას საზოგადოებრივი თანაცხოვრების სათანადო პირობები.”¹¹⁷ როგორც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო განმარტავს, „ფასეულობათა კონსტიტუციური სისტემა დაფუძნებულია ძირითადი უფლებების პრიორიტეტსა და პატივისცემაზე.”¹¹⁸ სწორედ, მოქალაქეთა ურყევი ნებაა, რომ სახელმწიფომ საზოგადოებრივი თანაცხოვრების არამართო სათანადო პირობები შექმნას და იზრუნოს მის დაცვა-შენარჩუნებისათვის, არამედ ამავედროს ღირსეულიც. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „ძირითადი კონსტიტუციური პრინციპები წარმოადგენს ადამიანის ღირსების დაცვის სამართლებრივ გარანტიას. ადამიანის ღირსება და პიროვნული თავისუფლება კი მის ძირითად უფლებებში, მათ ადეკვატურ დაცვასა და სრულად განხორციელებაში გამოიხატება.”¹¹⁹ „თავისუფლების სამართლებრივ მასშტაბს ადამიანის ღირსება ქმნის, ამიტომ თავისუფალი ადამიანების საზოგადოება იმ სახელმწიფოთა ფუფუნებაა, უპირატესობაა, სადაც ადამიანის ღირსება ღირებულებათა სისტემის საფუძველია. ღირსება არის თითოეული ადამიანის თვითმყოფადობის საფუძველი და თანაბარი გარანტია, იყოს სხვებისაგან განსხვავებული საკუთარ უნარებზე, შესაძლებლობებზე, გემოვნებაზე, განვითარების გზის ინდივიდუალურ არჩევანზე დამოკიდებულებით.”¹²⁰ „ტერმინი ღირსება წარმოადგება ლათინური სიტყვიდან „Decus” და ნიშნავს, გასაკუთრებულს, პატივისცემას, ბრწყინვალეობას. (...) ადამიანურ ღირსებაში იგულისხმება, პიროვნების მდგომარეობის პატივისცემა, რომელიც ადამიანის უფლებათა საფუძველი და ღვთისგან ბოძებული რაობაა.”¹²¹ „თავისუფალი და ღირსებადაცული ადამიანი არის უმთავრესი მიზეზი და მიზანი, რის გამოც არსებობს, რის უზრუნველყოფასაც ემსახურება ისეთი ინსტრუმენტები, როგორიცაა სახელმწიფო და სამართალი. უფრო სწორად, სამართლით უნდა შეიქმნას გარანტიები, რომლებიც უზრუნველყოფენ სახელმწიფოს ადამიანის თავისუფლების სამსახურში ყოფნას. ასეთი სამართლის შექმნის, განვითარების, შენარჩუნების ტვირთი და პასუხისმგებლობა ნებისმიერი სახელმწიფოს ყველა დროის დემოკრატიულ ხელისუფლებას თანაბრად ეკისრება. დემოკრატიული, სამართლებრივი და სოციალური სახელმწიფოს ხიბლი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მის საყრდენს, საფუძველს და მუდმივ მიზანს წარმოადგენს ფართო გაგებით თავისუფალი ადამიანი - ინდივიდი.”¹²² დემოკრატიული სახელმწიფოს პრინციპი მოცემული იყო საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულაში, 2018 წლის საკონსტიტუციო ცვლილებების შემდეგ, კი აღნიშნული პრინციპი განმტკიცებულია

¹¹⁷ ა.დემეტრაშვილი, ი.კობახიძე, კონსტიტუციური სამართალი, თბილისი 2011, გვ.77

¹¹⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 07 დეკემბრის N2/3/423 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.”

¹¹⁹ იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება N1/3/407 საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე - ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.”

¹²⁰ ქ.ერემაძე, თავისუფლება კონსტიტუციის ფარგლებში და თავად კონსტიტუციის გააზრების თავისუფლება, საქართველოს კონსტიტუცია 20 წლის შემდეგ, რედ. ვ.ნაცვლიშვილი, დ.ზედელაშვილი, თბილისი 2016, გვ.163

¹²¹ მ.ბიჭია, ღირსების საჯაროსამართლებრივი ცნების მოცულობა, ჟურ: მართლმსაჯულება და კანონი N4, 2014, გვ.43

¹²² შესავალი საკონსტიტუციო სამართალში, ავტორთა კოლექტივი, თბილისი 2016, გვ.56-59

კონსტიტუციის მე-3 მუხლში. აღნიშნული მუხლი, კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, რომ ხელსუფლების წყაროა ხალხი, რომ საქართველო დემოკრატიული რესპუბლიკაა და დაუშვებელია ხელისუფლების მითვისება.¹²³ თუმცადა, იმისათვის, რომ სახელმწიფო რეალურად იყოს დემოკრატიული საკმარისი არაა ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების სამართლებრივი აღიარება, რომელსაც მხოლოდ დეკლარაციული ხასიათი ექნება და რეალურად არ განხორციელდება. რომლის არაერთი მაგალითი არეობს, ტოტალიტარული და ავტორიტარული სახელმწიფოების სახით. იმისათვის, რომ აღნიშნულს მხოლოდ დეკლარაციული ხასიათი არ ჰქონდეს, მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მყარი პოლიტიკური ნება შექმნას სათანადო პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და მორალურ-კულტურული პირობები. „სახელმწიფოს დემოკრატიული წყობილება ავტომატიურად სულაც არ ნიშნავს, რომ ეს სახელმწიფო უპასუხებს სამართლებრივი სახელმწიფოს მოთხოვნებს. (...) დემოკრატიულად არჩეული უმრავლესობის გადაწყვეტილებები შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპს.“¹²⁴ როგორც ფ.ლოვო აღნიშნავს, „თანამედროვე დემოკრატიული რეჟიმების კონტექსტში კონსტიტუციონალიზმის ცნება კონსტიტუციის მიერ ხელისუფლების შეზღუდვასთან და საბოლოოდ სახელმწიფოს სამართალზე დაქვემდებარებასთან არის გაიგივებული.“¹²⁵

დემოკრატიული სახელმწიფოს კავშირი, მსჯავრდებულის რესოციალიზაციასთან შეიძლება ორი მიმართულებით გავიგოთ. პირველი, ფართო გაგებით შესაძლებელია ვიგულისხმოთ, ხალხის მიერ არჩევნების გზით სისხლის სამართლის პოლიტიკის ფუძემდებლური პრინციპების განსაზღვრა, რომელიც, თავის მხრივ პირდაპირ გავლენას ახდენს სასჯელაღსრულების მომწესრიგებელ კანონმდებლობაზე. მეორე, ვიწრო გაგებით საგულისხმოა, სამოქალაქო სექტორის აქტიური ჩართულობა როგორც სისხლის სამართლის პოლიტიკის შემუშავებაში, აგრეთვე უშუალოდ სასჯელაღსრულების დაწესებულებების კონტროლში, ადამიანის უფლებათა დაცვის კონტექსტში. როგორც პროფ. მ.შალიკაშვილი აღნიშნავს, „დღეის მდგომარეობით, დემოკრატიულობის პრინციპი ხორციელდება, მხოლოდ ფართო გაგებით, ანუ საქართველოს მოალაქეები არჩევნებში მონაწილეობით განსაზღვრავენ კრიმინალურ პოლიტიკას.“¹²⁶ მოკლედ, „ადამიანების სწრაფვა და მოთხოვნილება, იცხოვრონ დემოკრატიულ, სამართლებრივ, სოციალურ სახელმწიფოში ყოველდღიურად პრაქტიკულ შინაარსს იძენს.“¹²⁷

¹²³ დაწვრილებით იხ.საქართველოს კონსტიტუციის 3-ე მუხლი

¹²⁴ კ.კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, იურიდიული სახელმძღვანელო, თბილისი 2014, გვ.16

¹²⁵ ფ.ლოვო, თანამედროვე დიდი დემოკრატიები, თბილისი 2002, გვ.97

¹²⁶ მ.შალიკაშვილი, გ.მიქანაძე, მ.ხასია, სასჯელაღსრულების სამართალი, თბილისი 2014, გვ.13-14

¹²⁷ ქ.ერემაძე, ინტერესთა დაბალანსება დემოკრატიულ საზოგადოებაში, თბილისი 2013, გვ.7

1.1 სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი და რესოციალიზაცია

სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი, დემოკრატიულ და სოციალურ სახელმწიფოს პრინციპებთან ერთად, ქმნის მყარ საფუძველს, ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის კუთხით. „სამართლებრივი სახელმწიფოს კონცეფცია კონტინენტური ევროპისა და ანგლოამერიკული სამართლის ოჯახებისათვის, თანაბრად მნიშვნელოვანია, გერმანულ დოქტრინაში მას Rechtsstaat, ამერიკულში - Rule of Law, ფრანგულში კი - l'Etat de droit ეწოდება. მართალია ისინი სისტემური თვალსაზრისით, ერთმანეთისაგან განსხვავდებიან, თუმცა თვისობრივად მსგავსი ხასიათი აქვთ.“¹²⁸ აღსანიშნავია, რომ საქართველოს კონსტიტუციაში ყოველთვის იყო სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი განმტკიცებული. 2018 წლის საკონსტიტუციო ცვლილებებამდე, 1995 წლიდან მოყოლებული, სამართლებრივი სახელმწიფოს იდეა, მოცემული იყო საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულაში. დღევანდელი მოცემულობით, სამართლებრივი სახელმწიფოს იდეა მოცემულია, როგორც პრეამბულაში, აგრეთვე კონსტიტუციის მე-4 მუხლში, რომელიც საქართველოს აცხადებს სამართლებრივ სახელმწიფოდ.

აღსანიშნავია, რომ „კონსტიტუციები აფუძნებენ და ბოჭავენ ხელისუფლებას, ცალკეული ორგანოების კომპეტენციების გამიჯვნასა და ურთიერთკონტროლის მექანიზმების მეშვეობით. თ.ჯეფერსონის აზრით, კონსტიტუციურ უფლებათა ბილი კონტროლის კიდევ ერთი საშუალებაა ხელისუფლებს ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ.“¹²⁹ „სამართლებრივი სახელმწიფოს არსის გამომხატველ ნიშანთა შორის უმთავრესია მისი სამართლით შეზღუდვა. ამ ნიშნის მიხედვით სამართლებრივი სახელმწიფოს ყველაზე მოკლე დახასიათებით იგი წარმოადგენს სამართლით შეზღუდულ სახელმწიფოს.“¹³⁰ სამართლებრივი სახელმწიფოს იდეა პირველ რიგში, გულისხმობს, ქვეყანაში სამართლიანობის დამკვიდრების სურვილს. სამართლებრივ სახელმწიფოს გააჩნია ორი გაგება: მატერიალური და ფორმალური. სამართლებრივი სახელმწიფოს მატერიალური გაგების თანახმად, სამართალი, რომლითაც სახელმწიფო ხელსუფლების ორგანოები იზღუდება, უნდა იყოს სამართლიანი. ხოლო რაც შეეხება, სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმალური გაგებას, იგი ხაზს უსვამს იმას, თუ რა ინსტიტუტების და პროცესუალური მასშტაბებით უნდა განხორციელდეს სახელმწიფო ხელისუფლება. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ისეთი პრინციპები როგორებიცაა: კანონის უზენაესობის, ხელისუფლების დანაწილებისა და სასამართლოში გასაჩივრების.¹³¹

¹²⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, ავტორთა კოლექტივი, მესამე გამოცემა რედ. დ.გეგენავა, თბილისი 2015, გვ.12

¹²⁹The Founders' Constitution, Thomas Jefferson to James Madison, 1789, Vol. 1, 479 <https://founders.archives.gov/documents/Jefferson/01-15-02-0354> (15.05.2019)

¹³⁰ კ.შარია, სამართლებრივი სახელმწიფო, ნაწილი პირველი, თბილისი 2009, გვ.44

¹³¹ ლ.იზორია, თანამედროვე სახელმწიფო, თანამედროვე ადმინისტრაცია, თბილისი 2009, გვ.184-185

სამართლებრივ სახელმწიფოში, ასევე მოიაზრება სამართლიანობა, სასამართლოს დამოუკიდებლობა და კანონის უზენაესობაც. ა.შაიოს აზრით, „კონსტიტუციური სახელმწიფოს შექმნაში სამართალი გადაწყვეტ როლს თამაშობს. დემოკრატიულ ქვეყნებში საკანონმდებლო აქტები საზოგადოების მთლიანობის და კიდევ იმის საწინდარია, რომ არ იმძლავროს არც კერძო და არც საჯარო დესპოტიზმმა.“¹³² „სასამართლოს დამოუკიდებლობა სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობის ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა. სამართლებრივ სახელმწიფოში ყველა ადამიანი კანონის წინაშე თანასწორია, სამართალი ყველაზე თანაბრად ვრცელდება, რაც საზოგადოების თითოეულ წევრში სამართლიანობის განცდას განაპირობებს.“¹³³ სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბებისას სიძნელეები გამოიხატება საზოგადოების მისწრაფებაში მატერიალური სარგებლისაკენ, რის ნაცვლადაც სხვა ღირებულებების გაძლიერება ხელს შეუწყობს მის ჩამოყალიბებასა და სწორ ფუნქციონირებას.¹³⁴

თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაში, მოსამართლე აღნიშნავს, რომ „სამართლიან სასჯელში, უპირობოდ არ იგულისხმება სასამართლოს მიერ მსუბუქი სასჯელის გამოყენება, არამედ სასჯელი უნდა იყოს ადეკვატური და უნდა ემსახურებოდეს მისი მიზნების რეალურ და არა ფორმალურ შესრულებას.“¹³⁵ როგორც უკვე აღვნიშნე, სასჯელი სახელმწიფოს იძულების განსაკუთრებული ღონისძიებაა. სწორედ სასჯელის გამოყენებით ახორციელებს სახელმწიფო სამართლებრივობის პრინციპს, ვინაიდან, სასჯელის მეშვეობით აღმოფხვრის სამართლებრივ უწონასწორობას,¹³⁶ რომელიც დანაშაულის ჩადენის შედეგად წარმოიშვება. თავის მხრივ, სასჯელს სასამართლო უფარდებს პირს, სასჯელი კი აისახება სასამართლოს განაჩენში, რომელიც სახელმწიფოს სახელით ცხადდება, შესაბამისად სასამართლოს მეშვეობით, თავად სახელმწიფო და საზოგადოება სჯის პირს, რომლის მიმართაც აღსრულდება შესაბამისი სასჯელი. სასჯელი, კი უნდა იყოს როგორც კანონიერი ასევე სამართლიანიც. როგორც ჩ.ბეკარია აღნიშნავს, „უსამართლოა სასჯელი, რომელიც კანონის ზღვრებს სცილდება, რადგან ის უკვე სხვა სასჯელია, რომელიც კანონით არაა დადგენილი.“¹³⁷ აგრეთვე, „უსამართლო სასჯელის დანიშვნით ვერ მიიღწევა სასჯელის მიზნები: პირველ რიგში სამართლიანობის აღდგენა და შემდგომ მსჯავრდებულის რესოციალიზაცია.“¹³⁸ მნიშვნელოვანია, რომ მსჯავრდებულს არ ჰქონდეს უსამართლობის განცდა, რომელიც გააბოროტებს მას, ეს კი, თავის მხრივ, შეასუსტებს ჩადენილი დანაშაულის სოციალური მხარის ობიექტურად გააზრებისა და თავისი დანაშაულებრივი

¹³² ა.შაიო, ხელისუფლების თვითშეზღუდვა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი, თბილისი 2003, გვ.249

¹³³ საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, ავტორთა კოლექტივი, მესამე გამოცემა რედ. დ.გეგენავა, თბილისი 2015, გვ.12

¹³⁴ იხ. მ.გაბუნია, კრიმინოლოგიური შეხედულებანი სამართლიანობასა და სამართალზე, გურამ ნაჭყებია - 75, საიუბილეო კრებული, რედ. ნ.თოდუა, თბილისი 2016, გვ.233

¹³⁵ იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილება

¹³⁶ იხ. ი.ვარძელაშვილი, სასჯელის მიზნები, თბილისი 2016, გვ.23

¹³⁷ იხ. ი.ხუცურაული, ჩ.ბეკარია დანაშაულისა და სასჯელისათვის, თბილისი 2003, გვ.36

¹³⁸ იხ. ი.ვარძელაშვილი, ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციისა და სასჯელის მიზნების უთითიერთმომართების პრობლემა, სამართლის ჟურნალი №2, თბილისი 2013, გვ.190

ქმედების თვითკრიტიკის პროცესს, რაც წარმოადგენს მსჯავრდებულის მიერ რესოციალიზაცია-რეაბილიტაციისაკენ გადადგმულ ერთ-ერთ საწყის ნაბიჯს, ურომლისოდაც მნიშვნელოვნად ფერხდება ამ უკანასკნელის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესი.

სამართლებრივი სახელმწიფოსთან მიმართებით მნიშვნელოვანია სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპის გააზრებაც. რომელიც მოიცავს, რამდენიმე ელემენტს: აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის წინასწარ განსაზღვრა, კანონების და სამართლებრივი ნორმების გარკვეულობა და სამართლის მიმართ მოქალაქის ნდობის ჩამოყალიბება.¹³⁹ ჯ.ლოკის აზრით, სახელმწიფო ხელისუფლების განმახორციელებელი შტოები ვალდებულნი არიან სახელმწიფო მართონ არა დროებით და ნაჩქარევად შექმნილი კანონებით, არამედ დამკვიდრებული, მუდმივმოქმედი, გამოცემული და ხალხისათვის ცნობილი კანონებით. რომელზე დაყრდნობითაც იხელმძღვანელებს მიუკერძოებელი და სამართლიანი მოსამართლეები.¹⁴⁰ როგორც, პროფ. ი.დვალაძე აღნიშნავს, „სამართლებრივ სახელმწიფოში სისხლის სამართლის არსებობა გამართლდება, თუ საზოგადოების ინტერესების დასაცავად სისხლისსამართლებრივი ნორმები გამოიყენება როგორც უკიდურესი საშუალება, როდესაც ამოწურულია სამართლებრივ სიკეთეთა დაცვის არასისხლისსამართლებრივი საშუალებები, ანუ სისხლისსამართლებრივი ნორმა უნდა წარმოადგენდეს უკანასკნელ საშუალებას, როგორც *ultima ratio*.“¹⁴¹ ა.დიცის აზრით კი, ადამიანი ვერ დაისჯება იმ კანონის დარღვევის გარდა, რომელიც მიღებულია კანონით გათვალისწინებული პროცედურით, ხოლო დარღვევას საერთო სასამართლოები განიხილავენ, ამ თვალსაზრისით, სამართლის უზენაესობა უპირისპირდება ყველა იმ სისტემას, რომლებიც ხელისუფალთა ფართო, თვითნებურ ან დისკრიმინაციულ შეზღუდვის უფლებას ეფუძნება.¹⁴² სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, ინდივიდს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა საკმაოდ მკაფიოდ შეიცნოს ქვეყნის წესი და ამის საფუძველზე განსაზღვროს თავისი ქვეყნის შინაარსი, სწორედ ესაა, სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპის ერთ-ერთი ქვაკუთხედი.¹⁴³

სამართლებრივ სახელმწიფოში მნიშვნელოვანია აგრეთვე თანასწორობის პრინციპის განხილვა. აღსანიშნავია, რომ „თანასწორობის ძირითადი უფლებები (*status relativus*) ინდივიდს იცავენ ყოველგვარი დისკრიმინაციისაგან და გაუმართლებელი უთანასწორო მოპყრობისგან სახელმწიფოს მხრიდან.“¹⁴⁴ „ზუსტი იურიდიული გაგებით, თანასწორობა ნიშნავს, რომ ერთნაირი პირები. ე.ი. სამართლებრივი რეგულირების თვალსაზრისით თანასწორი პირები, რომლებსაც

¹³⁹ იხ.მ.შალიკაშვილი, გ.მიქანაძე, მ.ხასია, სასაჯელადსრულების სამართალი, თბილისი 2014, გვ.21

¹⁴⁰ იხ. Jhon Locke, Two Treatises of Government, Cambridge: Cambridge University Press 1980, § 131

¹⁴¹ ი.დვალაძე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, თბილისი 2013, გვ.11-12

¹⁴² იხ. Albert Venn Dicey, Introduction to the Study of the Law of Constitution, London and New York, Macmillan 1959, P.188

¹⁴³ იხ. ი.კობახიძე, სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართალი, თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის სამართლის ჟურნალი, N1, 2013, გვ.320

¹⁴⁴ ა.დემეტრაშვილი, ი.კობახიძე, კონსტიტუციური სამართალი, თბილისი 2011, გვ.78

ერთი და იგივე საქმე შეეხებათ ერთნაირ მოპყრობას იმსახურებენ.”¹⁴⁵ რ.დვორკინის აზრით, თანასწორობისა და თავისუფლების კონფლიქტისას, ამოსავალი უნდა იყოს სახელმწიფოს ვალდებულება, ხელისუფლების ქვეშ მყოფი პირების ცხოვრება გახადოს უკეთესი და თითოეულის სიცოცხლის მიმართ გამოიჩინოს თანაბარი ინტერესი.¹⁴⁶ „სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის მატერიალური განსაზღვრების თანახმად, მისი უმთავრესი მიზანი და ამოცანა საზოგადოებისა და ინდივიდის თავისუფლების უზრუნველყოფაა.“¹⁴⁷ პროფ. მ.ივანიძის აზრით, „სამართლიანობა ყველას თავისებურად ესმის და მიდიან გარკვეულ პუნქტამდე, მაგრამ, რასაც ისინი სამართლიანობას უწოდებენ, არაა სამართლიანობა აბსოლუტური მნიშვნელობით. სამართლიანობა უნდა იყოს თანასწორობა და ეს სწორიცაა.“¹⁴⁸

თანასწორობასთან კავშირში, უნდა შევეხოთ თანაზომიერების პრინციპსაც. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „თანაზომიერების პრინციპი, პირდაპირ კავშირშია სამართლებრივ სახელმწიფოს პრინციპთან. სწორედ თანაზომიერების პრინციპი ადგენს მატერიალურ მასშტაბებს კანონმდებლისათვის ძირითადი უფლებების შეზღუდვისას. თუ ნორმა ამ პრინციპებს არ შეესაბამება, ის დაუშვებლად თვითნებობის შესაძლებლობას. სახელმწიფოს თვითნებობა ადამიანის თავისუფლების სფეროში კი ავტომატურად ნიშნავს ადამიანის ღირსების, როგორც კონსტიტუციური წესრიგის უმაღლესი პრინციპის, სამართლებრივი სახელმწიფოსა და სხვა კონსტიტუციური პრინციპების დარღვევას, ადამიანის თავისუფლების ძირითადი უფლების არაკონსტიტუციურ ხელყოფას.“¹⁴⁹

რესოციალიზაციის კუთხით, მნიშვნელოვანია, სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი, ვინაიდან იგი უზრუნველყოფს ბრალდებულის მიმართ, უდანაშაულობის პრეზუმფციის გამოყენებას. უდანაშაულობის პრეზუმფცია მოცემული იყო საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის პირველ და მეორე პუნქტებში, რომელიც ახალი რედაქციის კონსტიტუციაში 31-ე მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტებშია განმტკიცებული. აღნიშნული პრეზუმფციის მიხედვით, პირი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით მიღებული და ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით და რომ არავინაა ვალდებული ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა, აღნიშნული ბრალდების მხარის მოვალეობაა. ყოველივე აღნიშნული კი საწინდარია იმისა, რომ პირს არ გაუჩნდება უსამართლობის განცდა, დარწმუნებული იქნება, რომ მისი საქმე კანონის მოთხოვნათა დაცვით იქნება განხილული და სანამ მისი ბრალეულობა არ დამტკიცდება სასამართლოს განაჩენით მანამდე სასჯელს არ დააკისრებენ. ე.წ. ბრალის დადასტურების გარეშე სასჯელის დაკისრების პრინციპი *Nulla poena sine culpa*. ასევე მნიშვნელოვან კონსტიტუციურ გარანტიას წარმოადგენს, ე.წ. *Non bis in*

¹⁴⁵ ა.შაიო, ხელისუფლების თვითშეზღუდვა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი, თბილისი 2003, გვ.260

¹⁴⁶ R.Dworkin, What is Equality Part 3: The Place of Liberty, Iowa L. Rev., 1, #73, 8

¹⁴⁷ იხ. K.Sommermann, Art. 20, in: H.Mangoldt, F.Klein, Ch.(Hrsg.)Starck, Kommentar zum Grundgesetz, München 2010, გვ.232

¹⁴⁸ მ.ივანიძე, სისხლის სამართლის პოლიტიკის არსი, ჟურ. მართლმსაჯულება N2, 2008, გვ.60

¹⁴⁹ იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 06 აპრილის N2/1/415 გადაწყვეტილება

idem პრინციპი, რომელიც, ერთი და იმავე დანაშაულისათვის განმეორებით მსჯავრდებას კრძალავს, აღნიშნული, კი განმტკიცებულია საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის 8-ე ნაწილში, (2018 წლის ცვლილებებამდე 42- მუხლის 4-ნაწილი). ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, „მსჯავრდებულს თუ ექნება ხედვა, რომ სახელმწიფო, სასჯელაღსრულების სისტემა მასთან დაპირისპირებული კი არ არის, არამედ, სურს მისი დახმარება(გამოსწორება), მისი რესოციალიზაცია უფრო ადვილი მისაღწევი იქნება.“¹⁵⁰ „სასჯელის მიზნების აღსრულების ანუ სასჯელის ეფექტურობისას ყოფილი მსჯავრდებული, რომელმაც სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედება სახელმწიფოს წინაშე უპასუხისმგებლობის ანუ ბრალეულობის ვითარებაში ჩაიდინა, სასჯელის ზემოქმედების შედეგად განიმსჭვალება სახელმწიფოს წინაშე პოზიტიური პასუხისმგებლობის გრძნობით. ეს იმას ნიშნავს, რომ ყოფილი მსჯავრდებული აღსდგება სახელმწიფოს წინაშე პოზიტიური პასუხისმგებლობის ვითარებაში, ხოლო პოზიტიური პასუხისმგებლობა, თავის მხრივ, სახელმწიფოსთან პიროვნების სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის ფორმას მოითხოვს.“¹⁵¹ მსჯავრდებულის უფლებათა შეზღუდვის დროს თანაზომიერების პრინციპის გამოყენება ასევე მნიშვნელოვანია, ვინაიდან მისთვის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ნებისმიერი ხასიათის შეზღუდვა უნდა განხორციელდეს სწორედ თანაფარდობის პრინციპის ელემენტების დაცვით.¹⁵² რაც ხელს შეუწყობს პირის სრულფასოვან რესოციალიზაციას, რადგან მას ეცოდინება, რომ მისი კონსტიტუციური უფლებები ციხის პირობებშიც კი დაცული და სათანადოდ რეალიზებულია.

1.2 სოციალური სახელმწიფოს პრინციპი და რესოციალიზაცია

სოციალური სახელმწიფოს პრინციპი დემოკრატიულ და სამართლებრივ სახელმწიფოს პრინციპებთან ერთად ქმნის, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების სახელმწიფოს მიერ აღიარებისა და მათი დაცვის კონსტიტუციურსამართლებრივ ფუნდამენტს და სახელმწიფოს ავალდებულებს დაიცვას მოქალაქეები ყოველგვარი უთანასწორობისაგან. აღნიშნული პრინციპები წარმოადგენენ იმ ღირებულებათა ნაწილს, რომლებსაც თანამედროვე სახელმწიფოები ემყარება. ისევე, როგორც დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპები, ასევე სოციალური სახელმწიფოს პრინციპიც 2018 წლის საკონსტიტუციო ცვლილებებამდე მოცემული იყო საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულაში, თუმცა განხორციელებული ცვლილებების შემდეგ, სოციალური სახელმწიფოს პრინციპმაც შეიძინა კონსტიტუციური ნორმის სახე და იგი განმტკიცებულია საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლში. აღნიშნული ნორმის მიხედვით, საქართველო არის სოციალური სახელმწიფო, რომელიც ზრუნავს საზოგადოებაში სოციალური სამართლიანობის, სოციალური თანასწორობისა და

¹⁵⁰ მ.შალიკაშვილი, გ.მიქანაძე, მ.ხასია, სასჯელაღსრულების სამართალი, თბილისი 2014, გვ.22

¹⁵¹ გ.ნაჭყებია, სისხლის სამართლის მეცნიერების მეთოდოლოგიური ანბანი, თბილისი 2006, გვ.210

¹⁵² იხ. მ.შალიკაშვილი, გ.მიქანაძე, მ.ხასია, სასჯელაღსრულების სამართალი, თბილისი 2014, გვ.24-25

სოციალური სოლიდარობის პრინციპების განმტკიცებაზე და სხვა.¹⁵³ როგორც ვხედავთ, კანონმდებელმა საკმაოდ მკაფიოდ განსაზღვრა სახელმწიფოს მიზნები და ვალდებულებები, რომლებიც ეკისრება საქართველოს, როგორც სოციალურ სახელმწიფოს. სოციალური სახელმწიფოს მთავარი ზრუნვის ობიექტი სოციალურად სუსტი, გაჭირვებული ფენები და მათი განვითარებისთვის აუცილებელი შესაძლებლობების უზრუნველყოფაა. შესაბამისად, სოციალური სახელმწიფოს პრინციპი გულისხმობს სოციალურ უსაფრთხოებას, ეკონომიკურ წონასწორობასა და სოციალურ სამართლიანობას. „თუმცა ეს არ გულისხმობს სახელმწიფოს მეურვის როლში ჩაყენებას.“¹⁵⁴

„სოციალური სახელმწიფოს პრინციპის სხვადასხვა განმარტება არსებობს: ფართო გაგებით, ის გულისხმობს სახელმწიფოს მნიშვნელოვან როლს ეკონომიკის დაგეგმვაში, მართვასა და ორგანიზებაში. ამ მიდგომით, სოციალური სახელმწიფო აქტიურად ერევა სიმდიდრისა და რესურსების გადანაწილების პროცესში; პრინციპის ვიწრო გაგებაში მოიაზრება სახელმწიფოს მიერ მოქალაქეებისთვის კეთილდღეობის არსებითი მოთხოვნების დაკმაყოფილება და ღირსეული სიცოცხლისთვის აუცილებელი პირობების შექმნა, სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული მომსახურების შეთავაზებითა და სოციალური ფულადი დახმარების გაცემით.“¹⁵⁵ სწორედ სოციალური უფლებების არსის შესახებ მსჯელობს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, თავის გადაწყვეტილებაში.¹⁵⁶ სადავო იყო „სოციალური დახმარების შესახებ საქართველოს კანონის ის მუხლი, რომელიც კრძალავდა სოციალური დახმარების ოდენობის, შეფასების მეთოდოლოგიის და სილატაკის დონის გასაჩივრებას სასამართლოში. მოსარჩელის აზრით, ამგვარად ირღვეოდა სოციალური უზრუნველყოფისა და სოციალური დახმარების უფლებების სასამართლოში დაცვის უფლება. საკითხზე სოციალური უზრუნველყოფისა და სოციალური დახმარების უფლებები უნდა იყოს თუ არა სასამართლოში განსჯადი, მოსამართლეების ხმები გაიყო და შესაბამისად, ამ უფლებებთან მიმართებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა. ამ საქმეში საკონსტიტუციო სასამართლოს ორმა მოსამართლემ ქ.ერემამემ და ბ.ზოიძემ წერილობით გამოხატეს განსხვავებული მოსაზრება და აღნიშნეს, რომ სოციალური უფლებების დაცვის ვალდებულება გამომდინარეობს საქართველოს კონსტიტუციაში მოცემული სოციალური სახელმწიფოს პრინციპიდან. ეს პრინციპი ფართო შეხედულების თავისუფლებას აძლევს სახელმწიფოს ამ უფლებების დაცვის გზების არჩევის თვალსაზრისით, მაგრამ არსებობს ორი უპირობო ვალდებულება, ესენია: სოციალური უფლებების კანონმდებლობით აღიარება და ადამიანის უუნარობის ან სიღარიბის შემთხვევაში, მისი საარსებო მინიმუმით უზრუნველყოფა. ამ შემთხვევაში სახელმწიფოს არჩევანი არ აქვს და ამ ვალდებულებაზე უარის თქმა სოციალური სახელმწიფოს პრინციპის უფლებებელყოფას ნიშნავს. აღსანიშნავია, რომ გერმანიის

¹⁵³ დაწვრილებით იხ. საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლი

¹⁵⁴ შესავალი საქართველოს საკონსტიტუციო სამართალში, რედ. დ.გეგენავა, თბილისი 2019, გვ.22

¹⁵⁵ სოციალური უფლებების შესახებ საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტი, პროექტის ინიციატორები, ვ.მენაბდე, ვ.ნაცვლიშვილი, თბილისი 2017, გვ.7

¹⁵⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 27 აგვისტოს N 1/2/434 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ, სოციალური გათანაბრების პრინციპზე დაყრდნობით, გაამართლა მაღალი შემოსავლის უფრო მაღალი განაკვეთით დაბეგვრა და შედარებით დაბალი შემოსავლის გადასახადებისაგან გათავისუფლება.¹⁵⁷

„სოციალური სახელმწიფო, ან, როგორც ხშირად უწოდებენ, კეთილდღეობის სახელმწიფო არის მმართველობის ფორმა, რომელშიც სახელმწიფო ზრუნავს მოქალაქეების ეკონომიკურ და სოციალურ კეთილდღეობაზე, რაც გულისხმობს შესაძლებლობების თანასწორობას, სიმდიდრის სამართლიანი გადანაწილებისა და სოციალური რისკებისაგან დაცვის უზრუნველყოფას.“¹⁵⁸ განაწილებითი სამართლიანობა ეხება საზოგადოებაში სიმდიდრის უთანასწორო განაწილების პრობლემას და მოითხოვს სახელმწიფოსაგან სიკეთეთა გადანაწილებას, როგორც სამართლიანობის უზრუნველყოფისთვის მნიშვნელოვან საკითხს.¹⁵⁹ სწორედ განაწილებითი სამართლიანობა გულისხმობს უკიდურეს სიღატაკესა და უკიდურეს სიმდიდრეს შორის იყოს ბალანსის, წონასწორობის დამკვიდრების საყრდენი. სწორედ სოციალური სახელმწიფოს ვალია აღკვეთოს სიღატაკე, უმუშევრობა და სხვა მნიშვნელოვანი პრობლემები, რაც ადამიანთა თანაცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა, განვითარებად ქვეყნებში. „სოციალური სახელმწიფოს პრინციპის რეალიზაციისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ე.წ. ცხოვრების ცვალებადი შემთხვევებისაგან დაცვა. ეს ნიშნავს, რომ მინიმუმამდე უნდა იქნეს შემცირებული უმუშევრობის, ავადმყოფობის, გარდაცვალებისა და სხვა რისკების გამო შემოსავლის დაკარგვით გამოწვეული სოციალური დისბალანსი. ამ მიზნის მისაღწევად თითოეული ადამიანს პრევენციის სათანადო შესაძლებლობა უნდა მიეცეს.“¹⁶⁰ „ბევრი კრიმინოლოგი და ზემოლოგი¹⁶¹ სისხლის სამართლის დანაშაულით მიყენებულ ზიანს შედარებით ნაკლებ ზიანად მიიჩნევს, ვიდრე სხვა ძირითადი ფორმებით გამოწვეულ ზიანს. სისხლის სამართალი უარყოფს ისეთ მნიშვნელოვან ზიანის სახეებს და ფორმებს, რომლებითაც ადამიანები იტანჯებიან, როგორებიცაა: სიღატაკე, შეუსაბამო საცხოვრებელი პირობები, მწირი საკვები რაციონი, გაუნათლებლობა, შეუსაბამო ჯანდაცვა, უმუშევრობა, მძიმე სამუშაო

¹⁵⁷ იხ. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები BVerfGE (Entscheidungen des Bundesverfassungsgerichts) 32,333 (339); 61, 319 (343 f.);68, 143 (152).

¹⁵⁸ თ.ცხადაძე, კონსტიტუცია და სოციალური სამართლიანობა: სოციალური სახელმწიფოს დეკლარირებული პრინციპის შინაარსის ძიებაში, საქართველოს კონსტიტუცია 20 წლის შემდეგ, რედ. ვ.ნაცვლიშვილი, დ.ზედელაშვილი, თბილისი 2016, გვ.195

¹⁵⁹ ე.ლომთათიძე, საქართველოს კონსტიტუცია და თავისუფლება: თავისუფლება სახელმწიფოსაგან თუ თავისუფლება საზოგადოებაში?, საქართველოს კონსტიტუცია 20 წლის შემდეგ, რედ. ვ.ნაცვლიშვილი, დ.ზედელაშვილი, თბილისი 2016, გვ.189

¹⁶⁰ თ.ზაალიშვილი, სოციალური სახელმწიფოს პრინციპი, მისი ელემენტები და ადამიანის ღირსების უფლება - საარსებო მინიმუმის უზრუნველყოფის საფუძველი, თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის სამართლის ჟურნალი N1, 2012, გვ.270

¹⁶¹ ზემოლოგია შეისწავლის სოციალური ზიანის საკითხებს, მისი როგორც სწავლების ჩამოყალიბება უკავშირდება ნეო-მარქსისტებს და ფემინისტებს, რომელთაც სურდათ შეექმნათ დამოუკიდებელი მეცნიერება რომელიც კრიმინოლოგიისაგან გამოყოფილია და აკრიტიკებს მას და დანაშაულის ცნებას. ტერმინი ზემოლოგია მომდინარეობს ბერძნული სიტყვიდან „zemia,” ანუ ზიანი.

პირობები და სხვა.”¹⁶² „სოციალურ უსამართლობაზე ტიპური საპასუხო რეაქციაა, რომ სახელმწიფომ დაიცვას ადამიანები სხვადასხვა ტიპის ტანჯვისაგან, მათ შორის იმ ტანჯვისაგანაც, რომელიც ადამიანებს საკუთარი ავტონომიური გადაწყვეტილებების შედეგად მიადგათ.”¹⁶³

ყველასათვის ცხადია, რომ „სიღარიბე დედაა დანაშაულის, სწორედ სიღარიბე აიძულებს ადამიანს ჩაიდნოს დანაშაული, რათა დაიკმაყოფილოს ყოველდღიური მოთხოვნილებები და მოიპოვოს პური არსობისა. აღსანიშნავია, რომ თანაფარდობა, მათ მიერ დანაშაულით მიღებულ სარგებელსა და დანაშაულის გამოაშკარავების შემთხვევაში მათი ქმედების შედეგს შორის უპირატესობა აშკარად პირველის მიმართ იხრება. თუმცადა საკითხავია, რომ თუ მხოლოდ სიღარიბე იწვევს დანაშაულს მაშინ რატომ ჩადიან მდიდრებიც დანაშაულს?! - იმიტომ, რომ დაიკმაყოფილონ საკუთარი სიხარბე.”¹⁶⁴ „უმუშევრობასა და დანაშაულს შორის არსებობს მიმართება, რომელიც გულისხმობს, რომ უმუშევრობის მატება და ხალხის დაუსაქმებლობა პირდაპირ პროპორციულია დანაშაულის ჩადენასთან და უკუპროპორციულია ეკონომიკურ ზრდასთან და სამუშაო ადგილების გაჩენასთან მიმართებით. თუმცადა, გარკვეული პრობლემებისა, დადებითი ასპექტი აქაც იკვეთება და უმუშევრობამ შესაძლოა პირიქით ხელი შეუწყოს დანაშაულის შემცირებას ვინაიდან უმუშევარი მშობლები მეტ დროს დაუთმობენ შვილების აღზრდას.”¹⁶⁵ ეკონომისტთა და სოციოლოგთა მნიშვნელოვანი ნაწილის აზრით, დღეისათვის პრობლემა მდგომარეობს არა იმაში, შეუძლია თუ არა პატიმრობას დამნაშავის ხელახალი აღზრდა ან, პირიქით ხელს უწყობს თუ არა, უფრო მეტი ადამიანის ჩართვას დანაშაულებრივ სფეროში. „პრობლემა იმაშია, რომ განისაზღვროს თუ რა პირობებში ახდენს სასჯელი დამნაშავეობაზე შემაკავებელ ეფექტს და რა პირობებში - უწყობს ხელს მის ზრდას.”¹⁶⁶

„მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან დღემდე მეცნიერებასა და პრაქტიკაში სოციალური სახელმწიფოს ქვაკუთხედის - საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს იდეის - განვითარებასა და მოდერნიზაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს მსჯავრდებულთა ფსიქოსოციალური რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის პროცესში სახელმწიფოს როლის განსაზღვრა წარმოადგენს.”¹⁶⁷ სასჯელის მეშვეობით მსჯავრდებულის რესოციალიზაციის მიღწევა საეჭვო იქნება საამისოდ შესაბამისი პირობების გარანტირების გარეშე. პირიქით, შესაძლოა საწინააღმდეგო შედეგიც კი მივიღოთ და პატიმრობის შედეგად მსჯავრდებული საზოგადოებაში ნორმალური ცხოვრების წესისა და უნარისაგან კიდევ უფრო მეტად

¹⁶² Steve Case, Phil Jhonson, David Maniow, Roger Smith, Kate williams, Criminology, Oxford University Press, 2017, გვ.74

¹⁶³ ე.ლომთათიძე, საქართველოს კონსტიტუცია და თავისუფლება: თავისუფლება სახელმწიფოსაგან თუ თავისუფლება საზოგადოებაში?, საქართველოს კონსტიტუცია 20 წლის შემდეგ, რედ. ვ.ნაცვლიშვილი, დ.ზედელაშვილი, თბილისი 2016, გვ.175-176

¹⁶⁴ Chris Hale, Keith Hayward, Azrin Wahidin, Emma Wincup, Criminology, Third Ed. Oxford University Press 2013, გვ.289

¹⁶⁵ Larry J.siegel, Criminology, Theories, Patterns, and Typologies, Twelfth edition, 2016, გვ.47

¹⁶⁶ Opp Karl Dieter, The Economics of Crime and The Sociology of Deviant Behavior, A Theoretical Confrontation of Basic Propositions, Kyklos 1989, vol.42, P.420

¹⁶⁷ ჯ.უსენაშვილი, სოციალური სახელმწიფოს ვალდებულება მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის პროცესში, კრიმინოლოგიის ჟურნალი N1, 2016, გვ.147-148

დისტანცირდეს. აღნიშნულიდან გამომდინარე სახელმწიფოს როლი მსჯავრდებულის რესოციალიზაციის მიღწევაში საკმაოდ დიდია და მას ეკისრება პასუხისმგებლობის დიდი ტვირთი.¹⁶⁸ რასაკვირველია, „სახელმწიფოს უფლება აქვს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის გამოიყენოს თავისუფლების აღკვეთა, მაგრამ იგი ვალდებულია ციხის პირობები მოაწყოს ისე, რომ მსჯავრდებულისათვის გამოსწორების მომტანი იყოს.“¹⁶⁹ „ევროსაბჭოს მინისტრთა საბჭოს 2003 წლის რეკომენდაციით (Rec(2003)23) თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულების საცხოვრებელი პირობები, შეძლებისდაგვარად ბევრ თავისუფლებაში არსებული ცხოვრების პირობებთან უნდა იყოს მიახლოებული, რათა არ მოხდეს მსჯავრდებულის დიდი ხნით თავისუფლებააღკვეთის გამო მისი სოციალური გადაგვარება.“¹⁷⁰ გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით, მსჯავრდებული პირის ციხის პირობებში რესოციალიზაცია ეფუძნება ადამიანის ღირსებას და სოციალური სახელმწიფოს პრინციპს. მსჯავრდებულის, როგორც ადამიანური ღირსების მატარებელ პირს, შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს ღირსეულად გამოსწორებული დაუბრუნდეს საზოგადოებას. სოციალური სახელმწიფოს პრინციპი სახელმწიფოს აკისრებს ვალდებულებას იზრუნოს იმ პირებზე, რომელთაც სოციალურ განვითარებაში ხელი ეშლებათ, იმის მიუხედავად მიუძღვის თუ არა პიროვნულად ბრალი შეეზღუდოს სოციალური განვითარება. ასეთი პიროვნების კატეგორიას განეკუთვნებიან მსჯავრდებულები და ციხიდან გათავისუფლებული პირები.¹⁷¹

სოციალური სახელმწიფოს მსჯავრდებულის რესოციალიზაციის კუთხით უნიშვნელოვანესი როლი აკისრია, როგორც უკვე აღვნიშნე, დანაშაულის გამომწვევ ერთ-ერთ მთავარ ფაქტორს უმუშევრობა და სიღარიბე წარმოადგენს. უმუშევრობა და სიღარიბე თანამედროვე სამყაროს უდიდესი პრობლემაა და მათ შორის, არც საქართველოა გამონაკლისი, ხოლო სახელმწიფოს მიერ, ადამიანთა სოციალური უფლებების დაცვა საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა ე.წ. „ძვირი უფლებებია.“¹⁷² თუმცადა, მიუხედავად სახელმწიფოს ბიუჯეტის სიმწირისა და უფლებათა დაცვის სიძვირისა სახელმწიფო ვალდებულია დაინახოს საკუთარი როლი, სოციალურ და ეკონომიკურ სფეროში და განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები. მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის კუთხით მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფომ ციხის პირობებშიც და ციხიდან გათავისუფლების შემდგომაც იზრუნოს მსჯავრდებულთა უმუშევრობის პრობლემის მოგვარებაზე. წინაარმდეგ შემთხვევაში, მსჯავრდებული ციხის პირობებში ვერ ისწავლის საზოგადოების სრულფასოვან წევრად ყოფნას და მისი

¹⁶⁸ იხ. შესავალი საკონსტიტუციო სამართალში, ავტორთა კოლექტივი, თბილისი 2016, გვ.114-115

¹⁶⁹ ი.იზორია, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, მუხლი 39-ე, თბილისი 2013, გვ.484

¹⁷⁰ მ.შალიკაშვილი, გ.მიქანაძე, მ.ხასია, სასაჯელაღსრულების სამართალი, თბილისი 2014, გვ.33

¹⁷¹ იხ. ი.შვაბე, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, გადაწყვეტილება (BVerfG 35, 202 (235), თბილისი 2011, გვ.315

¹⁷² იხ. ქ.ერემაძე, შესავალი საკონსტიტუციო სამართალში, ავტორთა კოლექტივი, თბილისი 2016, გვ.109; ამ საკიტხზე ასევე იხ. ბ.ზოიძე, საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, თბილისი 2007, გვ.156

გამოსწორება შეუძლებელი იქნება, აგრეთვე უმუშევრობის შემთხვევაში მას სხვა გზა არ ექნება, გარდა დანაშაულის განმეორებით ჩადენისა, რაც გაცილებით ცუდი შედეგის მომტანია, როგორც სახელმწიფოსთვის, აგრეთვე, თვით ამ პირისათვის.

„სასჯელაღსრულების ფარგლებში პატიმრის მუშაობა მხოლოდ იმ შემთხვევაშია რესოციალიზაციის ეფექტური საშუალება, როდესაც შესრულებული სამუშაო სათანადოდ არის აღიარებული. აღიარება არ უნდა გამოიხატებოდეს აუცილებლად ფინანსებში, იგი გულისხმობს პატიმრისათვის, მისთვის ხელმისაწვდომი და საგრძნობი სარგებლის სახით, რეგულარული სამუშაოს პრიორიტეტების გაზიარებასა და ჩვენებას, რომელიც შესაძლოა მან განახორციელოს მომავალში - არადანაშაულებრივი და პატიოსანი ცხოვრებისას.“¹⁷³ გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „პატიმარს უნდა ჩამოუყალიბდეს დამოუკიდებელი ცხოვრების უნარი და სურვილი. მან მომავალში უნდა შეძლოს თავისუფალ საზოგადოებაში პატიოსანი ცხოვრება დანაშაულის ჩადენის გარეშე, ამ საზოგადოების მიერ მიცემული შანსებით სარგებლობა და მასში არსებული რისკების საკუთარ თავზე აღება. ამას გარდა რესოციალიზაცია ემსახურება თვითონ საზოგადოებასაც, რომელიც უშუალოდ დაინტერესებულია, რომ დამნაშავემ აღარ განიცადოს რეციდივი და განმეორებით აღარ დააზიანოს თანამოქალაქეები და საზოგადოება.“¹⁷⁴

აღსანიშნავია, რომ 2012 წელს ხელისუფლების შეცვლისა და მასობრივი ამნისტიის შემდეგ სასჯელაღსრულების დაწესებულება 14 000-მდე პატიმარმა დატოვა. ციხეებს სხვადასხვა მიზეზით პატიმრები ყოველდღიურადაც ტოვებენ. ცხოვრებას კი ნასამართლევის სტატუსით აგრძელებენ. ეს ის სტიგმაა, რის გამოც მათ სოციალურ ურთიერთობებშიც და დასაქმებაშიც პრობლემები ექმნებათ. საზოგადოებისა და სახელმწიფოს მხრიდან უარყოფა კი, ხშირ შემთხვევაში, ხელახალი დანაშაულის ჩადენის მიზეზი ხდება. მიმაჩნია, რომ ნასამართლობა უმუშევრობას არ უნდა უდრიდეს და ამ ნიშნით ადამიანების დისკრიმინაცია გაუმართლებელია. აღნიშნულთან დაკავშირებით, არაერთი სოციოლოგიურ-კრიმინოლოგიური თეორია არსებობს: ე.წ. განტევების ვაცის თეორია, ეტიკეტების თეორია და სხვა.¹⁷⁵

სტიგმატიზაციის მიუხედავად, გარკვეული დადებითი ძვრები მსჯავრდებულთა დასაქმების კუთხით შეიმჩნევა თუმცაღა საკმარისი არაა. მაგალითად, 2016 წლის ივნისში, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ინიციატივის შედეგად, მსჯავრდებულებსა და ბრალდებულებს, რომლებიც სასჯელაღსრულების ან პენიტენციურ დაწესებულებებში იმყოფებიან, საშუალება აქვთ გამოიყენონ ელ. კომერციის ხერხი, საკუთარი ნაწარმის რეალიზებისთვის.

¹⁷³ ი.შვაბე, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, თბილისი 2011, გვ.214

¹⁷⁴ იხ. გერმანიის ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილება, ე.წ. ლეზახის საქმე, BVerfGE 35, 202, 235

¹⁷⁵ აღნიშნულ საკითხზე დამატებით იხ. მ.შალიკაშვილი, კრიმინალური კარიერის ხელშეწყობის კრიმინოლოგიური ანალიზი(საზოგადოების როლი ადამიანის კრიმინალად ჩამოყალიბების პროცესში)თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის სამართლის ჟურნალი N1-2, თბილისი 2010, გვ.197-203; აგრეთვე, ე.გიდენსი, სოციოლოგია, თბილისი 2011, გვ.219-222, 254-255

საიტი სამინისტრომ საკუთარი ხარჯებით დაამზადა და დღემდე უზრუნველყოფს პროდუქციის ტრანსპორტირებასა და ვებგვერდზე განთავსებას. პროდუქციის ფასებს პატიმრები განსაზღვრავენ, რაც შეეხება შემოსავალს, იგი დაბეგვრის გარეშე ირიცხება მსჯავრდებულის პირად ანგარიშზე, თანხის გამოყენება კი სასჯელაღსრულების დაწესებულებაშივეა შესაძლებელი.¹⁷⁶

დასაქმებასთან ერთად მსჯავრდებულთათვის მნიშვნელოვანია, განათლების ხელმისაწვდომობა. აუცილებელია, სახელმწიფომ ხელი შეუწყოს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მყოფ პირებს, დაეხმაროს განათლების მიღებასა და პროფესიულ სწავლებებში. ვინაიდან განათლების ნაკლებობა და პროფესიის არ ქონა ხშირ შემთხვევაში აბრკოლებს სამომავლოდ მათ დასაქმებას. გარდა ამისა, განათლების უფლება ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებების განუყოფელი ნაწილია. „არავის შეიძლება აღეკვეთოს განათლების უფლება!“¹⁷⁷ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია განათლების უფლებას განიხილავს, როგორც ყველასათვის თანაბარ უფლებას და განმარტავს, რომ ყველას აქვს განათლების უფლება, განურჩევლად მდგომარეობისა და სტატუსისა, ასევე დეკლარაცია განმარტავს თუ რა მიზანს უნდა ემსახურებოდეს განათლების პროცესი, განათლება მიმართული უნდა იყოს ადამიანის პიროვნების სრულყოფილი განვითარებისაკენ და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემის განმტკიცებისკენ.¹⁷⁸ „აღნიშნული მიდგომა განსაკუთრებით მაღალმოთხოვნად საჭიროებად უნდა განვიხილოთ კანონთან კონფლიქტში მყოფ პირებთან მიმართებაში, რათა მათ განუვითარდეთ პატივისცემა საზოგადოებისადმი და ორიენტაცია აიღონ მათ პიროვნულ განვითარებაზე.“¹⁷⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „განათლების დაფინანსებას ვერ განვიხილავთ, როგორც სახელმწიფოს მიერ პირისთვის მინიჭებულ პრივილეგიას ან შემწეობას. პირველ რიგში იმიტომ, რომ განათლების უფლების სრულფასოვანი რეალიზაცია სასიცოცხლოდ აუცილებელია დემოკრატიული სახელმწიფოს განვითარებისათვის, ამავდროს - განათლების ხელმისაწვდომობის შეზღუდვა მთელი ცხოვრების განმავლობაში წაართმევს ადამიანს სრულფასოვანი ცხოვრების შესაძლებლობას.“¹⁸⁰

აღსანიშნავია, რომ „აშშ-ს კონსტიტუციის თანახმად, ადამიანებს გააჩნიათ ბედნიერებისაკენ სწრაფვის უფლება. ინდივიდი უფლებამოსილია სახელმწიფოსაგან მოითხოვოს, როგორც ფიზიკური დაცვის, ხელშეუხებლობის, ასევე სოციალური დაცვის უფლებაც. შვეიცარიის კონსტიტუცია აცხადებს: - „გვწამს, რომ მხოლოდ ის

¹⁷⁶ იხ. აღნიშნული ონლაინ მაღაზია <https://online.moc.gov.ge/katalogi>

¹⁷⁷ ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის კონვენციის დამატებითი ოქმი, პარიზი 1952 წლის 20 მარტი

¹⁷⁸ იხ. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, მუხლი 26-ე

¹⁷⁹ მ.შალიკაშვილი, გ.მიქანაძე, მ.ხასია, სასჯელაღსრულების სამართალი, თბილისი 2014, გვ.192

¹⁸⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 12 სექტემბრის N2/3/540 გადაწყვეტილება საქმეზე „რუსეთის მოქალაქეები - ოგანეს დარბინიანი, რუდოლფ დარბინიანი, სუსანა ჯამკოციანი და სომხეთის მოქალაქე მილენა ბარსელიანი და ლენა ბარსელიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

არის თავისუფალი, ვინც თავისუფლებით სარგებლობს და რომ ხალხის სიძლიერე მის უსუსტეს წევრთა კეთილდღეობით განისაზღვრება.”¹⁸¹

2. რესოციალიზაცია სახელმწიფოს სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის ჭრილში

სახელმწიფო, ისევე როგორც სახელმწიფოს პოლიტიკა მეტად რთული და კომპლექსური ორგანიზმია. თავად პოლიტიკა, არსებითად საკამათო ცნებაა, რადგან მას შეიძლება ბევრი მნიშვნელობა მივანიჭოთ. როგორც ცნობილია, ტერმინი „პოლიტიკა“ მომდინარეობს ძველი ბერძნული სიტყვიდან „Polis“- ანუ ქალაქ-სახელმწიფო, ამ სიტყვის ფუძე „მოქალაქესა“ და „ქალაქს“ უკავშირდება, სადაც კლასიკური ბერძნული საზოგადოება ვითარდებოდა, Politeia- კონსტიტუცია, Politikos - პოლიტიკოსი და სხვა.

ზოგადი განმარტების თანახმად, პოლიტიკა არის პროცესი, რომლის ფარგლებშიც ადამიანები ქმნიან, ინარჩუნებენ და სრულყოფენ, ერთად ცხოვრების ნორმებს. თავად პოლიტიკა, კი დაკავშირებულია ისეთ მოვლენებთან, როგორებიცაა კონფლიქტი და კონსენსუსი. ერთის მხრივ, საზოგადოებაში არსებული აზრთა სხვადასხვაობა, განსხვავებული მოთხოვნები და ინტერესთა შეუსაბამობა, წარმოშობს უთანხმოებას საზოგადოებრივი თანაცხოვრების ნორმებზე. მეორეს მხრივ, ყველას გააზრებული აქვს, რომ აღნიშნული წესების შესაცვლელად, ან შესანარჩუნებლად აუცილებელია საზოგადოების თანხმობა. მარტივად, რომ ვთქვათ, პოლიტიკა, არის სახელმწიფოსა და ხალხის მართვა-გამგეობის ხელოვნება, რაშიც თავისთავად საზოგადოებაც მონაწილეობს. თუმცა, უმნიშვნელოვანესია, რომ პოლიტიკამ სხვა ადამიანებს გაუწიოს დახმარება. როგორც, ვ.ჰაველი ამბობდა, „ჩემთვის ნამდვილი პოლიტიკა... უბრალოდ, სხვა ადამიანებისათვის სამსახურის გაწევაა.”¹⁸² ხოლო, ამერიკელი პოლიტოლოგის რ.დალის აზრით კი, „პოლიტიკა ადამიანურ ურთიერთობათა ისეთი წყობაა, რომელიც დიდწილად მოიცავს კონტროლს, ძალაუფლებას, გავლენასა და ავტორიტეტს.”¹⁸³

სახელმწიფოს პოლიტიკა, ვლინდება სისხლის სამართალშიც, რისი დასტურიცაა, სსსკ-ის პირველი მუხლის პირველი და მესამე ნაწილები,¹⁸⁴ რომელთა მიხედვითაც, სახელმწიფო ადგენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველს, განსაზღვრავს, თუ რომელი ქმედებაა დანაშაულებრივი და აწესებს შესაბამის სასჯელსაც. აგრეთვე კოდექსის მიზანს წარმოადგენს, დანაშაულებრივი ხელყოფის თავიდან აცილება და მართლწესრიგის დაცვა. ყოველივე აღნიშნული, კი წარმოადგენს პოლიტიკას სისხლის სამართალში. „შესაძლებელია ითქვას, რომ სახელმწიფოს სისხლისსამართლებრივი პოლიტიკა და სისტემა შექმნილია, რათა გაზარდოს სოციალური კონტროლი, როგორც პროაქტიური, ისე რეაქტიული საშუალებებით. კერძოდ, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემამ უნდა

¹⁸¹ გ.გოგიაშვილი, კონსტიტუციის საიდუმლოებანი, ლექციები შედარებით-კონსტიტუციურ სამართალში, თბილისი 2014, გვ.79

¹⁸² ვაცლავ ჰაველი (1936-2011), ჩეხოსლოვაკიის უკანასკნელი და ჩეხეთის პირველი პრეზიდენტი

¹⁸³ რობერტ ლან დალი (1915-2014), ამერიკელი პოლიტოლოგი

¹⁸⁴ იხ.საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1-ლი მუხლის 1-ლი და 3-ე ნაწილები

დაიცვას თავისი მოქალაქეები დანაშაულებრივი ხელყოფისაგან(პროაქტიული) და სისხლისსამართლებრივი იძულების ღონისძიებები გამოიყენოს იმ პირთა მიმართ, რომელთაც დაარღვიეს კანონი.”¹⁸⁵ „დავას არ იწვევს ის გარემოება, რომ სამართალი ვლინდება კანონსა და კანონქვემდებარე აქტებში, რომლებშიც გამოხატულია არა მარტო სამართალი, ამ ტერმინის ვიწრო იურიდიული გაგებით, არამედ სახელმწიფოს ოფიციალური პოლიტიკაც. (...) პოლიტიკა საქართველოს სისხლის სამართლის სფეროში იმაშიც იჩენს თავს, რომ სისხლის სამართალი დანაშაულებრივი ხელყოფისაგან იცავს, უპირველეს ყოვლისა, ადამიანს, მის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, საქართველოს კონსტიტუციით დადგენილ უფლებებსა და თავისუფლებას. ეს შეიძლება გამოიხატოს იმაშიც, რომ საქართველოს კონსტიტუცია, გარდა იმისა, რომ იგი სისხლის სამართლის სფეროში პოლიტიკის გამოხატვის საქმეში უმაღლესი იურიდიული ბაზაა, რომელიც უზრუნველყოფს პოლიტიკისა და სისხლის სამართლის, როგორც დარგის ერთიანობას.”¹⁸⁶

სახელმწიფოს სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის ანალიზისათვის მნიშვნელოვანია უახლესი ისტორიის გააზრებაც, ვინაიდან მე-20 საუკუნის, 90-ინი წლებიდან მოყოლებული საქართველოში, მჭიდროდ ჰქონდა ფეხი მოკიდებული კრიმინალურ სუბკულტურას,¹⁸⁷ რომელიც გარკვეული კუთხით, კვაზი სასამართლო ფუნქციასაც კი ასულებდა და კრიმინალური ავტორიტეტები გვევლინებოდნენ მოსამართლის როლში. აღნიშნულის მიზეზი კი, უპირველეს ყოვლისა, გახლდათ საზოგადოების უნდობლობა სახელმწიფო ინსტიტუტებისადმი, სწორედ მათში გამეფებული კორუფციიდან გამომდინარე. სწორედ მაღალი კორუფციული ფონი იწვევდა, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების უფუნქციობას, რასაც მოსდევდა კრიმინალური სუბკულტურის მიერ სახელმწიფოს ხელისუფლების ეტაპობრივი უზურპაცია, მათი უფლებამოსილებების თანდათანობით შეთავსებისა და ხალხში ე.წ. სამართლიანი ორგანიზაციის დამკვიდრების გზით. სწორედ სახელმწიფო ინსტიტუტების არ არსებობის გამო იყო კრიმინალი თითოეული ადამიანის ცხოვრებაში და ყოველდღიურად ხდებოდა ძალადობრივი დანაშაულები. აღნიშნულს ემატებოდა, ყველაზე გავრცელებული და დამლუპველი ნარკოტიკული დანაშაულები, განსაკუთრებით კი მათი მოხმარება. ამ პერიოდში მოქმედებდა ქურდული კანონები და არასრულწლოვანთა უმრავლესობას სურდა გამხდარიყო ქურდული სამყაროს წევრი. ქურდული სამყაროს, როგორც კრიმინალური ორგანიზაციის, შესუსტების პროცესი აქტიურად დაიწყო 2000 იანი წლების შემდგომ, როდესაც 21-ე საუკუნის დასაწყისში ხელისუფლება შეიცვალა და ამ უკანასკნელმა აქტიური ბრძოლა გამოუცხადა დანაშაულებრიობას, საქმე იქამდეც კი მივიდა, რო მან ე.წ. „ნულოვან ტოლერანტობა“ გამოაცხადა ყველა სახის დანაშაულთან მიმართებით, რასაც შედეგად, ციხეების გადავსება მოჰყვა. პრაქტიკულად არ გამოიყენებოდა

¹⁸⁵ The money and politics of criminal justice policy / O. Hayden Griffin, III, Vanessa H. Woodward, and John J. Sloan, III. Durham, North Carolina : Carolina Academic Press, 2016, p.17

¹⁸⁶ სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, ავტორთა კოლექტივი (რედ. გ.ნაჭყებია, ი.დვალაძე), თბილისი 2007, გვ.38-41

¹⁸⁷ კრიმინალურ სუბკულტურაზე დაწვრილებით იხ. მ.შალიკაშვილი, კრიმინოლოგია მესამე შეესებული და გადამუშავებული გამოცემა, თბილისი 2017

ალტერნატიული სასჯელები და საპროცესო შეთანხმებები. სახელმწიფო ინსტიტუტები კი - „ყველა ციხეში“-ს პრინციპით მოქმედებდნენ. რასაკვირველია, სახელმწიფოს აღნიშნული პოლიტიკა გაუმართლებელი და სამომავლო შედეგზე ნაკლებ ორიენტირებულია, მაგრამ აღნიშნულმა პოლიტიკამ, გარკვეული თვალსაზრისით შედეგი გამოიღო, ვინაიდან რამდენიმე წელში საქართველო დაემსგავსა სახელმწიფოს და დანაშაულის ჩადენამაც საგრძნობლად იკლო, თუმცა აღნიშნული ძვირი დაუჯდა ისედაც ღატაკ სახელმწიფოსა და საზოგადოებას. გარდა ამისა, თითქმის ყოველ მეორე ოჯახში იპოვიდით ნასამართლევ ან მსჯავრდებულ პირს, რაც თავის მხრივ, უარყოფითად აისახება საზოგადოებასა და თვით სახელმწიფოზეც. პატიმართა სიმრავლის გამო, პრაქტიკულად არ ხორციელდებოდა მსჯავრდებულის მიმართ ინდივიდუალური მიდგომა და მის რესოციალიზაციარეაბილიტაციაზე ზრუნვა, არადა „სასჯელმა მსჯავრდებულში პოზიტიური პასუხისმგებლობა უნდა გამოაღვიძოს.“¹⁸⁸ აღსანიშნავია, რომ დღესდღეისობით, სახელმწიფოს სისხლისსამართლებრივი პოლიტიკა გაცილებით ლიბერალურია და აქტიურად ცდილობს მსჯავრდებულის მიმართ, ინდივიდუალური მიდგომების დანერგვა-განხორციელებას, რაც მის რესოციალიზაციას ემსახურება. აღსანიშნავია, რომ საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებულია 7,397.4 ათასი ლარი, დანაშაულის პრევენციისა და პრობაციის სისტემების განვითარებისათვის, აგრეთვე, ყოფილ პატიმართა რესოციალიზაციისათვის. რაც მისასალმებელია, ვინაიდან სახელმწიფოს ცდილობს საკუთარი მიდგომები წარმართოს, არა სასტიკი და შეუბრალებელი სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის საწარმოებლად, არამედ მსჯავრდებულთა რესოციალიზაციისაკენ.

3. რესოციალიზაცია სამართლის ეკონომიკურ ჭრილში

დღევანდელ რეალობაში, უნიშვნელოვანეს როლს ფინანსები და მათი ეფექტური განკარგვა წარმოადგენს. სწორედ სახელმწიფო სახსრების ეკონომიურ გამოყენებას უნდა ემსახურებოდეს კანონშემოქმედება და სამართალგამოყენება. „რატომ უნდა იყოს ეკონომიკური ეფექტიანობა მართლწესრიგის ფუნდამენტალური პრინციპი? - ამ კითხვაზე პასუხის გაცემა აუცილებელია სამართლის ეკონომიკური ანალიზის ნორმატიული ლეგიტიმაციისათვის.“¹⁸⁹ აღნიშნული მეტად პრობლემატური საკითხია, განსაკუთრებით ისეთი ქვეყნებისათვის, როგორც საქართველოა. მოგეხსენებათ საქართველო, დიდი ეკონომიკური სტაბილურობითა და შემოსავლებით არ გამოირჩევა, ხოლო სასჯელის გამოყენება, კი სახელმწიფოს

¹⁸⁸გ.ნაჭყებია, სასჯელის მიზნების საკანონმდებლო განსაზღვრებისა და თავისუფლების უვადო აღკვეთის მიმართების პრობლემა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, ჟურ: მართლმსაჯულება და კანონი, №2, 2013, გვ. 112

¹⁸⁹ ა.ქირია, სამართლის ეკონომიკური ანალიზი და მისი მეთოდოლოგიური საზღვრები, ი.ბურდულის რედ. საკოორპორაციო სამართლის კრებული II, თბილისი 2014, გვ.17

ძვირი უჯდება,¹⁹⁰ რაც თავის მხრივ, კიდევ აუარესებს, როგორც სახელმწიფოს, ისე საზოგადოების მატერიალურ მდგომარეობას.

აღსანიშნავია, რომ „თანამედროვე პერიოდში, სამართლის ეკონომიკური ანალიზი განსაკუთრებით პოპულარულია ჩრდილოეთ ამერიკაში. სამართლის ეკონომიკური ანალიზი არ არის შემოფარგლული სამართლის რომელიმე კონკრეტული დარგით, იგი მოიცავს, როგორც საჯარო ასევე კერძო სამართალს. სამართლის ეკონომიკური ანალიზი მოიცავს, როგორც კანონშემოქმედებას, აგრეთვე სამართლის შეფარდების პროცესსაც. კანონმდებელმა უნდა შეიმუშაოს ეკონომიკურად ეფექტიანი კანონები. სამართლის შემფარდებელმა, მათ შორის მოსამართლემ, უნდა უზრუნველყოს ნორმათა ეკონომიკურად ეფექტიანი აღსრულება.“¹⁹¹ ნორმათა ეფექტურობა, უნდა განისაზღვროს საზოგადოებისათვის კეთილდღეობის დონის ამაღლების ინდექსით. ნორმის ეფექტურობა, პირდაპირპროპორციულია საზოგადოებრივი კეთილდღეობის დონის ზრდასთან მიმართებით. შესაბამისად, ის ნორმა ეფექტური რომელიც საზოგადოებრივ კეთილდღეობის დონეს აამაღლებს და შექმნის „საზოგადოებრივ დოვლათს.“¹⁹² სისხლისსამართლებრივი „საჩქცია უნდა იყოს ისეთი სახის, რომ მისი გამოყენებით, სახელმწიფომ დახარჯოს მცირე რესურსი და მიიღოს, რაც შეიძლება კარგი შედეგი, მსჯავრდებულის რესოციალიზაცია.“¹⁹³

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოს საკმაოდ ძვირი უჯდება სისხლის სამართლის გამოყენება და აღსრულება. სახელმწიფო იხდის სახელმწიფო ორგანოების ნორმალური ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯებს, როგორებიცაა: სასამართლო, პროკურატურა და სხვა. გარდა აღნიშნულისა, სახელმწიფო აშენებს ციხეებს და ქირაობს შესაბამის პერსონალს, რათა აღასრულოს სამართლის შემფარდებელი ორგანოების გადაწყვეტილება და უზრუნველყოს თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულების შესაბამის პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსება, რაც აგრეთვე, გარკვეულ ხარჯებთანაა დაკავშირებული, „რომელსაც გადასახადის გადამხდელი აფინანსებს. შესაბამისად, აქტუალურია იმის გარკვევა თუ რამდენად არის შესაძლებელი, რომ იურიდიული საჩქციის მიზნები განვახორციელოთ მაქსიმალურად ნაკლები დანახარჯებით.“¹⁹⁴ „სამართალდამცავი ორგანოების ამოცანათა შესახებ სტანდარტული მოსაზრებების თანახმად, მათი მიზანია, დანაშაულობის ლიკვიდირება საზოგადოებაში. მაგრამ თუ შევხედავთ ამ პრობლემას სარგებლიანობა-დანახარჯების თვალსაზრისით, შეიძლება, გაჩნდეს კითხვა - რა უფრო ძვირი უჯდება საზოგადოებას: დანაშაულობა თუ მასთან ბრძოლა?“¹⁹⁵ „სასჯელის ეკონომიის პრინციპის თანახმად, მკაცრი სასჯელები ძვირადღირებულია,

¹⁹⁰ იხ. ო. გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი მესამე, თბილისი 2013, გვ.111

¹⁹¹ გ.ხუბუა, სამართლის თეორია, მეორე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა, თბილისი 2015, გვ.133

¹⁹² ი.ბალარჯიშვილი, დანაშაულის და სასჯელის ეკონომიკა, თბილისი 2010, გვ.60

¹⁹³ მ.შალიკაშვილი, კრიმინოლოგია, მესამე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა, თბილისი 2017, გვ.208

¹⁹⁴ გ.ხუბუა, სამართლის თეორია, მეორე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა, თბილისი 2015, გვ.134

¹⁹⁵ ი.ბალარჯიშვილი, დანაშაულის და სასჯელის ეკონომიკა, თბილისი 2010, გვ.40

ხშირად დამნაშავეს ფიზიკური და ფსიქოლოგიური მდგომარეობისათვის მავნეა, ხოლო მისი გამოყენების შედეგი (სარგებელი) საკმაოდ საეჭვო.¹⁹⁶ „კრიმინალური იუსტიციის სისტემის საქმიანობა არსებითად არ განსხვავდება ნებისმიერი სხვა ეკონომიკური წარმოების პროცესისაგან.“¹⁹⁷ მაშასადამე, უნდა განისაზღვროს პოლიციის საქმიანობის ისეთი ფარგლები, რომ „იუსტიციის მთელი სისტემის ზღვრული სოციალური ხარჯები ტოლი იყოს თავიდან აცილებული სამართალდარღვევათა ზღვრული სოციალური სარგებლიანობისა.“¹⁹⁸ წინააღმდეგ შემთხვევაში გამოვა, რომ სახელმწიფო და საზოგადოება კარგავს ადამიანურ რესურსს, მსჯავრდებული პირის სახით, აგრეთვე იხარჯება, როგორც მატერიალურ-ფინანსური, ისე ადამიანური რესურსი, რომელიც ტვირთად ისევ საზოგადოებას და სახელმწიფოს ბიუჯეტს აწვება.

პროფ. ო.გამყრელიძე აღნიშნავს, რომ „თავისუფლების აღკვეთა მოითხოვს ციხეებისა და სასჯელაღსრულების სხვა დაწესებულებათა მშენებლობასა და სათანადო მოწყობილობებით აღჭურვას. ამავე დროს, ციხეებს ესაჭიროებათ მრავალრიცხოვანი მომსახურე პერსონალი, რომლის შენახვა ცოტა როდი უჯდება ქვეყანას. ამ მომსახურეთა შენახვა მით უფრო ძვირი ჯდება, რაც უფრო ხანგრძლივია თავისუფლების აღკვეთის ვადა, რასაკვირველია თუ პატიმართა რიცხვიც დიდია.“¹⁹⁹ ხოლო, „სამართლის ეკონომიკური ანალიზი მოითხოვს რომ ნორმათა შეფარდება ემსახურობდეს შეზღუდული რესურსების მაქსიმალურად ეფექტურ გამოყენებას. ის არკვევს, თუ რამდენად ოპტიმალურია ეს ხარჯები. სამართლის ეკონომიკურ ანალიზს აინტერესებს იურიდიული სანქციების აღსრულებაზე გაწეული დანახარჯებიც.“²⁰⁰ კრიმინალის მიმართ პოლიტიკის განხორციელების ნებისმიერი ეტაპი, იქნება ეს დანაშაულის პრევენცია, დანაშაულის გახსნა თუ დამნაშავეს დასჯა, ხარჯებთანაა დაკავშირებული. ფინანსური თვალსაზრისით დამნაშავეს დასჯა ანტიდოვლათს წარმოადგენს, ვინაიდან თავისუფლება აღკვეთილ პირს არ შეუძლია რაიმე ღირებული დოვლათის შექმნა, შესაბამისად დასჯა იწვევს დოვლათიანობის შემცირებას.²⁰¹ „ციხეში მყოფ დამნაშავეს არ შეუძლია, იყოს მწარმოებლური და ის აწარმოებს გარკვეულ ხარჯებს, მაშინ როდესაც სარგებელს არავინ არ იღებს, ამის შედეგად.“²⁰² აღნიშნულ მოსაზრებას ეთანხმება აგრეთვე პროფ. მ.შალიკაშვილი და აღნიშნავს: „სამართლის ეკონომიკური ანალიზით ნათელი ხდება, რომ თავისუფლების აღკვეთა დიდ ეკონომიკურ ხარჯებთან არის დაკავშირებული და ეწინააღმდეგება სასჯელის მაქსიმალურად ნაკლები დანახარჯებით აღსრულების

¹⁹⁶ მ.ლევკვიშვილი, სასჯელის მიზნები და არასრულწლოვანთა სასჯელის დანიშვნის სპეციფიკა, არასრულწლოვანთა სასჯელისა და აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიების შეფარდების პრობლემები, სტატიათა კრებული, თბილისი 2011, გვ.35

¹⁹⁷ L.Phillips, Hi.JR. Votey, The Economics of Crime Control, Beverly Hills etc. 1981, გვ.25

¹⁹⁸ W.R. Anderson, The Economics of Crime, The Macmillan Press LTD 1976, Ch.2, The Social Optimal Level of Offence, გვ.54

¹⁹⁹ ო.გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი მესამე, გვ.111

²⁰⁰ გ.ხუბუა, სამართლის თეორია, მეორე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა, თბილისი 2015, გვ.133-134

²⁰¹ იბ.ი.ბალარჯიშვილი, დანაშაულის და სასჯელის ეკონომიკა, თბილისი 2010, გვ.61

²⁰² H.P. Rubin, The Economics of Crime, Cambridge(Mass.) 1980, გვ.20

(განხორციელების) პრინციპს. სხვა მდგომარეობა იქნებოდა, იმ შემთხვევაში, თუ მსჯავრდებულები ციხის პირობებში დასაქმდებოდნენ და მათ მიერ შექმნილი პროდუქცია გარკვეულ ეკონომიკურ სარგებელს მოუტანდა, როგორც თავად მსჯავრდებულს, ასევე დადებითად აისახებოდა ქვეყნის ბიუჯეტზეც.”²⁰³ შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ „სახელმწიფომ გაანალიზოს, თუ რომელი სახის სასჯელის გამოყენებაა მისთვის ეკონომიკურად და სასჯელის მიზნების შედეგობრივად უფრო მისაღები.”²⁰⁴ აღსანიშნავია, რომ სასჯელებთან მიმართებით მნიშვნელოვანია ალტერნატიული სასჯელის სახეების აქტიური გამოყენება, აგრეთვე ისეთი სახის სასჯელის დანიშვნა, რომელიც მსჯავრდებულის რესოციალიზაციაზე იქნება ორიენტირებული და ამავე დროს ეკონომიკური თვალსაზრისითაც გამართლებული. სამართლის ეკონომიკური ანალიზის თვალსაზრისით, ეკონომიკურად მომგებიანად უნდა მივიჩნიოთ, ისეთი საპროცესო შეთანხმება, რომელიც არ ითვალისწინებს პირის თავისუფლების აღკვეთას, ვინაიდან დაიზოგება სახელმწიფოს, როგორც ფინანსური, აგრეთვე ადამიანური რესურსი.²⁰⁵ მარტივად, რომ ვთქვათ, სამართლის ეკონომიკურ ანალიზს აინტერესებს თუ რა ღირს კანონი.²⁰⁶

ყველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია სახელმწიფოს ჰონდეს, ეფექტური ეკონომიკური პოლიტიკა სამართალშემოქმედებისას და სამართალშეფარდების პროცესში. აგრეთვე, სამართლის ნორმის ეკონომიკური ანალიზით მიღებული დასკვნა, უნდა შეესაბამებოდეს სოციალური სახელმწიფოს პრინციპს, კერძოდ სოციალურ სამართლიანობას, შესაბამისად სახელმწიფო რესურსების მიზნობრივ და სამართლიან გადანაწილებას.²⁰⁷ ასევე მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფომ იზრუნოს მსჯავრდებულთა რესოციალიზაციაზე, ვინაიდან ეკონომიკური თვალსაზრისით ყველაზე მისაღები და ეფექტური ხერხი დანაშაულებრიობასთან საბრძოლველად, სწორედ მსჯავრდებულის რესოციალიზაცია წარმოადგენს.

4. კრიმინოლოგია და რესოციალიზაცია

კონსტიტუციურ პრინციპებთან მიმართებით, განსაკუთრებით კი სოციალურ და სამართლებრივ სახელმწიფოსთან კავშირში, მნიშვნელოვანია მსჯავრდებულის კრიმინოლოგიური შეფასება. რათა, მსჯავრდებულის სრულყოფილი რესოციალიზაცია განხორციელდეს, ამავე დროს აუცილებელია იმ გარემო პირობებისა და ფაქტორების შესწავლა-გამოკვლევა, რომლებიც დანაშაულის ჩადენას

²⁰³მ.შალიკაშვილი, არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები, თბილისი 2013, გვ.158

²⁰⁴ მ.შალიკაშვილი, გ.მიქანაძე, მ.ხასია, სასჯელაღსრულების სამართალი, თბილისი 2014, გვ.35

²⁰⁵ იხ.ი.აქუბარდია, დაცვის ხელოვნება, თბილისი 2011, გვ.203-209

²⁰⁶ იხ.გ.ხუბუა, სამართლის თეორია, მეორე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა, თბილისი 2015, გვ. გვ.134

²⁰⁷ ლ.ლოლაძე, სოციალური სახელმწიფო - საფრთხე ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებებისათვის? კ.კორკელიას რედ. ადამიანის უფლებათა დაცვა: მიღწევები და გამოწვევები, სტატიათა კრებული, თბილისი 2012, გვ.113

უწყობენ ხელს. აღნიშნული კი, დაეხმარება სახელმწიფოს დანაშაულებრიობასთან ეფექტური ბრძოლის პროცესში.

„კრიმინოლოგია არის მეცნიერება, რომელიც შეისწავლის დანაშაულის გამომწვევ მიზეზებს, დამნაშავისა და მსხვერპლის პიროვნებას და დანაშაულის კონტროლსა და პრევენციას. კრიმინოლოგიის შესწავლის საგანს, ასევე, წარმოადგენს სასჯელის აღსრულება, სარეაბილიტაციო ღონისძიებები და მისი შედეგები მსჯავრდებულზე, სასჯელის მოხდის პიროვნების ზეგავლენა, მსჯავრდებულის რესოციალიზაციაზე.“²⁰⁸ ტერმინი კრიმინოლოგია, ეტიმოლოგიურად აღნიშნავს მოძღვრებას, სწავლებას დანაშაულის შესახებ.²⁰⁹ „კრიმინოლოგია-criminology-წარმოშობილია ლათინური სიტყვიდან „crimen“-ანუ დანაშაული,”²¹⁰ ხოლო „ლოგოს“ ბერძნულად ნიშნავს, მოძღვრებას.²¹¹ კრიმინოლოგ ე.საზერლენდის აზრით: „კრიმინოლოგია, ეს არის ის მეცნიერება, რომლის საგანია კანონის მიღება, კანონის დარღვევა და რეაქციები კანონდარღვევაზე.“²¹² „კრიმინოლოგია იკვლევს ძალადობრივ დანაშაულს და ცდილობს ფარდა ახადოს დანაშაულის გამომწვევ მიზეზებს და დაეხმაროს სახელმწიფოს განავითაროს ეფექტური საჯარო პოლიტიკა.“²¹³

დანაშაული თავისი არსით არის, კულტურული, სოციალურ-საზოგადოებრივი თანაცხოვრების ხელის შემშლელი მოვლენა, რომელიც ხშირად ექცევა, როგორც სახელმწიფოს, ისე საზოგადოების ყურდღების ქვეშ. სწორედ დანაშაულის აღნიშნული ხასიათი განაპირობებს და მოითხოვს, მის პრევენციას და თავიდან აცილებას. რათა მოსახლეობაში და საზოგადოებაში დაითრგუნოს, დანაშაულის ჩადენით გამოწვეული დაუცველობის განცდა და ამავე დროს, დაცული იყოს პოტენციური მსხვერპლი და საჯარო ინტერესი.²¹⁴

დანაშაული არსი სოციალური მოვლენა და სახელმწიფოს შეუძლია მისი გაკონტროლება. „დანაშაულის სისხლისსამართლებრივ სოციალურ კონტროლში იგულისხმება სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულებები, მათი სტრატეგია და სანქცია, რომლითაც ადამიანების სისხლის სამართლის ნორმით დაცულ კონფორმულ ქცევას უნდა შეეწყოს ხელი.“²¹⁵ რაც შეეხება დანაშაულის პრევენციას, აღნიშნული გულისხმობს, სახელმწიფოსა და საზოგადოების მონდომებასა და აქტიურ მოქმედებას დანაშაულის ჩადენისათვის ხელის შეშლაში, შესაბამისი ღონისძიებების დანერგვასა და განხორციელებას, რაც თავის მხრივ, აღკვეთს დანაშაულის ჩადენას. „კრიმინალური პრევენცია მოიცავს სახელმწიფო და კერძო

²⁰⁸ მ.შალიკაშვილი, გ.მიქანაძე, გ.არსოშვილი, პრობაციის სამართალი, თბილისი 2015, გვ.33-34

²⁰⁹ იხ.ზ.წულაია, კრიმინოლოგია, ზოგადი და კერძო ნაწილი, თბილისი 2005, გვ.9

²¹⁰ მ.შალიკაშვილი, კრიმინოლოგია, მეორე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა, თბილისი 2011, გვ.3

²¹¹ იხ.კრიმინოლოგია და სამართლებრივი სისტემა საქართველოში, თ.წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, თბილისი 2008, გვ.2

²¹² E.H. Sutherland, Principles of criminology, second edition, Lippincott, Philadelphia, 1934, გვ.3

²¹³ Gennaro F.Vito, Jeffrey R.Maahs, Criminology, Theory, Research, and policy, 2012, გვ.281

²¹⁴ იხ.მ.შალიკაშვილი, კრიმინოლოგია, მესამე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა, თბილისი 2017, გვ.181

²¹⁵ მ.შალიკაშვილი, კრიმინოლოგია, მესამე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა, თბილისი 2017, გვ.181

მცდელობებს, პროგრამებსა და ღონისძიებებს დანაშაულის, როგორც საზოგადოებრივი ფენომენის და ინდივიდუალური მოვლენის თავიდან ასაცილებლად (crime prevencion, Verbrechenvorbeugung).²¹⁶ დანაშაულის პრევენციაში გამოყოფენ სამი დონის პრევენციას: პირველი, მეორე და მესამე. თითოეულს გააჩნია საკუთარი ღონისძიებები, მიმართული და ორიენტირებულია პირთა სხვადასხვა ჯგუფებისაკენ.²¹⁷

პირველი დონის პრევენცია(იგივე, სოციალური, უნივერსალური) მიმართულია მთლიანად საზოგადოებაზე და გულისხმობს, მოსახლეობაში სამართლისა და საზოგადოებრივ ღირებულებათა პატივისცემის გრძნობის ამაღლებასა და ამასთან, ისეთი ღონისძიებების გატარებას, რომლებიც დანაშაულის ხელშემწყობ ფაქტორებს აღმოფხვრავს.²¹⁸ როგორც პროფ. მ.შალიკაშვილი აღნიშნავს: „დანაშაულის პირველადი პრევენციის მიზანია სასკოლო, საოჯახო, სოციალური და მასმედიის პოლიტიკის ისე წარმართვა, რომ საოჯახო და სასკოლო აღზრდით, სამუშაო ადგილების შექმნით, საცხოვრებელი ადგილების მოწყობით და სოციალური დაცვის პროგრამებით, თავიდან იქნეს დანაშაული აცილებული.“²¹⁹ ზემოაღნიშნული მოსაზრებას, აბსოლუტურად ვეთანხმები, ვინაიდან, როგორც წინა თავში განვიხილე, ადამიანის დამნაშავედ ჩამოყალიბებას პიროვნების სოციალიზაცია და ის გარემო-ფაქტორები უწყობს ხელს, რომელშიც იგი ცხოვრობს. შესაბამისად, სახელმწიფომ და საზოგადოებამ ერთობლივი ძალისხმევით უნდა აღზარდონ პიროვნება და ჩამოყალიბონ სამართლისა და საზოგადოებრივი ღირებულებების პატივისცემის უნარი. ასევე, ვთვლი, რომ საჭიროა ჯანსაღი ცხოვრების პროპაგანდა და საზოგადოების მეტი ინფორმირებულობა სამართალსა და დამნაშავეობის შესახებ. რაც, თავის მხრივ, განუმტკიცებს საზოგადოებას კანონის პატივისცემას. ვერ დავეთანხმები დ.ჩიხლაძის მოსაზრებას, რომ „არასპეციფიკური, უნივერსალური ხასიათის გამო საკამათოა პირველი დონის პრევენცია წარმოადგენს თუ არა კრიმინალური პრევენციის სახეს.“²²⁰ ვინაიდან, მიუხედავად პირველი დონის პრევენციის ზოგადი ხასიათისა, ის უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს „აღმოფხვრას დანაშაული ფესვებში.“²²¹ შესაძლოა დანაშაულის ხელშემწყობი მიზეზების აღმოფხვრაში მისი როლი სუსტად მოგვეჩვენოს, მაგრამ ჩვენ დასაწყისშივე თუ მყარი საძირკველი არ მოვამზადეთ, ისე მდგრად სახლს ვერ ავაშენებთ. შესაბამისად,

²¹⁶დ.ჩიხლაძე, დანაშაულის პრევენციის სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, კრიმინოლოგიის ჟურნალი N1, 20016, გვ.28

²¹⁷ი.მ.შალიკაშვილი, კრიმინოლოგია, მესამე შეესებული და გადამუშავებული გამოცემა, თბილისი 2017, გვ.182

²¹⁸ი.მ.შალიკაშვილი, დანაშაულის პრევენციის სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, კრიმინოლოგიის ჟურნალი N1, 20016, გვ.33

²¹⁹ი.მ.შალიკაშვილი, კრიმინოლოგია, მესამე შეესებული და გადამუშავებული გამოცემა, თბილისი 2017, გვ.182

²²⁰დ.ჩიხლაძე, დანაშაულის პრევენციის სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, კრიმინოლოგიის ჟურნალი N1, 20016, გვ.34

²²¹ი.მ.შალიკაშვილი, კრიმინოლოგია, მესამე შეესებული და გადამუშავებული გამოცემა, თბილისი 2017, გვ.182

პირველადი დონის პრევენცია წარმოადგენს იმ ფუნდამენტს, რომელზე დაყრდნობითაც შეგვიძლია, დანაშაულის გამომწვევ მიზეზს დასაწყისშივე მოვულოთ ბოლო, რათა სამომავლოდ არ დაგვჭირდეს დამატებითი ღონისძიებების გატარება.

დანაშაულის მეორე დონის პრევენცია მიმართულია, სავარაუდო რისკ ჯგუფებისაკენ. როგორებიცაა: სავარაუდო დანაშაულები და პოტენციური მსხვერპლები. მისი მიზანია იმ შესაძლო სიტუაციებისათვის ხელის შეშლა, როდესაც პირს შეეძლება დანაშაულის ჩადენა ან ვინმე გახდეს დანაშაულის მსხვერპლი. „დანაშაულის მეორე დონის პრევენცია, ერთის მხრივ, მიმართულია დანაშაულის პოტენციური მსხვერპლის დაცვაზე, მაგ: მათი საზოგადოებაში რეინტეგრაციის კუთხით, ხოლო მეორეს მხრივ, დანაშაულის ჩასადენად მზადმყოფი პირების დაშინებაზე. დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობა წინასწარ გატარებული ღონისძიებებით ან საერთოდ უნდა გამოირიცხოს ან მაქსიმალურად უნდა შეეშალოს ხელი მის ჩადენას.“²²² დანაშაულის მეორე დონის პრევენცია, გულისხმობს გარკვეული პრაქტიკული ღონისძიებების გატარებას. პროფ. მ.შალიკაშვილის აზრით ასეთ დროს ძლიერდება სოციალური და პოლიციური კონტროლი, პოტენციური მსხვერპლი სწავლობს, როგორ არ გახდეს დანაშაულის მსხვერპლი და სავარაუდო დანაშაულის ჩადენის ადგილები აღიჭურვება ტექნიკური საშუალებებით. იგი პრობლემას ხედავს, დანაშაულის საფრთხის წინასწარ დადგენასა და მასობრივ კონტროლთან მიმართებით და აღნიშნავს, რომ მასობრივი კონტროლი და დანაშაულის საფრთხის წინასწარ დადგენა გარკვეულწილად იწვევს ადამიანის საყოველთაოდაა აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებების შელახვას. აღნიშნული, კი ტოტალური სახელმწიფოსთვისაა დამახასიათებელი.²²³ რაც რასაკვირველია პრობლემური სახკითხია. დ.ჩიხლაძის აზრით, მეორე დონის პრევენცია, პირველისაგან განსხვავებით აკონკრეტებს პირთა წრეს, თუმცა ჩარევის მაღალი ხარისხის გამო ამ პირთა სტიგმატიზაციის პრობლემას ხედავს.²²⁴ მეორე დონის პრევენციისათვის მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფომ ერთის მხრივ, გაზარდოს სამართალდამცავთა პრევენტაბელურობა, ხელი შეუწყოს, საზოგადოებასა და პოლიციას შორის ნდობის ჩამოყალიბებას, მეორეს მხრივ, კი მოქალაქეობრივი თვითშეგნების ამაღლებაზე გააკეთოს აქცენტი, გააძლიეროს საზოგადოებაში სოციალური კონტროლის მექანიზმი და ხელი შეუწყოს საზოგადოებრივ აქტივობებში პოლიციის მაქსიმალურ ჩართულობას, პრევენციული ზომების ეფექტურად მიღებისა და სოციუმთან უფრო მჭიდრო, ლიბერალური ურთიერთობის ჩამოყალიბების მიზნით. აღნიშნულით მიიღწევა ორი სასარგებლო შედეგი: პირველი, პრევენციული ზომების გატარება შეამცირებს ყოველდღიურად იმ ანტისაზოგადოებრივი ქმედებების ჩადენის რიცხვს, რომლებსაც დანაშაულში

²²² მ.შალიკაშვილი, კრიმინოლოგია, მესამე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა, თბილისი 2017, გვ.183

²²³ იბ.მ.შალიკაშვილი, კრიმინოლოგია, მესამე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა, თბილისი 2017, გვ.183-184

²²⁴ იბ. დ.ჩიხლაძე, დანაშაულის პრევენციის სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, კრიმინოლოგიის ჟურნალი N1, 20016, გვ.35

გადაზრდის ტენდენცია გააჩნიათ და მეორე, საზოგადოების მიერ სამართალდამცავი ორგანოებისადმი ნდობის ჩამოყალიბება გამოიწვევს მათთან აქტიურად თანამშრომლობის სურვილს, რაც, ბევრად უფრო გაამარტივებს დანაშაულობასთან ეფექტურად ბრძოლის პროცესს.

რაც შეეხება მესამე დონის პრევენციას, განსხვავებით პირველი და მეორე დონის პრევენციებისაგან, იგი გამოიყენება დანაშაულის ჩადენის შემდეგომ პერიოდში. ანუ მას შემდეგ რაც დანაშაულის თავიდან აცილება ვერ მოხერხდა და პირმა ჩაიდინა დანაშაული. ასეთ შემთხვევაში პირზე ვრცელდება სისხლის სამართალი და მისი გამოსწორებაზე პენიტენციალური დაწესებულება ან შესაბამისი სამსახურები ზრუნავენ. რათა, პირი გამოსწორდეს და სამომავლოდ დანაშაული აღარ ჩაიდინოს. „მესამე დონის პრევენცია, ინდივიდუალური პრევენციაა, ვინაიდან იგი დამნაშავის მიმართ ინდივიდუალური ღონისძიებების გატარებას გეგმავს, თუმცა მაინც მნიშვნელოვანია მისი ინდივიდუალური პრევენციისაგან გამიჯვნა.“²²⁵

კრიმინოლოგია დანაშაულთან ბრძოლის მნიშვნელოვანი ნაწილია, ვინაიდან ის უზრუნველყოფს იმ მონაცემების გაანალიზებას, რაც უკავშირდება დანაშაულებრიობას და სასჯელის ეფექტურობის კონცეფციას.²²⁶ „კრიმინოლოგი აანალიზებს დანაშაულის მიზეზებს და საზოგადოებასა და დანაშაულს შორის დამოკიდებულებას, დამნაშავის ქცევას და იმ მეთოდებს, რომლებსაც იგი დანაშაულისათვის იყენებს. (...) იკვლევს დამნაშავის პიროვნებას, მის ფსიქოლოგიურ მდგომარეობას და ქცევას, სოციალურ საკითხებს, გარემო ფაქტორებს, განათლების დონესა და ფსიქოლოგიურ ფაქტორებს. (...) განსაზღვრავს იმ სოციალურ მიზეზებს, რამაც უბიძგა დამნაშავეებს დანაშაულის ჩადენა.“²²⁷ აღნიშნულით კი, კრიმინოლოგია წააგავს სოციალურ სახელმწიფოს პრინციპის ძირითად ასპექტებს, აგრეთვე სახელმწიფოს მიერ სასჯელის მიზნების განხორციელების მთავარი იდეა, მსჯავრდებულის მიმართ გამოიხატება, მისი ბიო-ფსიქო-სოციალური პორტრეტის შექმნაში. რაც თავის მხრივ, ეხმარება სახელმწიფოს გაანალიზოს მსჯავრდებულის პიროვნება და მიუდგეს მას ინდივიდუალურად. გაარკვოს რამდენადაა შესაძლებელი მისი სრულფასოვანი რესოციალიზაცია და შეადგინოს შესაბამისი სამოქმედო გეგმა, მის მისაღწევად. ასევე მნიშვნელოვანი სახელმწიფო ვალდებულებაა, სასჯელის მოხდის შემდგომი ზრუნვა, ყოფილ მსჯავრდებულზე. რათა გამოირიცხოს მისი მხრიდან დანაშაულის ხელახალი ჩადენა. „პიროვნების კორექცია შესაძლებელია იმ ურთიერთობათა მონაწილეობის გარეშე, რომელშიც პირი აქტიურად იყო ადრე ჩართული, ამასთან, იმ ახალ, მისთვის მნიშვნელოვნად შეცვლილ ურთიერთობებთან შეგუების გზით, რომელიც სასჯელის მოხდის პროცესში ყალიბდება.“²²⁸ აღნიშნული კიდევ ერთი ხელშემწობი ფაქტორია, სასამართლოს მიერ ადეკვატური და

²²⁵ მ.შალიკაშვილი, კრიმინოლოგია, მესამე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა, თბილისი 2017, გვ.185

²²⁶ იხ. Katherine S. Williams, Textbook on Criminology, 7th Ed. Oxford University press, 2012, გვ.417

²²⁷ დ.წულაია, კრიმინოლოგიის მნიშვნელობა სახელმწიფოსა და საზოგადოებაში, მართლმსაჯულება და კანონი №3, 2010, გვ.127-128

²²⁸ ზ.მაცაბერიძე, კვლევითი ორიენტაციები და კრიმინოლოგიის საგნის ფორმირება, ჟურნალი „მართლმსაჯულება“ №3, თბილისი 2008, გვ.49-50

სამართლიანი სასჯელის ზომის დანიშვნა, ე.წ. სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპი. „სასჯელის სახისა და ზომის განსაზღვრისას სავალდებულოა დადგინდეს ჩადენილი დანაშაულის სოციალური საშიშროება, რაოდენ საფრთხის შემქმნელი იყო იგი საზოგადოებისათვის, ასევე მნიშვნელოვანია, დანაშაულით განხორციელებული ქმედების შედეგი.“²²⁹ „კრიმინოლოგიური თვალსაზრისით, ეტიკეტირების მნიშვნელობა მდგომარეობს დამნაშავედ მიჩნეული პირის მიერ საკუთარი პიროვნების იდენტიფიკაციის შეცვლაში და კრიმინალური სტატუსის აღიარებასა და მის გამართლებაში. თუ საზოგადოების მიერ პიროვნება მიჩნეული იქნება კრიმინალად, იგი ამის შემდეგ იქცევა ისე, რომ გაამართლოს საზოგადოების შეხედულება მისი პიროვნების შესახებ.“²³⁰ ერთის მხრივ, პირი დამნაშავედ იქცევა სახელმწიფო სოციალური ორგანოების „ძალისხმევით“, რაც, პირში იწვევს ფსიქოლოგიის გადატრიალებასა და მის კანონდამრღვევად ჩამოყალიბებას. მეორეს მხრივ, როდესაც სახელმწიფო ვერ ამხელს მას დანაშაულში და მისი ქმედება დაფარული რჩება, ამ შემთხვევაში მეტი შანსია, რომ დამნაშავე გათამამდეს და უფრო მძიმე ქმედება ჩაიდინოს.²³¹ „საზოგადოების მიერ დამნაშავე ინდივიდისადმი მეტი ყურადღების, ნდობის და სიყვარულის გამოხატვით შესაძლებელი იქნებოდა პიროვნების დამნაშავედ ჩამოყალიბებაში ხელის შეშლა.“²³² კ.ვილიამსი საინტერესოდ იხილავს ეტიკეტირების საკითხს, მისი აზრით: „საკითხავია, ვის ეტიკეტირებას ვახდენთ როგორც დამნაშავე? - ალბათ იმათ ვინც დაარღვია კანონი, ბანალური პასუხია, ვინაიდან ძალიან ბევრს აქვს ჩადენილი კანონდარღვევა(დანაშაული), აქედან გამომდინარე სწორი იქნებოდა პასუხი, რომ ჩვენ იარლიყს ვაწებებთ და ვსჯით იმათ, ვისი დააკავებაც მოხერხდა.“ აღნიშნული მოსაზრება სავსებით სწორია, როდესაც დანაშაულის გახსნის მაჩვენებელი რეალურად, საკმაოდ დაბალია. ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, საქართველოს ყველა საგამომიებო უწყების მიერ 2016 წელს რეგისტრირებულია 35997 დანაშაული, აქედან გახსნილია 57,4%, ანუ 20661 დანაშაული.²³³ 2017 წელს რეგისტრირებული იყო 37944 დანაშაული, აქედან გახსნილია 53.24%, ანუ 20200 დანაშაული.²³⁴ 2018 წელს რეგისტრირებულია 58412 დანაშაული, აქედან გახსნილია 34.64%, ანუ 20233 დანაშაული. ხოლო, 2019 წლის ინავარ-აპრილის მონაცემებით, კი სულ რეგისტრირებულია 23110 დანაშაული, აქედან გახსნილია 28.4%, ანუ 6563 დანაშაული.²³⁵ აღსანიშნავია, რომ ჭარბობს სიცოცხლის, ჯანმრთელობის, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები

²²⁹მ.ლევკვიშვილი, სასჯელის მიზნები და სასჯელის შეფარდების სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“ №4, 2014, თბილისი 2014, გვ.28

²³⁰მ.შალიკაშვილი, გ.მიქანაძე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების თავისებურებანი: არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კრიმინოლოგიური, სისხლისსამართლებრივი, პენიტენციური და საერთაშორისო სამართლებრივი საფუძვლები, თბილისი 2011, გვ.46

²³¹ი.მ.შალიკაშვილი, გ.მიქანაძე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო), მეორე გამოცემა, თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი, 2016, გვ.48

²³²მ.შალიკაშვილი, კრიმინალური კარიერის ხელშეწყობის კრიმინოლოგიური ანალიზი (საზოგადოების როლი ადამიანის კრიმინალად ჩამოყალიბების პროცესში), სამართლის ჟურნალი №1-2, თბილისი 2010, გვ.208

²³³ იხ. სტატისტიკა, <https://info.police.ge/uploads/5a90001f27496.pdf> (16.06.2019)

²³⁴ იხ. სტატისტიკა, <https://info.police.ge/uploads/5a90003a68923.pdf> (16.06.2019)

²³⁵ იხ. სტატისტიკა, <https://info.police.ge/uploads/5cf22420113cd.pdf> (16.06.2019)

და ოჯახში ძალადობის ფაქტები. აგრეთვე აქტუალურია სატრანსპორტო და ნარკოტიკული დანაშაულები. მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ლატენტური დანაშაული ვერ ხვდება აღნიშნულ ოფიციალურ სტატისტიკებში. რაც, თავის მხრივ, კიდევ უფრო ამცირებს დანაშაულის გახსნის მასშტაბს.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფომ აქტიური ღონისძიებების გატარებითა და კვალიფიციური კრიმინოლოგების ჩართულობით, შეიმუშაოს ეფექტური პროგრამები, აქტივობები და შემდგომ უკვე განახორციელოს შესაბამისი სამუშაოები, რომელიც შესაძლებლობის ფარგლებში, შეამცირებს დანაშაულის აღნიშნულ მაჩვენებლებს და გაზრდის გახსნილი დანაშაულთა რიცხვს. რაც მთავარია, მოახდენს ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას და მაქსიმალურად შეამცირებს, პოტენციური მსხვერპლების ვიქტიმიზაციისა და რევიქტიმიზაციის პროცესს.

დასკვნა

დასაბამიდან მოყოლებული, ადამიანი ბედნიერებისაკენ ისწრაფვის. სწორედ ბედნიერებისაკენ სწრაფვამ უბიძგა მას, შეექმნა ადამიანთა ისეთი ერთობა, სადაც თითოეულს შეეძლებოდა თავისი, საკუთარი ბედნიერების მიზნების დასახვა და მისი მიღწევა. ყველაზე პრაქტიკული გზა ამის მისაღწევად კი სახელმწიფოს, როგორც ადამიანთა ერთობის ნავსაყუდელის, შექმნა გახლდათ, რომელიც ადამიანთა გაერთიანების უზრუნველმყოფელი და დამცველი იქნებოდა, ყოველგვარი ბოროტებისაგან. სწორედ ადამიანთა ბოროტებისაგან დაცვის საშუალებას წარმოადგენს სისხლის სამართალი, რომელიც ბოროტმოქმედს (დამნაშავეს) ხალხის სახელით ასამართლებს სასამართლოში და უნიშნავს ჩადენილი ბოროტების პროპორციულ, საპირწონე სასჯელს. თუმცადა, ვინაიდან დამნაშავეც ისეთივე განუყოფელი ნაწილია ადამიანთა ერთობისა, როგორც სხვა ნებისმიერი პირი სახელმწიფომ მასზეც უნდა იზრუნოს და ამავე დროს დაიცვას საზოგადოება მის მიერ ხელახალი დანაშაულის ჩადენისაგან.

თანამედროვე სამყაროში, რომელშიც მსოფლიო მოსახლეობა არნახული ტემპებით ვითარდება, ადამიანთა მიმოსვლა ძალიან გამარტივებულია და მათი დიდი ნაწილი სილატაკეს ებრძვის, რაღა თქმა უნდა ამ ყველაფერთან ერთად იმატებს კრიმინალის დონეც. აღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ შესაბამისი ორგანოებისა და რესურსების მობილიზება, რათა ეფექტურად ებრძოლონ დამნაშავეობას და ამავე დროს, გაატარონ შესაბამისი ღონისძიებები კრიმინალის დონის შესამცირებლად, რათა უსაფრთხო სახელმწიფოებში იცხოვროს და განვითარდეს სოციალურად გამართული, ჩამოყალიბებული ერი.

კრიმინალის დონის შემცირებაში, სახელმწიფოს უამრავი ბერკეტი გააჩნია, თუმცადა ყველაზე გავრცელებული და აპრობირებული მეთოდია დამნაშავეს მიმართ სისხლისსამართლებრივი იძულების ღონისძიებების გატარება. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ პიროვნების დასჯა, მის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედების გამო, არაა საკმარისი და ეფექტური, ვინაიდან სასჯელის მოხდის შემდეგ მსჯავრდებული ისევ საზოგადოებას უბრუნდება და თუ მის ცნობიერებაში ძირეული გადატრიალება არ მოხდება, ის კვლავ ჩაიდენს დანაშაულს. სწორედ ამიტომ, სახელმწიფოები სასჯელს გარკვეულ მიზნებს უსახავენ და არც საქართველოა გამონაკლისი. სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს სასჯელის შემდეგ მიზნებს: სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავეს რესოციალიზაცია. მიუხედავად იმისა, რომ თითოეულ მიზანს გააჩნია არსებობის საფუძველი, მსჯავრდებულის რესოციალიზაციის, როგორც სასჯელის მიზნის უპირატესი მნიშვნელობა ეჭვს არ იწვევს. გამომდინარე იქიდან, რომ დასახელებული სასჯელის მიზნებიდან, არცერთი ისე არ უზრუნველყოფს დანაშაულის დონის შემცირებას, როგორც ეფექტური რესოციალიზაციის განხორციელება. ვინაიდან, თუკი სახელმწიფო აქტიური ღონისძიებების განხორციელებითა და მსჯავრდებულის მიმართ ინდივიდუალური მიდგომის საფუძველზე, მოახდენს მის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას, იგი

დანაშაულს განმეორებით აღარ ჩაიდენს და შესაბამისად მიზანიც მიღწეული იქნება და საბოლოოდ დანაშაულის დონეც შემცირდება.

უნდა აღინიშნოს, რომ პოტენციური დამნაშავის დაშინება სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ამა თუ იმ სასჯელის შესაძლო გამოყენებით, გაუმართლებელია, ვინაიდან სისხლის სამართლის ნორმას იქამდე ექნება შემაკავებელი უნარი, სანამ დანაშაულის ჩადენის შედეგად მოპოვებული სიკეთე არ გადაწონის დამნაშავის შესაძლო დასჯის შედეგებს, რაც არც თუ ისე იშვიათი მოვლენაა, თუ გავითვალისწინებთ ისტორიულ ფაქტებსაც, როდესაც ქურდობაში მხილებული პირის სიკვდილით დასჯის ცერემონიაზეც კი ხშირი იყო ბრბოში ქურდობის ფაქტები. შესაბამისად თუ მომაკვდინებელი სასჯელის შიშიც კი ვერ აჩერებდა პოტენციურ დამნაშავეებს ჩაედინათ დანაშაული, მაშინ რა ბერკეტიღა რჩება თანამედროვე ჰუმანურ და ლიბერალურ სახელმწიფოს ებრძოლოს დანაშაულებრიობას?! პასუხი კი ნათელია, ესაა მსჯავრდებულის რესოციალიზაცია, რომლის პროცესში საზოგადოება და სახელმწიფო თანაბრად ვალდებული იზრუნოს გზასაცდენილ თანამოქალაქეზე, მიუთითოს სწორი გზა და დაეხმაროს მას ამ გზაზე სიარულში.

მსჯავრდებულის რესოციალიზაციასთან ერთად, დანაშაულის დონის შესამცირებლად და ახალი დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, სახელმწიფომ აქტიური პრევენციული ღონისძიებები უნდა გაატაროს საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კუთხით და შეახსენოს მოქალაქეებს ის მორალური და სამართლებრივი ღირებულებები, რომლებზეც დგას თანამედროვე საზოგადოება. აგრეთვე ხელი შეუწყოს საზოგადოებასა და საპოლიციო ორგანოებს შორის ნდობის გაღრმავებას, რაც დანაშაულის თავიდან აცილების საწინდარია, ასევე მიიღოს შესაბამისი ზომები, რათა დანაშაულის გამომწვევი მიზეზები ფესვებშივე იქნას აღკვეთილი. ხელი შეუწყოს დასახლებული პუნქტების ისეთ ურბანულ განვითარებას, სადაც პოტენციურ დამნაშავეს არ ექნება ხელსაყრელი ადგილი დანაშაულებრივი ქმედების ჩასადენად.

რაც შეეხება სამართლიანობის აღდგენას, სამართლის დოქტრინაში არსებული მოსაზრებების მიხედვით სწორედ სამართლიანობის აღდგენაა სასჯელის მთავარი მიზანი, რომელიც უზრუნველყოფს დანაშაულებრივი ხელყოფის შედეგად დარღვეული ბალანსის აღდგენას. რასაკვირველია, აღნიშნული სრული ჭეშმარიტებაა, თუმცაღა გადაჭარბებულად მიმაჩნია, აღნიშნული პრინციპის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე საუბარი, ვინაიდან, იგი მხოლოდ აწმყოზეა ორიენტირებული და კონკრეტული პირის (დაზარალებულის) ინტერესებს იცავს და არაა მიმართული დანაშაულებრიობასთან საბრძოლველად და კრიმინალის დონის შემცირებისაკენ, განსხვავებით რესოციალიზაციისაგან, რომელიც ორიენტირებულია სამომავლო შედეგზე, დამნაშავის რეაბილიტაციაზე, რაც მაქსიმალურად ამცირებს ახალი დანაშაულის ჩადენის ალბათობას. მიუხედავად კანონმდებლის მიერ რესოციალიზაციის, როგორც სასჯელის მიზნის საკანონმდებლო აღიარებისა, აღნიშნული არ გვაძლევს იმის თქმის საფუძველს, რომ ამ კუთხით ყველაფერი კარგადაა, ვინაიდან ფორმალური აღიარება ერთია და მის მისაღწევად გატარებული ქმედითი ღონისძიებები, კი მეორე. გარდა ამისა ნაშრომის ფარგლებში განხილულია

კანონმდებლობაში არსებული ხარვეზები რესოციალიზაციის, როგორც სასჯელის მიზნის განხორციელებასთან მიმართებით, რომლებიც საჭიროებენ შემდგომ დახვეწას. იმ პირობებში, როდესაც ციხეები გადავსებულია და სტატისტიკური მონაცემებიც ხშირად სრულ სურათს ვერ გვიჩვენებს, თუმცაღა მიახლოებით წარმოდგენას გვიქმნის არსებული მდგომარეობისა.

სამართლის ლიტერატურაში არსებობს უამრავი მოსაზრება, რომ რესოციალიზაცია პრაქტიკაში არ მოქმედებს, გარკვეულწილად შეიძლება გავამართლოთ, მაგრამ ისევ სტატისტიკის მოშველიებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მიუხედავად არსებული პრობლემებისა, როდესაც მსჯავრდებულისა და დამნაშვის მიმართ გატარდა შესაბამისი სარეაბილიტაციო ღონისძიებები, ისინი გამოსწორდნენ და ახალი დანაშაულის თავიდან აცილებაც განხორციელდა. აღსანიშნავია, რომ მსჯავრდებულის გამოსწორებაზეა ორიენტირებული რესოციალიზაციის მომიჯნავე ცნებები, როგორებიცაა: სოციალიზაცია, რეაბილიტაცია, ინტეგრაცია, აღზრდა, მკურნალობა და გამოსწორება. თითოეული მათგანი განსხვავებული მეთოდისა და საშუალების გამოყენებას გულისხმობს, იმ უმთავრესი მიზნის მისაღწევად, რასაც მსჯავრდებულის საზოგადოების სრულფასოვან წევრად დაბრუნება და მის მიერ დანაშაულის ჩადენის გარეშე ცხოვრება გულისხმობს.

მსჯავრდებულის რესოციალიზაციის პროცესში უმნიშვნელოვანესი როლი ეკისრება თანამედროვე დემოკრატიულ, სამართლებრივ და სოციალურ სახელმწიფოს. დემოკრატიის არსებობის გარეშე, არათუ მსჯავრდებულის ინტერესების, უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა შეგვეძლება, არამედ ჩვეულებრივი კანონმორჩილი ადამიანების უფლებათა და თავისუფლებათა არსებობა დადგება ექვემდებარება. ვინაიდან, დემოკრატიული სახელმწიფოს პრინციპი და ზოგადად დემოკრატია ყველაზე ეფექტური და კომფორტული იარაღია მოქალაქეების, ხალხის და თითოეული ადამიანის ხელში, რათა საკუთარი თავისუფლების, ღირსებისა და სხვა ფუნდამენტური უფლებების გამოყენებით, უზრუნველყოს თვითრეალიზაცია და იპოვოს საკუთარი ბედნიერება. სწორედ დემოკრატიული სახელმწიფოს პრინციპი გულისხმობს, ხალხის ნების ბატონობას ყველა დროის ხელისუფლებაზე და ხელისუფლების ვალდებულებას გაატაროს ის პოლიტიკა, რაც ხალხის სურვილსა და საჭიროებას წარმოადგენს. სწორედ ხალხი, ხელისუფლების მეშვეობით აწესებს სისხლისსამართლებრივ პოლიტიკას ქვეყანაში. ამიტომ მნიშვნელოვანია, თავად საზოგადოების აქტიური როლი მსჯავრდებულის რესოციალიზაციის პროცესში, ვინაიდან დამნაშავე თავად ამ საზოგადოების წიაღში იშვა და თავად საზოგადოებამ უნდა აიღოს ეს ტვირთი. მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოება და არასამთავრობო ორგანიზაციები აქტიურად ჩაერთონ სასჯელადსრულების დაწესებულებების კონტროლში და მაქსიმალურად შეუწყონ ხელი სასჯელმთხრობილ პირს, ისწავლოს დანაშაულის გარეშე ცხოვრება.

სამართლებრივმა სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს მოქალაქეთა კანონის წინაშე თანასწორობა და კანონის უზენაესობა. ვინაიდან, მსჯავრდებულის რესოციალიზაცია იწყება, არა სასჯელადსრულების დაწესებულებაში მისი მოთავსებიდან, არამედ სამართალდამცავ ორგანოებთან პირველივე შეხებიდანვე.

მნიშვნელოვანია, რომ სასამართლომ კანონიერი, სამართლიანი და ჩადენილი დანაშაულის პროპორციული სასჯელი დაუნიშნოს პირს, მისი ინდივიდუალური მახასიათებლების გათვალისწინებით. აუცილებელია, რომ ინდივიდს ნათლად ესმოდეს ქცევის წესები და კანონები რომელთა საფუძველზეც ეზღუდება თავისუფლება. აღნიშნული, დაეხმარება მას რესოციალიზაციაში და არ გააბოროტებს სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ, ვინაიდან ეცოდინება, რომ იგი დამსახურებულად დაისაჯა. მნიშვნელოვანია, რომ მსჯავრდებულს ღირსეულად და ადეკვატურად მოეპყრან ციხის პირობებში, ვინაიდან მას მხოლოდ თავისუფლება აღეკვეთება და არა სხვა დანარჩენი უფლებებით სარგებლობა, სასჯელის მოხდის პირობებში. ხოლო ნებისმიერი სახის ჩარევა მის უფლებებში უნდა იყოს თანაზომიერი და ადეკვატური.

დემოკრატიულ და სამართლებრივ სახელმწიფოსთან ერთად უმნიშვნელოვანესი როლი სოციალურ სახელმწიფოსაც ეკისრება. სოციალური სახელმწიფოს პრინციპი გულისხმობს, რომ სახელმწიფომ უნდა იზრუნოს საზოგადოებისათვის საყოველთაო სიკეთის მოტანაზე, სოციალური მიმართულებების გაძლიერებითა და დაცვით. სოციალური სახელმწიფოს პრინციპი უმნიშვნელოვანესია, მსჯავრდებულის რესოციალიზაციის პროცესის ეფექტური წარმართვისათვის. ვინაიდან სწორედ აღნიშნულ პრინციპში უნდა მოვიაზროთ სახელმწიფოს აქტიური ჩართულობა მსჯავრდებულისათვის ადეკვატური სარეაბილიტაციო პროგრამების მიღება-შემუშავებასა და მათ გატარებაში. რესოციალიზაციისათვის უმნიშვნელოვანესია, მსჯავრდებულის ადეკვატური საცხოვრებელი პირობების შექმნა, განათლების ხელმისაწვდომობა პენიტენციურ დაწესებულებებში ყოფნის პერიოდში და პროფესიული უნარების შექმნა-განვითარება. გარდა ამისა მნიშვნელოვანია მსჯავრდებულის დასაქმების პრობლემის მოგვარება, როგორც სასჯელადსრულების სისტემის შიგნით, ასევე სასჯელმოხდილი პირისათვის დასაქმებაში ხელშეწყობა, რათა მას გაუჩნდეს ლეგალური შემოსავალი და აღარ იფიქროს დანაშაულებრივი ქმედების ჩადენაზე. აუცილებელია სამუშაო პირობები იყოს ღირსეული და ადეკვატურად ანაზღაურებადი. აღნიშნულთან დაკავშირებით არაერთი რეკომენდაცია არსებობს საერთაშორისო ორგანიზაციების, აგრეთვე საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები რომლებიც მოყვანილი და განხილულია ნაშრომის ფარგლებში.

მოგეხსენებათ, სახელმწიფოს ნებისმიერი აქტივობის განხორციელება მსჯავრდებულის რესოციალიზაციის კუთხით, გარკვეული ფინანსური და ადამიანური რესურსები ესაჭიროება. აღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ სისხლის სამართლის პოლიტიკა და მიდგომები განხილულ იქნეს ეკონომიკურ ჭრილში და შერჩეული აქტივობები იყოს მაქსიმალურად ოპტიმალური. ვინაიდან სახელმწიფოს საკმაოდ ძვირი უჯდება პენიტენციური დაწესებულებების ნორმალური ფუნქციონირება და ზოგადად სისხლისსამართლებრივი იძულების ღონისძიებების გამოყენება. მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფოს სისხლისსამართლებრივი პოლიტიკა იყოს მიმართული დანაშაულის დონის შესამცირებლად და მიდგომები პასუხობდეს საერთაშორისო

სტანდარტებს, ქვეყანაში არსებული საჭიროებებისა და სპეციფიკის გათვალისწინებით.

კრიმინალის დონის შესამცირებლად უმნიშვნელოვანესი როლი აქვს კრიმინოლოგიას, როგორც მეცნიერებას დანაშაულის გამომწვევი მიზეზების კვლევასა და აღკვეთაში, აგრეთვე დანაშაულის დონის შესამცირებლად. მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფომ სისხლის სამართლის პოლიტიკის განსაზღვრისას ყურადღება მიაქციოს და გამოიყენოს კრიმინოლოგთა და სოციოლოგთა რეკომენდაციები, რაც თავის მხრივ გაზრდის გატარებული პოლიტიკის ეფექტურობას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფომ კუმულაციურად გამოიყენოს ყველა ზემოაღნიშნული საშუალებები, დანაშაულებრიობასთან ეფექტურ ბრძოლაში. აგრეთვე დანერგოს და განავითაროს მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის ღონისძიებები, ვინაიდან აღნიშნული მეტად კომპლექსურ მიდგომას საჭიროებს და სახელმწიფომ მის ხელთ არსებული ყოველი საშუალება უნდა გამოიყენოს, მსჯავრდებულის საზოგადოებაში დაბრუნებისათვის და მისი როგორც კანონმორჩილი მოქალაქის ჩამოყალიბებაში. წინააღმდეგ შემთხვევაში გამოვა, რომ ნებისმიერი სახის ღონისძიება, რომელსაც სახელმწიფო გაატარებს ამ კუთხით, უშედეგო იქნება და ვერ უზრუნველყოფს უმთავრეს მიზანს - მსჯავრდებულის ეფექტურ რესოციალიზაციას.

ბიბლიოგრაფია

სამეცნიერო ლიტერატურა:

1. მორის შალიკაშვილი, გივი მიქანაძე, მაია(ზოია) ხასია, სასჯელაღსრულების სამართალი (სახელმძღვანელო), გამომცემლობა „იურისტების სამყარო“ თბილისი 2014.
2. ნილს კრისტი, ტკვილის საზღვრები, რედ: მორის შალიკაშვილი, გიორგი გიორგაძე, სასჯელის როლი სასჯელაღსრულების პოლიტიკაში, თბილისი 2017.
3. მორის შალიკაშვილი, კრიმინოლოგია, თბილისი 2010.
4. მორის შალიკაშვილი, კრიმინოლოგია, მეორე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა, გამომცემლობა „მერიდიანი,” თბილისი 2011.
5. მორის შალიკაშვილი, კრიმინოლოგია, მესამე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა, გამომცემლობა „მერიდიანი,” თბილისი 2017.
6. მორის შალიკაშვილი, ძალადობის კრიმინოლოგია, გამომცემლობა „მერიდიანი,” თბილისი 2012.
7. ზაურ წულაია, კრიმინოლოგია, ზოგადი და კერძო ნაწილი, თბილისი 2005.
8. კრიმინოლოგია და სამართლებრივი სისტემა საქართველოში, თ.წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, თბილისი 2008.
9. მორის შალიკაშვილი, ვიქტიმოლოგია-მეცნიერება დანაშაულის მსხვერპლის შესახებ, თბილისი 2011.
10. მორის შალიკაშვილი, არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები, თბილისი 2013.
11. მორის შალიკაშვილი, გივი მიქანაძე, გიორგი არსოშვილი, პრობაციის სამართალი, თბილისი 2015.
12. მორის შალიკაშვილი, გივი მიქანაძე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო), მეორე გამოცემა, თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი, 2016.
13. მორის შალიკაშვილი, გივი მიქანაძე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების თავისებურებანი: არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კრიმინოლოგიური, სისხლისსამართლებრივი, პენიტენციური და საერთაშორისო სამართლებრივი საფუძვლები, თბილისი 2011.
14. იოსებ ვარძელაშვილი, სასჯელის მიზნები, „უნივერსიტეტის გამომცემლობა,” თბილისი 2016.
15. ალექსანდრე ვაჩეიშვილი, სასჯელი და სოციალური დაცვის ღონისძიებანი, თბილისი 1960.
16. ირაკლი დვალიძე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, თბილისი 2013.
17. მერაბ ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეცხრე გამოცემა, თბილისი 2013.
18. მერაბ ტურავა, სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, თბილისი 2011.

19. ოთარ გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი მე-3, თბილისი 2013.
20. გურამ ნაჭყებია, სისხლის სამართლებრივი ურთიერთობა და დანაშაულის ცნება, თბილისი 2002.
21. გურამ ნაჭყებია, სისხლის სამართლის საგანი, თბილისი 1997.
22. გურამ ნაჭყებია, სისხლის სამართლის მეცნიერების მეთოდოლოგიური ანბანი, თბილისი 2006.
23. გურამ ნაჭყებია, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი 2011.
24. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, ავტორთა კოლექტივი (რედ. გურამ ნაჭყებია, ირაკლი დვალიძე), თბილისი 2007.
25. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი (სახელმძღვანელო); მეორე გამოცემა, ავტორთა კოლექტივი, რედ: გურამ ნაჭყებია, ნონა თოდუა, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2016.
26. სისხლის სამართლის სახელმძღვანელო ზოგადი ნაწილი, მესამე გამოცემა ავტორთა კოლექტივი, თბილისი 2018.
27. სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბილისი 2016.
28. ქეთევან მჭედლიშვილი-ჭედრიხი, სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილი პირველი, დანაშაული, ძირითადი საკითხები კითხვა-პასუხებით, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2014.
29. გურამ ნაჭყებია-75, საიუბილეო კრებული, რედ: ნონა თოდუა, თბილისი 2016.
30. ზურაბ გოთუა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი სასჯელი, ლექციების კურსი, თბილისი 2001.
31. თამაზ დონჯაშვილი, საქართველოს სისხლის სამართალი (ზოგადი ნაწილი), რედ: შოთა ფაფიაშვილი, თბილისი 2007.
32. ზაურ მჭავანაძე, ომარ მინდაძე, სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილი ლექციები კომენტარები, ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, ქუთაისი 2005.
33. ქეთევან ერემაძე, ინტერესთა დაბალანსება დემოკრატიულ საზოგადოებაში, თბილისი 2013.
34. გიორგი გოგიაშვილი, კონსტიტუციის საიდუმლოებანი, ლექციები შედარებით-კონსტიტუციურ სამართალში, გამომცემლობა „იურისტების სამყარო,“ თბილისი 2014.
35. კონსტანტინე კუბლაშვილი, ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, თბილისი 2014.
36. კონსტანტინე კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, იურიდიული სახელმძღვანელო, თბილისი 2017.
37. შესავალი საკონსტიტუციო სამართალში, ავტორთა კოლექტივი, გამომცემლობა „მერიდიანი,“ თბილისი 2016.
38. ბესარიონ ზოიძე, საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, თბილისი 2007.

39. ანდრაშ შაიო, ხელისუფლების თვითშეზღუდვა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი, თბილისი 2003.
40. იურგენ შვაბე, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, თბილისი 2011.
41. ფილიპ ლოვო, თანამედროვე დიდი დემოკრატიები, თბილისი 2002.
42. ლევან იზორია, თანამედროვე სახელმწიფო, თანამედროვე ადმინისტრაცია, თბილისი 2009.
43. საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თბილისი 2013.
44. გიორგი გოგიაშვილი, შედარებითი კონსტიტუციური სამართალი, თბილისი 2014.
45. ავთანდილ დემეტრაშვილი, გიორგი გოგიაშვილი, კონსტიტუციური სამართალი, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბილისი 2016.
46. ავთანდილ დემეტრაშვილი, ირაკლი კობახიძე, კონსტიტუციური სამართალი, თბილისი 2011.
47. საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, ავტორთა კოლექტივი, მესამე გამოცემა რედ: დიმიტრი გეგენავა, თბილისი 2015.
48. შესავალი საქართველოს საკონსტიტუციო სამართალში, ავტორთა კოლექტივი, რედ: დიმიტრი გეგენავა, თბილისი 2019.
49. გიორგი გვაზავა, ძირითადი პრინციპები საკონსტიტუციო უფლებისა, რედ: დიმიტრი გეგენავა, თბილისი 2014.
50. კარლო შარია, სამართლებრივი სახელმწიფო, ნაწილი პირველი, თბილისი 2009.
51. გიორგი ხუბუა, სამართლის თეორია, მეორე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა, თბილისი 2015.
52. ირინა აქუბარდია, დაცვის ხელოვნება, თბილისი 2011.
53. ინგა ბალარჯიშვილი, დანაშაულის და სასჯელის ეკონომიკა, თბილისი 2010.
54. ქრებ კალჭუნი, დონალდ ლაითი, სუზენ კელერი, სოციოლოგია, ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 2008.
55. ენტონი გიდენსი, სოციოლოგია, თბილისი 2011.
56. ირაკლი ხუცურაული, ჩეზარე ბეკარია დანაშაულისა და სასჯელისათვის, გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, თბილისი 2003.
57. ივანე ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი VII, თბილისი 1984.
58. ედუარდ კოდუა და სხვა (სარედ.ჯგუფი), სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი-ცნობარი, გამომცემლობა „ლოგოს პრესი“, თბილისი 2004.
59. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, მთავარი რედ: არნოლდ ჩიქობავა, თბილისი 1986.
60. ალექსანდრე ელერდაშვილი, უნივერსალური ენციკლოპედიური ლექსიკონი, სამ ტომად, თბილისი 2006.
61. არასრულწლოვანთა სასჯელისა და აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიებების შეფარდების პრობლემები, სტატიათა კრებული, რედ: მორის შალიკაშვილი და მზია ლეკვეიშვილი, თბილისი 2011.

62. დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, კრიმინოლოგიის ჟურნალი N1, 2016.
63. თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის „სამართლის ჟურნალი“ N1-2, თბილისი 2010.
64. თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის „სამართლის ჟურნალი“ N1, თბილისი 2012.
65. თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის „სამართლის ჟურნალი,“ N1, თბილისი 2013.
66. თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის „სამართლის ჟურნალი,“ N2, თბილისი 2013.
67. აკადემიური მაცნე I, გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 2012.
68. ჟურნალი „ქართული სამართლის მიმოხილვა,“ ტომი 10, N4, თბილისი 2007.
69. ჟურნალი „ქართული სამართლის მიმოხილვა“ სპეციალური გამოშვება, თბილისი 2004.
70. ჟურნალი „მართლმსაჯულება“ №2, თბილისი 2008.
71. ჟურნალი „მართლმსაჯულება“ №3, თბილისი 2008.
72. ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“ №3, თბილისი 2010.
73. ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“ №1, თბილისი 2012.
74. ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“ №3, თბილისი 2013.
75. ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“ №4, თბილისი 2014.
76. ჟურნალი „ალმანახი“ N3, თბილისი 2004.
77. ადამიანის უფლებათა დაცვა: მიღწევები და გამოწვევები, სტატიათა კრებული, რედ: კონსტანტინე კორკელია, თბილისი 2012.
78. საკორპორაციო სამართლის კრებული II, რედ: ირაკლი ბურდული, თბილისი 2014.
79. ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი,“ №2, 2013.
80. საქართველოს კონსტიტუცია 20 წლის შემდეგ, რედ: ვ.ნაცვლიშვილი, დ.ზედელაშვილი, თბილისი 2016.
81. სოციალური უფლებების შესახებ საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტი, პროექტის ინიციატორები, ვახუშტი მენაბდე, ვახტანგ ნაცვლიშვილი, თბილისი 2017.
82. ნატო აბაშიძე, დამნაშავეს რესოციალიზაცია, როგორც სასჯელის ერთ-ერთი მიზანი, სტატია, სამოქალაქო ჩართულობის ცენტრი, თბილისი 2015.

სასამართლო გადაწყვეტილებები:

1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის საქმეთა პალატის 2017 წლის 12 იანვრის განაჩენი, საქმე N1/ბ-1123-16
2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 27 აგვისტოს გადაწყვეტილება N 1/2/434 საქმეზე.
3. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილება
4. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 06 აპრილის გადაწყვეტილება N2/1/415 საქმეზე
5. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 07 დეკემბრის გადაწყვეტილება N2/3/423 საქმეზე.

6. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება N1/3/407 საქმეზე.
7. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 12 სექტემბრის გადაწყვეტილება N2/3/540 საქმეზე.
8. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, ე.წ. ლეზაბის საქმე, BVerfGE 35, 202, 235
9. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები BVerfGE (Entscheidungen des Bundesverfassungsgerichts) 32,333 (339); 61, 319 (343 f.) 68, 143 (152).

უცხოენოვანი ლიტერატურა:

1. Stephen Stanko, Wayne Gillespie, Gordon A. Crews, Living in prison: A History of the Correctional Systems with an insider's view, Greenwood Press, Westport, Connecticut, London, 2004
2. Liora Lazarus, Contrasting Prisoner's Rights: A Comparative Examination of Germany and England, Oxford University Press, New York, 2004
3. Kirstin Drenkhahn, Manuela Dudeck, Frieder Dunkel, Long-Term imprisonment and Human Rights, London and New York, 2014
4. Orlan Lee, T.A. Robertson, "Moral Order" and The Criminal Law: Reform Efforts in the USA and Germany, The Hague 1973
5. Diana Kendall, Sociology in our times, The Essentials, 7th Ed. Wadsworth Cengagelearning 2010
6. Jhon Locke, Two Treatises of Government, Cambridge: Cambridge University Press 1980
7. Albert Venn Dicey, Introduction to the Study of the Law of Constitution, London and New York, Macmillan 1959
8. K.Sommermann, Art. 20, in: H.Mangoldt, F.Klein, Ch.(Hrsg.)Starck, Kommentar zum Grundgesetz, München 2010
9. Steve Case, Phil Jhonson, David Maniow, Roger Smith, Kate williams, Criminology, Oxford University Press, 2017
10. Chris Hale, Keith Hayward, Azrin Wahidin, Emma Wincup, Criminology, Third Ed. Oxford University Press 2013
11. Larry J.siegel, Criminology, Theories, Patterns, and Typologies, Twelfth edition, 2016
12. Opp Karl Dieter, The Economics of Crime and The Sociology of Deviant Behavior, A Theoretical Confrontation of Basic Propositions, Kyklos 1989
13. The money and politics of criminal justice policy / O. Hayden Griffin, III, Vanessa H. Woodward, and John J. Sloan, III. Durham, North Carolina : Carolina Academic Press, 2016
14. L.Phillips, Hi.JR. Votey, The Economics of Crime Control, Beverly Hills etc. 1981
15. W.R. Anderson, The Economics of Crime, The Macmillan Press LTD 1976
16. E.H. Sutherland, Principles of criminology, second edition, Lippincott, Philadelphia, 1934

17. Gennaro F.Vito, Jeffrey R.Maahs, Criminology, Theory, Research, and policy, 2012
18. H.P. Rubin, The Economics of Crime, Cambridge(Mass.) 1980
19. Katherine S.Williams, Textbook on Criminology, 7th Ed. Oxford University press, 2012
20. R.Dworkin, What is Equality Part 3: The Place of Liberty, Iowa L. Rev., 1, #73, 8
21. Добрыдень О.А., Компромисс как действенный метод ресоциализации осужденных к лишению свободы и подготовки их к жизни на свободе, Вестник Саратовской государственной академии права, №3(73), 2010.
22. Философский словарь, Москва, 1997

ნორმატიული მასალა:

1. საქართველოს კონსტიტუცია (2017 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით)
2. საქართველოს კონსტიტუცია (2019 წლის 30 ივნისის მდგომარეობით)
3. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი (2019 წლის 30 ივნისის მდგომარეობით)
4. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (2019 წლის 30 ივნისის მდგომარეობით)
5. საქართველოს პატიმრობის კოდექსი (2019 წლის 30 ივნისის მდგომარეობით)
6. ფსიქიატრიული დახმარების შესახებ საქართველოს კანონი
7. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია 1948 წლის 10 დეკემბერი
8. ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის კონვენციის დამატებითი ოქმი, პარიზი 1952 წლის 20 მარტი

ელექტრონული წყაროები:

1. Purposes of punishment, criminal law, University of Minnesota Libraries Publishing edition, 2015. <http://open.lib.umn.edu/criminallaw/front-matter/publisher-information/> (05.05.2019)
2. The Founders' Constitution, Thomas Jefferson to James Medison, 1789 <https://founders.archives.gov/documents/Jefferson/01-15-02-0354> (15.05.2019)
3. სტატისტიკა, <https://info.police.ge/uploads/5a90001f27496.pdf> (16.06.2019)
4. სტატისტიკა, <https://info.police.ge/uploads/5a90003a68923.pdf> (16.06.2019)
5. სტატისტიკა, <https://info.police.ge/uploads/5cf22420113cd.pdf> (16.06.2019)
6. ონლაინ მაღაზია <https://online.moc.gov.ge/katalogi>